საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟიტრა მედია

ლიანი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ივნისი **ხუთშაბათი** 2011
№ 133 (13430) ფასი 60 თეთრი

მეხუთე მატჩი გადამწყვეტია

2:2

15

იტალიური ფეხბურთის წმენდა გრძელდება

ჩაწყობილი თამაშების ახალი საქმის გამოძიებისას პოლიცია სერია A-ის რამდენიმე კლუბზე გავიდა, მათ შორის „რომაზე". საქმეში ფრანჩესკო ტოტისა და კრისტიან ვიერის სახელებიც ამოტივტივდა

ტოტი, ვიერი, რომა...

კრისტიან ვიერი

ჩაწყობილი თამაშების არასრული სია

სერია A	
ინტერი-ლეჩე	1:0
ფიორენტინა-რომა	2:2
ლეჩე-კალიარი	3:3
ინტერი-ლეჩე	4:2

სერია B	
ლივორნო-ასკოლი	1:1
ასკოლი-ატლანტა	1:1
ატალანტა-პიაჩენცა	3:0
პადოვა-ატალანტა	1:1
სიენა-სასუოლო	4:0

ფრანჩესკო ტოტი

ITALIAში ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიება ახალ დონეზე გავიდა. იტალიური პრესა ფიგურანტებად ისეთ ავტორიტეტულ ადამიანებს მოიხსენიებს, როგორებიც არიან **ფრანჩესკო ტოტი** და **კრისტიან ვიერი**, ხოლო „უცნაური" მატჩების კატეგორიაში სერია A-ს ოთხი შეხვედრა გაიყვანეს. გუშინ კრემონაში დაკითხეს ეჭვმიტანილები - წარსულში ცნობილი თავდამსხმელი **ჯუზეპე სინიორი** და ორი ბუკმეიკერი - **მასიმო ეროდიანი** და **მარკო პირანი**. ამ ტრიოს მიიჩნევენ იტალიაში დანაშაულებრივი ორგანიზაციის ბოსებად. სწორედ ამ დაჯგუფების საქმიანობის გამოძიებისას ამოტივტივდა ცნობილი სახელები - ვიერი, ტოტი და „ლეჩეს" ფორვარდი **დანიელე კორვია**.

ეს ვარსკვლავური დუეტი ჯერ არ მიიჩნევა ეჭვმიტანილად, მაგრამ მათმა ადვოკატებმა უკვე მიანიშნეს სასამართლოში კლიენტების ღირსების სავარაუდო დაცვის შესახებ.

რაც შეეხება სინიორის, პროკურორ **გვიდო სალვინისთან** დაკითხვაზე ბეპემ კატეგორიულად უარყო მაქინაციებში თავისი მონაწილეობა. ადვოკატებმა განაცხადეს, რომ გამოძიებას ერთადერთი ხელმოსაჭიდი აქვს - სინიორის სახლში ნაპოვნი რვეული ტოტალიზატორში თამაშის წესებით. პოლიცია გამოძიების დროს ეჭვმიტანილების - ეროდიანისა და პირანის ტელეფონებს უსმენდა. ისინი „ფიორენტინასა" და „რომას" მატჩის (2:2) შემდეგ ლაპარაკობდნენ ბოლონიაში გამგზავრებასა და ფულის გაყოფაზე. სწორედ ბოლონიაში ცხოვრობს ამ საქმის ფიგურანტთა უმეტესი ნაწილი, მათ შორის სინიორი, რომელიც გამოძიების ვერსიით შუამავალი იყო ბუკმეიკერებსა და მის ნაცნობ ფეხბურთელებს შორის. „ფიორენტინასა" და „რომას" მატჩზე ეჭვს აძლიერებს ტოტის საუბარი „რომას" ყოფილ ფეხბურთელთან კორვიასთან. ფრანჩესკო ამბობს, რომ მატჩში ბევრი გოლი იქნება და სწორედ ამაზე შეიძლება ფსონის ჩასვლა.

თავად კორვიამ ჯერ კიდევ 16 მაისს მიმართა განცხადებით რომის პროკურატურას უცნობი პირისგან მიღებული სატელეფონო ზარის შესახებ. ეს „უცნობი" ეროდიანი აღმოჩნდა.

იტალიური ფეხბურთის განწმენდის მორიგი ოპერაცია სერია A-მდეც მივიდა. მოკრძალებული „ბენევენტოს" დაპატიმრებულმა მეკარემ **მარკო პაოლონიმ** განაცხადა, რომ სერია A-ს შარშანდელი მატჩი „ინტერსა" და „ლეჩეს" (1:0) შორის ჩაწყობილი იყო. განსხვავებული კლასის გუნდებს შორის მატჩში ფავორიტის დიდი ანგარიშით მოგებას ელოდნენ, მაგრამ მილანელებმა **პაცინის** მონდომებით ერთადერთი გოლი გაიტანეს. როგორც ჩანს, ამაზე ვილაცამ სოლიდური თანხა მოხსნა.

სწორედ ამ მატჩთან დაკავშირებით ამოტივტივდა ვიერის გვარი, რომელიც თითქოს ტოტალიზატორის აქტიური მოთამაშეა და საქმის კურსში იყო „ინტერი"-"ლეჩეს" მატჩის ჩაწყობილ შედეგზე.

მეორე მოწმე, რომელიც პირად ინფორმაციას იღებდა პაოლონისგან (როგორც ჩანს, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ) სერია A-ს სხვა მატჩებზე ჩადიოდა ფსონებს: „ლეჩე"-"კალიარი" (3:3) და „ჯენოა"-"ლეჩე" (4:2). რთული მისახვედრი არ არის, რომ ამ შემთხვევაში „მეტ ბურთზე" თამაშობდნენ... პოლიციის მონაცემებით, მაქინატორებში ყველაზე დიდი პოპულარობით სწორედ ეს ფსონი სარგებლობს. საინტერესოა, რომ ოთხი საეჭვო შეხვედრიდან სამში „ლეჩე" მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაშიც შარშან კორვია თამაშობდა.

რომა 2 წლით ლუის ენრიკესია

ყოფილი ბარსელონელის თანაშემწე ივან დე ლა პენია იქნება

7

წარმოგიდგენთ სეზონის რჩეულებს

პირველობა მიხარია, მაგრამ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია

2

წარმოგიდგენთ სეზონის რჩეულებს

საუკეთესო ფეხბურთელი: ბუბა დაუშვილი (ზესტაფონი)

საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებული (550 ათასი ევრო) ფეხბურთელი მურთაზ (ბუბა) დაუშვილი "ლელომ" სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. "ზესტაფონის" ნახევარმცველი ერთადერთი იყო საქართველოს ჩემპიონატიდან მინვეულთაგან, რომელსაც თემურ ქეცბაია ეროვნულ ნაკრებში სისტემატურად ათამაშებდა – შედარებით ნაკლებად დაიტვირთნენ მეკარე გიორგი ლორია და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ნიკა გელაშვილი; ბუბამ "ზესტაფონის" ჩემპიონობაში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა; მოკლედ, კრიტერიუმებს (ეროვნულ ნაკრებში სარგებლიანობა და საქართველოს ჩემპიონატში წამყვან როლში ყოფნა) ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა და პირველობა მას მივაკუთვნეთ.

დოსიე

დაიბადა 01.05.1989

სიმაღლე 177 სმ, წონა 78 კგ

კარიერა:

2005 წლიდან თამაშობს ზესტაფონში.

82 თამაში, 4 გოლი

ტიტულები:

საქართველოს ჩემპიონი (2011, ზესტაფონი),

საქართველოს თასი (2008, ზესტაფონი),

ასაკობრივი ნაკრებები:

U 17 - 3 თამაში, U19 - 2, U 21 - 11

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩაბარა 6 მატჩი

პირველობა მიხარია, მაგრამ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია

- სეზონის დაწყებამდე ყველა ფეხბურთელს აქვს მიზანი. შენ რაზე ოცნებობდი?

- "ზესტაფონის" დუბლზე, ეროვნული ნაკრების ძირითადში დამკვიდრებაზე და ორივეგან სასარგებლო რომ ვყოფილიყავი. სამწუხაროდ, თასი ვერ მოვიპოვეთ და გული დამწყდა.

- ჩემპიონატში საუკეთესოობაზე არ გიფიქრია?

- ჩემპიონატში ბევრი კარგი მოთამაშეა და, სიმართლე გითხრათ, ვერც ნარმომედგინა, საუკეთესოდ მე თუ დამასახელებდით. თავიდან ვერც ვიჯერებდი.

- ეს შენთვის რას ნიშნავს?

- საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კარიერისთვის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უკვე ბევრს მივაღწიე. მიმაჩნია, რომ ახლა უფრო მეტი მონდომება დამჭირდება, "ზესტაფონსა" და ეროვნულ ნაკრებს რომ გამოვადგე და გულშემატკივარი გავახარო. აღიარება დიდი პასუხისმგებლობა უფროა, მისით გამოწვეული სიხარული კი უკვე წარსულია.

- განვლილ სეზონზე ვილაპარაკოთ.

- რთული სეზონი გამოდგა, "დინამოსთან" და "ოლიმპთან" ბრძოლა იოლი არ იყო, ძალიან მომეწონა ქუთაისის "ტორპედოც". დიდი პოტენციალის გუნდია და დასაწყისში ბევრი ქულა რომ არ დაეკარგა, ჩემპიონობისთვის ისიც იბრძოლებდა. მაგრამ "ზესტაფონმა" ოქროს მედლები ერთსულოვნებითა და მონდომებით დაიმსახურა.

სხვათა შორის, სეზონში ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა იყო, მეორე ეტაპზე "დინამოს" შინ 1:0 რომ მოვუგეთ, რომელშიც არ მითამაშია. იმ დღეს ჭანკოტაძის გოლმა, ფაქტობრივად, ჩემპიონობა მოგვიტანა... გიორგი ძალიან ნიჭიერი ბიჭია და წარმატებას ვუსურვებ.

დამამახსოვრდა ქუთაისის "ტორპედოსთან" მატჩიც ზესტაფონში - 0:1-ს ვაგებდით, მაგრამ დუბლი შევასრულე და გავიმარჯვეთ.

რაც მთავარია, ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი ჩავატარე. ეს იყო ჩემი ოცნება და მიხარია, ქეცბაია რომ მენდო.

- შენი საუკეთესოდ დასახელება ეროვნულ ნაკრებში სისტემატურმა თამაშმა განაპირობა. არადა, საქართველოს ჩემპიონატიდან სანაკრებო დონეზე გადართვა საკმაოდ ძნელია.

- რა თქმა უნდა, ძნელია. სულ სხვა არის მოთამაშეთა კლასი, სისწრაფეები, ასპროცენტიანი კონცენტრაცია და მონდომება მოგეთხოვება. თავიდან გადაწყობა მიჭირდა, ვნერვიულობდი, რადგან გამოცდილება მაკლდა. მაგრამ თამაშებმა ბევრი რამ შემძინა. ისიც ბევრს ნიშნავს, ცნობილი ფეხბურთელების გვერდით რომ ვთამაშობ. ამ ყველაფრის შედეგად მღელვარება დავძლიე და უფრო გავთამამდი. თანაც, ეროვნულ სტადიონზე 60 ათასი კაცი იმედით რომ გიყურებს, ეს დიდ ძალას გმატებს და შეგიძლია თუ არა, თავი უნდა დადო.

თუმცა, ვიმეორებ, მე ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია და ყველა შეხვედრაში უნდა დავამტკიცო, ეროვნულში თამაშს რომ ვიმსახურებ. იქ მოდუნებისა და შეცდომის უფლება არავის აქვს, მით უფრო, მე. რეალურად რომ ვთქვათ, გულშემატკივარი გასულ წელს კარგად არც მიცნობდა, რადგან ეროვნული ჩემპიონატის მიმართ დიდი ინტერესი არ აქვთ.

- ხორვატიასთან ბოლო შეხვედრაზე რას იტყოდი?

- ბევრი კი ვეცადეთ, ვიომეთ, 75 წუთი თავს კარგად ვიცავდით, მაგრამ წინ წასვლას ვერ ვახერხებდით. ხორვატებს მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ და უპირატესობა გამოიყენეს. მეტი კონცენტრაციაც მოგვეთხოვებოდა, ერთ ეპიზოდში პირადად მე დავუშვი შეცდომა... სეზონის ბოლოს ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური გადაღლა გვახასიათებს, ეტყობა, 3 ივნისს ეს ჩვენ უფრო დაგვეტყო, ვიდრე ხორვატებს.

- წინ ვერ მივდიოდითო, თქვი, მწვრთნელმა დაგავალათ დაცვაზე ორიენტაცია თუ შეტევას ფიზიკურად ვერ ახერხებდით?

- სამწუხაროდ, ვერ ვახერხებდით. თბილისური ნაგების გამო ხორვატებმა განსაკუთრებული მონდომებით ითამაშეს. დასანანი მარცხი იყო, მაგრამ ძლიერი მეტოქე გვყავდა და 3 ივნისის მერე ხორვატიაში წაგება არ ნიშნავს, რომ საქმე ცუდად მიდის, ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, ქეცბაიამ კი ეს უმოკლეს დროში მოახერხა. არ გახსოვთ, მის დანიშვნამდე ხალხი სტადიონისკენ აღარ იხედებოდა, ახლა კი გულშემატკივარი შემოტრიალდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქეცბაიას ნაკრების მშენებლობა უნდა ვაცადოთ.

- მაგრამ ნაკრებმა სპლიტში იმდენად უსახურად ითამაშა, ყველა კითხულობდა, ნუთუ ამის მეტი არ შეგვიძლია?

- პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია, მაგრამ გუნდზე მისი მშენებლობის პროცესში ვერ იმსჯელებ, როდესაც ტრავმირებულები და ახალი თაობის ნიჭიერი ბიჭები დაგვემატებიან, გუნდის პოტენციალზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა იმხელა კონკურენციაა, შეუძლებელია, ეს შედეგზე არ აისახოს.

- "ზესტაფონში" როდემდე რჩები?

- კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება და მინდა, უცხოეთში მოვსინჯო ძალა. "ზესტაფონმა" და საქართველოს ჩემპიონატმა ბევრი შემძინა, სწორედ აქ შემნიშნეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა, მაგრამ კიდევ უნდა მოვუმატო, გავიზარდო და ბევრი ვისწავლო, რაც ევროპაში უფრო შესაძლებელია. ნაკრებში მოხვედრით რომ დავკმაყოფილდე, ერთი ადგილის ტკეპნას დავიწყებ. თანაც "ზესტაფონმი" 6 წელია, ვთამაშობ, გუნდს სულითა და გულით ვემსახურე და ალბათ, წასვლის დრო დადგა. თუმცა ჯერ კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს.

- ჩემპიონათა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობა არაფერია, თუ გუნდმა ევროპის ლიგამდე მაინც არ მიაღწია. შენი აზრით, დღევანდელი "ზესტაფონი" საამისოდ მზად არის?

- გუნდის პოტენციალში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ეს სერიოზული ტურნირია და გამართლებაც გვჭირდება. თუმცა ევროტურნირი ყველაზე კარგად გვაჩვენებს, რეალურად რა დონეზე ვართ.

- საინტერესო დეტალი შევნიშნე – ადრე ნაკრებში ბურთს უკან ხშირად აგზავნიდი, ახლა კი შეტევებს იწყებ. ეს იმიტომ, რომ გაცილებით თავდაჯერებული გახდი. ცხადია, სპლიტურ მატჩს არ ვგულისხმობ, სადაც გუნდი თავის თავს არ ჰგავდა.

- ნაკრებში თამაში იმხელა პასუხისმგებლობაა, ახლაც ვღელავ, მაგრამ გამოცდილებამ მართლაც თავდაჯერებული გამხადა. და მაინც, საკუთარ თავს ნაკრებში ბევრად უკეთეს თამაშს ვთხოვ.

მერაბ მამულაშვილი

● გაგრა

ევროდღეგრეტები ოვონიკოკოდ

საქართველოს თასის მფლობელი "გაგრა" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და პირველ ლიგაში გამარჯვებასთან ერთად ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. თუმცა სეზონისთვის მზადებას ევროთასზე მოასპარეზე სხვა გუნდებზე გვიან დაიწყებს.

კლუბის პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** თქმით, გუნდის ნევრები 12-13 ივნისს სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, 14 ივნისიდან მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** სამი დღის განმავლობაში კროსებს გეგმავს, 17 ივნისს კი ინტენსიური ვარჯიშები დაიწყება.

კლუბში ჯერ ვერ აკონკრეტებენ ნამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა უცნობია ისიც, ვის გაუგრძელებენ კონტრაქტს. თუმცა შეკრების დაწყებამდე ბევრი არაფერი დარჩა და გასარკვევი რამდენიმე დღეში გაირკვევა, მათ შორის შეკრების საკითხიც - სად მოემზადება "გაგრა".

ახლა მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ გუნდს ევროპის ლიგაზე თავდამსხმელი **აბაიომო სეუნი ოვონიკოკო** ვერ დაეხმარება.

"სამწუხაროა, რომ ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ევროთასზე ვერ დაგვეხმარება, ოვონიკოკოს ოპერაციის გაკეთება მოუწევს. მას მუხლის ჯვარედინი იოგები გაუწყდა და ოპერაციის გარეშე მოედანზე ვერ დაბრუნდება. არადა, მისი დიდი იმედი გვქონდა. ასეთი ტრავმის მკურნალობას კი არცთუ მცირე დრო სჭირდება" – ამბობს აფხაზავა.

მერაბ მამულაშვილი

აბაიომო ოვონიკოკი

● ზესტაფონი

კატუშიჩი ნავიდა

"ზესტაფონი" ფიზმომზადების მწვრთნელმა **ივო კატუშიჩმა** დატოვა. ხორვატ სპეციალისტს იმერულ კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა და მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობა აღარ გახანგრძლივებულა.

კატუშიჩი "ზესტაფონში" 2010 წლის დასაწყისიდან მუშაობდა, მანამდე კი თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა ფიზმომზადებაზე ზრუნავდა.

ლევან ჯანეზაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

U17

უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ბაქოში "კასპიის თასზე" იასპარეზებს. **ვასილ მაისურაძის** გუნდი B ჯგუფში მოხვდა, სადაც 11 ივნისს ყახაზეთს შეხვდება, 12 ივნისს - ტაჯიკეთს, 14-ში კი - ესპანეთს. ფინალში მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გადიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს ნაკრების ბაქოური შემადგენლობაა გამოქვეყნებული.

მეკარეები: **ნიკოლოზ შერმადინი, ალექსანდრე ადამია** (ორივე - „ოლიმპი", რუსთავი);

მცველები: **გიორგი გაბაძე, ნიკოლოზ ჭანტურია, გიორგი გოროზია ამირან გუგუშვილი** (ყველა - „ლოკომოტივი", თბილისი), **ალექსანდრე ჩაკვეტაძე** („ოლიმპი", რუსთავი);

ნახევარმცველები: **თორნიკე მაჭავარიანი, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, ოთარ კაკაბაძე** (ყველა - „დინამო" თბილისი), **ნიკოლოზ ახვლედიანი** („ბაია", ზუგდიდი), **მათე ცინცაძე** („ლოკომოტივი", თბილისი), **გიორგი პაპუნაშვილი, ბექა მელიქიძე** (ორივე - „ოლიმპი", რუსთავი),

თავდამსხმელები: **ალექსანდრე მზევაშვილი** („ოლიმპი", რუსთავი), **დავით დარციმელია** („ლოკომოტივი", თბილისი), **ვანო წილოსანი** („დინამო" თბილისი), **დავით მაკარაძე** („სულაქველიძის აკადემია").

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა აზერბაიჯანში გამგზავრებამდე შეკრება ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზე გაიარა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი

ზურაბ ხიზანიშვილი:

შოთამ უფრო იაქტიურა

საქართველოს ნაკრებისა და ინგლისური პრემიერშიპის "რედინგის" ფეხბურთელს **ზურაბ ხიზანიშვილს** „ბლექბერნთან" კონტრაქტი დაუმთავრდა (იჯარით „რედინგში" სწორედ ამ კლუბმა გაუშვა), თავისუფალი აგენტი გახდა, თურქეთის „კაისერს" მოელაპარაკა და მალე **შოთა არველაძის** გუნდთან კონტრაქტს (2+1) გააფორმებს.

29 წლის მცველმა ინგლისის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც "რედინგმა" „უემბლიზე" „უელსურ „სუონსისთან" გადათამაშებაში 2:4 წააგო და პრემიერშიპში დარჩა.

ხიზანიშვილმა დაგვიდასტურა, რომ მისით დაინტერესებულები იყვნენ ბუნდესლიგაში დაბრუნებული ბერლინის „ჰერტა", ფრანგული ლიგა 1-ის „ტულუზა", აგრეთვე ჰაიფას "მაკაბი".

"ამ გუნდებიდან წინადადებები მართლაც მქონდა, დარჩენა და ახალი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა „რედინგმაც", მაგრამ ყველაზე მეტად შოთა არველაძემ და "კაისერმა" იაქტიურეს, მოცდას და სხვებთან დალაპარაკებას აზრი აღარ ჰქონდა. ცხადია, გადამწყვეტი ფაქტორი შოთასთან მეგობრობა იყო. დიდი ხანია, ვიცნობ, საქართველოს ნაკრებსა და "რეინჯერსში" ერთად გვითამაშია, კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები, მენდობა და დასაფიქრებელი არაფერი იყო" – გვითხრა ხიზანიშვილმა.

მერაბ მამულაშვილი



ზურაბ ხიზანიშვილი

უსაფრთხოება სტადიონებზე

რა გვჭირდება ევროდონისთვის

ევროტურნირების დაწყებამდე დაახლოებით სამი კვირა რჩება და ამ წერილით გვსურს, თქვენი ყურადღება იმ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე შევაჩეროთ, რასაც არცთუ ხშირად ვეხებით – ვგულისხმობთ სტადიონებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას, რასაც ფიფა-უეფა უდიდეს ყურადღებას აქცევენ და მასპინძელ კლუბს თითოეული წვრილმანი დეტალის გათვალისწინებასაც კი უმკაცრესად სთხოვენ.

მატჩების უსაფრთხო გარემოში ჩატარება ეროვნულ ჩემპიონატსა თუ თასზეც უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ევროტურნირებზე განსაკუთრებული მოთხოვნებია და გადავწყვიტეთ, მოახლოებული საერთაშორისო შეხვედრების წინ ამ თემას შეძლებისდაგვარად ამომწურავად შევეხოთ.

სტატიის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია თბილისის "დინამოს" მატჩების ორგანიზების მენეჯერმა **გია ისიანმა**, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციები საყურადღებო უნდა იყოს როგორც კლუბების წარმომადგენლებისთვის, ასევე გულშემატკივრებისთვის.

სავარაუდოდ, ევროტურნირების დაწყებამდე ისიანი საკუთარ მოსაზრებებს საერთაშორისო ასპარეზზე გასული სხვა კლუბების ("ზესტაფონი", "გაგრა", "ოლიმპი") მედიაოფიცრებსაც გაუზიარებს.

ამ შეხვედრებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რამდენიმე დღეში გიამბობთ, ახლა კი თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ როგორც ევროთასების, ასევე შიდა ტურნირების შესახებ.

გია ისიანი

მეტი თავისუფლება მედიას

თუკი ეროვნულ სტადიონზე საკონფერენციო დარბაზი მხოლოდ მატჩისშემდგომი პრესკონფერენციისთვის იღებოდა, ამიერიდან ევროთასებისა და ეროვნული ტურნირების შეხვედრების დროს დარბაზის კარი მუდმივად ღია იქნება, რაც ჟურნალისტებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას გაუადვილებს. მედიელთა განკარგულებაში იქნება ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები.

ავტომობილის მფლობელ ჟურნალისტებს კი სტადიონის ტერიტორიაზე შესვლა და ავტომობილის სადგომზე გაჩერება სპეციალური საშვებით შეეძლებათ. თითოეულ რედაქციაზე ორი სამანქანო საშვი გამოიყოფა.

ეროვნულ სტადიონზე მალე გამოჩნდებიან სტიუარდები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ჟურნალისტებს, საპატიო სტუმრებსა და გულშემატკივრებს დააკვალიანებენ.

ფოტორეპორტიორების საგანგებო ნომრიანი გადასაცმელებით უზრუნველყოფას "დინამო" იკისრებს. კლუბს მედიელთა მიმართ ერთი თხოვნაც აქვს: მოედნის კიდესთან მწვრთნელებთან ინტერვიუს ჩაწერისგან თავი შეიკავონ და ცნობისმოყვარეობა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დაიკმაყოფილონ, ფეხბურთელებს კი მიქს-ზონაში გაესაუბრონ, რომელიც გასახდელების მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული.

ფანატებს ფეხბურთელებს დააშორებენ

"ბევრმა თამაშმა დამანახვა, რომ ფანატების სათადარიგოთა სკამების უკან განთავსება მიზანშეუწონელია", - ამბობს ისიანი - ხშირია ზეწოლა მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებზე, რასაც ზოგჯერ ტრიბუნებსა თუ მოედანზე უმართავი პროცესები მოსდევს, იყო მოედანზე გულშემატკივართა შევარდნის ფაქტებიც".

პროვოკაციების პრევენციის მიზნით გულშემატკივართა გაერთიანებებს ეროვნულ სტადიონზე სათადარიგოთა სკამებისგან მოშორებით გაამწესებენ და ისიანი იმავეს გაკეთებას ურჩევს სხვა კლუბების წარმომადგენლებსაც.

ეროვნული ჩემპიონატი

ბიბლიოთეკა

ლეგენდები საფეხბურთო აკადემიებსაც ეწვევიან ხოლმე და მოზარდებს სტადიონზე დაპატიჟებენ. ფეხბურთელი და არაფეხბურთელი ბავშვებისთვის სპეციალური, წითელი ფერის ბილეთები გამოიყოფა, ბავშვებს პირველი იარუსის მესამე სექტორში, "დინამოს" ფანკლუბის ქვეშ განათავსებენ.

პეტარდები გამოირიცხება, გაგრილება ინებეთ

გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ სტადიონზე პეტარდებისა და სხვა აალებადი ნივთების შეტანას კლუბისთვის სოლიდური ფინანსური სანქციის დაწესება მოჰყვება. ისიანის აზრით, კარგი იქნება, თუ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად კანონს მიიღებენ და სტადიონზე აკრძალული ნივთებით შესულ ქომაგებს ადმინისტრაციულ სასჯელს დააკისრებენ.

როგორც იცით, აკრძალულია ტრიბუნაზე პლასტმასის ბოთლების შეტანა, არადა, გამაგრილებელი სასმელის გარეშე 90 წუთის გაძლება, მით უმეტეს, ზაფხულის სიცხეში, ბევრს არ შეუძლია. "დინამოს" ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაჭრასაც აპირებს და ეროვნულ სტადიონზე სპეციალური სერვისის დანერგვას გეგმავს - მაყურებლებს გამაგრილებელი სასმელების ადგილზე შეძენა შეეძლებათ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაპარაკია უალკოჰოლო სასმელებზე, ალკოჰოლური სასმელები კი, ლუდის ჩათვლით, ფიფა-უეფას მიერაა აკრძალული.

ისიანის აზრით, კარგი იქნება, თუ წინასამატჩო ე. წ. მიტინგებს სამართალდამცავებიც დაესწრებიან. ცნობისთვის, მატჩების უსაფრთხოებას იცავენ ქალაქის პოლიციის სამმართველო, დაცვის პოლიცია და სტადიონის კერძო დაცვა.

ორი დროული რეკომენდაცია

როგორც უკვე გითხარით, ეროვნული ჩემპიონატის თემას უახლოეს მომავალში განვავრცობთ, წერილს კი მასთან დაკავშირებული ორი რეკომენდაციით დავასრულებთ: კარგი იქნება, თუ უმაღლესი ლიგის კლუბები საშინაო მატჩებისთვის მინიმუმ რვა ბურთს

ბავშვებისთვის უფასოდ

ეროვნული ჩემპიონატის მაყურებელთა სიმცირის პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად "დინამო" საკუთარ მატჩებზე ბავშვებს მიიყვანს, რომელთათვისაც სტადიონზე შესვლა უფასო იქნება. საშუალო სკოლებში ხშირი სტუმრობის პარალელურად, დინამოელები საფეხბურთო აკადემიებსაც ეწვევიან ხოლმე და მოზარდებს სტადიონზე დაპატიჟებენ. ფეხბურთელი და არაფეხბურთელი ბავშვებისთვის სპეციალური, წითელი ფერის ბილეთები გამოიყოფა, ბავშვებს პირველი იარუსის მესამე სექტორში, "დინამოს" ფანკლუბის ქვეშ განათავსებენ.

პეტარდები გამოირიცხება, გაგრილება ინებეთ

გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ სტადიონზე პეტარდებისა და სხვა აალებადი ნივთების შეტანას კლუბისთვის სოლიდური ფინანსური სანქციის დაწესება მოჰყვება. ისიანის აზრით, კარგი იქნება, თუ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად კანონს მიიღებენ და სტადიონზე აკრძალული ნივთებით შესულ ქომაგებს ადმინისტრაციულ სასჯელს დააკისრებენ.

როგორც იცით, აკრძალულია ტრიბუნაზე პლასტმასის ბოთლების შეტანა, არადა, გამაგრილებელი სასმელის გარეშე 90 წუთის გაძლება, მით უმეტეს, ზაფხულის სიცხეში, ბევრს არ შეუძლია. "დინამოს" ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაჭრასაც აპირებს და ეროვნულ სტადიონზე სპეციალური სერვისის დანერგვას გეგმავს - მაყურებლებს გამაგრილებელი სასმელების ადგილზე შეძენა შეეძლებათ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაპარაკია უალკოჰოლო სასმელებზე, ალკოჰოლური სასმელები კი, ლუდის ჩათვლით, ფიფა-უეფას მიერაა აკრძალული.

ისიანის აზრით, კარგი იქნება, თუ წინასამატჩო ე. წ. მიტინგებს სამართალდამცავებიც დაესწრებიან. ცნობისთვის, მატჩების უსაფრთხოებას იცავენ ქალაქის პოლიციის სამმართველო, დაცვის პოლიცია და სტადიონის კერძო დაცვა.

ორი დროული რეკომენდაცია

როგორც უკვე გითხარით, ეროვნული ჩემპიონატის თემას უახლოეს მომავალში განვავრცობთ, წერილს კი მასთან დაკავშირებული ორი რეკომენდაციით დავასრულებთ: კარგი იქნება, თუ უმაღლესი ლიგის კლუბები საშინაო მატჩებისთვის მინიმუმ რვა ბურთს წარმოადგენენ, რაც ისედაც დაბალტემპიან თამაშებს უფრო მეტად აღარ შეაფერხებს. ცნობისთვის, აქამდე შიდა ასპარეზზე კლუბებს მინიმუმ ხუთი ბურთის ქონა ევალებოდათ; და მეორე, არცთუ უმნიშვნელო დეტალი: სასურველია, მომავალი სეზონიდან დელეგატებს მატჩებზე ოფიციალური სამოსით მისვლა მოეთხოვოთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ვიტ ჯორჯია

ვიგელების კიდევ ერთი

ირაკლი ხუჭუა

"ვიტ ჯორჯიამ" გუშინ მეორე ახალწვეული გაიფორმა – კლუბთან სამნლიან კონტრაქტზე ხელი 19 წლის **ირაკლი ხუჭუამ** მოაწერა.

ხუჭუა მარცხენაფლანგელია, უთამაშია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში, "ვიტ ჯორჯიაში" მისვლამდე მისი სატრანსფერო უფლებები "გაგრას" ეკუთვნოდა.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ვეტერინარებმა კონტრაქტი "სამტრედიას" ყოფილ მცველ **გიორგი ხუმარაშვილს** გაუფორმეს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ბავშვთა ფეხბურთი

ბათუმელებმა ლანჩხუთში აჭარული იცეკვეს

გუშინ ლანჩხუთში 1998-99 და 2000-01 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის ლეგენდარული მწვრთნელის, **ანდრო ჟორდანიასა** და „გურიას" დიდი მოჭირნახულის, **იმედო დუნდუას** ხსოვნის ტურნირების ფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართა. ეს შეჯიბრებები ყოველწლიურად ტარდება და სეზონის ბოლოს ჯგუფებში გამარჯვებულები ჩემპიონის ვინაობას ლანჩხუთში არკვევენ.

პატარების ტურნირის ნახევარფინალში ლანჩხუთელებმა ფოთელ თანატოლებს აჯობეს, ხოლო ბათუმელებმა თანაკუთხელები — ქობულეთელები დაამარცხეს. ფინალურ შეხვედრაში **გოჩა ყულეჯიშვილის** განვრთნილმა „ადელმა" მასპინძლებს 7:4 მოუგო და იმედო დუნდუას თასის მფლობელი გახდა. ასევე ლანჩხუთურ-ბათუმური გამოდგა ანდრო ჟორდანიას ხსოვნის ტურნირის ფინალი — მანამდე კი გურული დერბი მასპინძლებმა მოიგეს, ხოლო ბათუმის „ლუკამ" ურთულეს ბრძოლაში პენალტებით სამტრედიელები დაამარცხა. ფრედ დასრულებული ფინალური შეხვედრის შემდეგ „გურიას" ფეხბურთელებმა უფრო მეტი პენალტი გააცუდეს და ტურნირიც ბათუმელთა ტრიუმფით დასრულდა. გამარჯვებულებს და გამორჩეულ მობურთალებს სამახსოვრო თასები გადაეცათ.

პატარა ბათუმელებმა დიდად გაიხარეს

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჭაბუკთა შეხვედრებს დაესწრნენ საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გოჩა ტყეებუჩავა** და მისი თანაშემწე **გია ხიზანიშვილი**. ნაკრების მწვრთნელები კმაყოფილები დარჩნენ და რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშეც ჩაინიშნეს.

„ორივე ტურნირს ჩვენი ფედერაცია ატარებს. წლევანდელი ფინალური ეტაპები განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა. რაც ყველაზე მთავარია, კარგი თაობა მოდის" — გვითხრა გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა **კახა ებრალიძემ**. აქვე გეტყვით, რომ მისი ვაჟი — გიორგი ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ ტურნირზე და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ყოფილი წევრის იმედო დუნდუას ხსოვნის ტურნირს მისივე სახელობის სტადიონმა უმასპინძლა, ხოლო ანდრო ჟორდანიას ხსოვნისას - ერთ დროს ლეგენდარული მწვრთნელის სახელობის „გურიას"სტადიონმა.

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს თემურ ქეცბაიას დედის გარდაცვალების გამო.

საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თემურ ქეცბაიას დედის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" სამძიმარს უცხადებს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს თემურ ქეცბაიას დედის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი მსაჯის, ეროვნული კატეგორიის არბიტრის
თამაზ ლორთქიფანიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, ყოფილი მსაჯი
თამაზ ლორთქიფანიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 9 ივნისს 15 საათზე. მისამართი: ვაზისუბანი IV მ/რ, I კვ. მე-14 კორპ. II სადარბაზო.

საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. ვიტ ჯორჯია

5		სულ							შინ							ერთიანი						
	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გურთები გატ	გაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	გურთები გატ	გაშვ	ქ	ქულა						
	ვიტ ჯორჯია	36	14	6	16	35	41	48	18	8	3	7	23	20	27	18	6	3	9	12	21	21

„ვიტ ჯორჯიას" ყველა მატჩი

I ეტაპი

I წრე

II ტური	ვიტ ჯორჯია-ბაია	2:1
III ტური	კოლხეთი-ვიტ ჯორჯია	2:0
IV ტური	ვიტ ჯორჯია-სამტრედია	4:2
V ტური	სიონი-ვიტ ჯორჯია	0:0
I ტური	ოლიმპი-ვიტ ჯორჯია	2:1
VI ტური	სპარტაკი-ვიტ ჯორჯია	1:2
VII ტური	ვიტ ჯორჯია-ტორპედო	1:0
VIII ტური	დინამო-ვიტ ჯორჯია	2:0
IX ტური	ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი	0:2

II წრე

X ტური	ვიტ ჯორჯია-ოლიმპი	0:4
XI ტური	ბაია-ვიტ ჯორჯია	1:0
XIV ტური	ვიტ ჯორჯია-სიონი	1:0
XII ტური	ვიტ ჯორჯია-კოლხეთი	5:1
XIII ტური	სამტრედია-ვიტ ჯორჯია	1:0
XV ტური	ვიტ ჯორჯია-სპარტაკი	0:1
XVI ტური	ტორპედო-ვიტ ჯორჯია	0:1
XVII ტური	ვიტ ჯორჯია-დინამო	0:1
XVIII ტური	ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია	3:0

II ეტაპი

III წრე

XIX ტური	ოლიმპი-ვიტ ჯორჯია	2:1
XX ტური	ვიტ ჯორჯია-ბაია	1:1
XXI ტური	კოლხეთი-ვიტ ჯორჯია	0:2
XXII ტური	ვიტ ჯორჯია-სამტრედია	2:0
XXIII ტური	სიონი-ვიტ ჯორჯია	1:2
XXIV ტური	სპარტაკი-ვიტ ჯორჯია	0:1
XXV ტური	ვიტ ჯორჯია-ტორპედო	2:1
XXVII ტური	ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი	1:1
XXVIII ტური	ვიტ ჯორჯია-ოლიმპი	0:1

IV წრე

XXIX ტური	ბაია-ვიტ ჯორჯია	1:0
XXX ტური	ვიტ ჯორჯია-კოლხეთი	1:1
XXXI ტური	სამტრედია-ვიტ ჯორჯია	0:1
XXVI ტური	დინამო-ვიტ ჯორჯია	1:1
XXXII ტური	ვიტ ჯორჯია-სიონი	3:0
XXXIII ტური	ვიტ ჯორჯია-სპარტაკი	1:1
XXXIV ტური	ტორპედო-ვიტ ჯორჯია	0:0
XXXV ტური	ვიტ ჯორჯია-დინამო	0:2
XXXVI ტური	ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია	4:0

„ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელების მონაგარი



მერაბ კოჭლაშვილი

მწვრთნელები

მერაბ კოჭლაშვილი (I-XXX ტური)
ზურაბ ბერიძე (XXVII, XXXI-XXXVI ტური)

მეკარეები: **არდალიონ მიქაბერიძე-24, გიორგი ძაძამია-13;**

მცველები: **გურამ ადამაძე-34 (1), რევაზ ღანიაშვილი-33 (1), ლაშა კასრაძე-32, გიგა ბეჭვაია-29 (7), დავით ხურცილავა -23 (1), ჯემალ გოგიაშვილი-16, დავით ლომაია-9, ირაკლი ჭანკვეტაძე-7;**

ნახევარმცველები: **გიორგი ჯანელიძე-34 (1), გურამ გურეშიძე-32 (1), გიორგი ვასაძე-27 (1), დავით მაისაშვილი-24, გიორგი კორიფაძე-24 (1), ირაკლი კლიმიაშვილი-16(1), გიორგი გურეშიძე-6 (1), გიგა ჯუღელი-1;**

თავდამსხმელები: **ბესიკ ჩიმაკაძე-35 (6), ბექა ზაქრაძე-31 (2), ჯაბა ლიპარტია-18 (6), მიხეილ როსტიაშვილი-13(1), ლაშა გაბრიჭიძე-4, ვახტანგ კვარაცხელია-3 (3).**

ბესიკ ჩიმაკაძე

● ტრანსფერი

ჰენდერსონი გაანითლდა, ნგოგი გაშავდა

„სანდერლენდის“ 20 წლის ნახევარმცველი ჯორდან ჰენდერსონი „ლივერპულში“ გადასვლას დაყაბულდა. მხარეებს შორის ყველაფერი გარკვეულია. მერსისაიდელები „შავ კატებს“ 20 მილიონ ფუნტს გადაუხდიან, ჰენდერსონს კი „ენფილდ როუდზე“ სამედიცინო შემოწმების გავლაღა დასჭირდება.

ჯორდან ჰენდერსონი

გუშინ ჯორდან ჰენდერსონი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად დანიას გაემგზავრა, სადაც ახალგაზრდათა შორის ევროპის ჩემპიონატი იწყება. ის „წითლებთან“ კონტრაქტზე ხელს დაბრუნების შემდეგ მოაწერს. აღსანიშნავია, რომ „ლივერპულსა“ და „სანდერლენდს“ შორის გარიგებაში 22 წლის ფრანგი თავდამსხმელის, **დავიდ ნგოგის** ტრანსფერიც შედის. ბუნებრივია, ნგოგი ჰენდერსონის საპირისპირო მარშრუტს გაივლის ანუ მერსისაიდიდან სანდერლენდში გადაბარგდება.

ამრიგად, **კენი დალგლიშმა** ზაფხულის პირველი დიდი ტრანსფერი უკვე განახორციელა, ახლა ჯერი „ბლექბერნიდან“ 19 წლის **პილ ჯონსის** გადაბირებაზეა. კიდევ, მერსისაიდელები და მათი შოტლანდიელი მწვრთნელი შეეცდება „ბლექპულის“ კაპიტანი, 25 წლის **ჩარლი ადამი** იყიდოს და ზედაც „იფსვიჩის“ 18 წლის თავდამსხმელი **კონორ უიკჰემი** დაამატოს.

შეგახსენებთ ადამის თავგადასავალს: „ლივერპულში“ გადასვლა მას იანვარშივე უნდოდა, მაგრამ მოლაპარაკება, რომელმაც კულმინაციას ეგრეთ წოდებული სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მიაღწია, ჩაიშალა. ამის მიუხედავად, მერსისაიდელებმა, რომელთა მეპატრონეც ამერიკული Fenway Sports Group გახლავთ, გადაწყვიტეს იმედი არ გადაეწურათ და გამთამაშებელი ზაფხულში ეყიდათ. აქ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადამი, გარდა იმისა, რომ კარგი ფეხბურთელია, შოტლანდიელია, „ლივერპულს“ კი ბრიტანელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის შექმნა აქვს მიზნად დასახული.

ისევ ჰენდერსონის ამბავს დავუბრუნდეთ. როდესაც გაირკვა, რომ „ლივერპულს“ „სანდერლენდიდან“ მისი აკადემიის აღზრდილი ფეხბურთელის ყიდვა უნდოდა, „შავმა კატებმა“ ერთი ამბავი ატეხეს, გამოაცხადეს, რომ ეს მოთამაშე მათთვის ძვირფასი იყო და არ იყიდებოდა, მაგრამ ყველასთვის და მათ შორის მწვრთნელ **სტივ ბრუსისთვის** იმთავითვე ნათელი გახლდათ, რომ ყველა ფეხბურთელს თავისი გასაქანი და ფასი აქვს. შესაბამისად, როდესაც ითქვა, რომ ჰენდერსონი დაახლოებით 20 მილიონი ფუნტის ფარგლებში უნდა გაიყიდოს, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა. ზოგადად კი ბრუსს, რასაკვირველია, არ უნდოდა იმ ფეხბურთელის გაყიდვა, რომელმაც გასულ სეზონში მისი გუნდისთვის ბევრი გააკეთა და ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი იყო.

ერთი სიტყვით, ისევე, როგორც იანვარში, „ასტონ ვილასთვის“ 27 წლის **დარენ ბენტის** მიყიდვის შემთხვევაში, „შავმა კატებმა“ ფული ამჯერადაც კარგად მოხვეტეს - ბენტი ბირმინგემში 24 მილიონ ფუნტად გაიყიდა, თუმცა, თუ ამ თანხას კლუბი სწორად არ დახარჯავს, ბუნებრივია, პრობლემის წინაშე დარჩება. რად უნდა ლაპარაკი, რომ ჰენდერსონის წასვლის შემდეგ „სანდერლენდს“ მოედანზე შესავსები სივრცე დარჩება.

ჰენდერსონი ნოემბერში საფრანგეთთან სათამაშოდ ეროვნულ გუნდშიც კი გამოიძახეს, მაგრამ ეს შეხვედრა ჯერჯერობით ერთადერთი აღმოჩნდა მის სანაკრებო კარიერაში. აი, კლუბში კი ორი სეზონის მანძილზე შეუცვლელი იყო.

ზემოთ შესავსები სივრცე ვახსენეთ. კი მაგრამ, განა ბრუსმა ბენტის მიერ დატოვებული სიცარიელე შეავსო? რასაკვირველია, არა. ამ ყველაფერს კი ისიც ემატება, რომ რამდენიმე ნაქირავები ფეხბურთელი თავიანთ კლუბებს უბრუნდება. კერძოდ, **დენი უილბეკი** „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუბრუნდება, **ნედუმ ონუოჰა** - „მანჩესტერ სიტის“, **ჯონ მენსა** - „ლიონს“, ხოლო **სალი მუნტარი** - „ინტერს“.

ამბობენ, რომ დანაკლისის შესავსებად ბრუსი სამი თავდამსხმელის შეძენას აპირებს... ერთი უკვე იყიდა და მის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ — ლაპარაკია დავიდ ნგოგზე. ეს ტრანსფერი შესაძლოა თავად ნგოგისთვისაც ძალიან წარმატებული გამოდგეს, რადგან 2008 წლის ანუ „ლივერპულში“ „პარი სენ ჟერმენიდან“ გადასვლის შემდეგ, ის მეორეხარისხოვან მოთამაშედ იქცა.

ახლა, „შავ კატებს“, ჰენდერსონის შემცვლელიც მოსაძებნი ჰყავთ და, რაც მთავარია, თავიანთი გულშემატკივრისთვის აქვთ პასუხი გასაცემი. ფანებს ხომ ჯერ დარენ ბენტის გაქცევა არ ჰქონდათ მონელებული.

● ინგლისის ნაკრები

ერთიანი ინგლისელი

დევიდ ბექჰემი კრაუჩი



პიტერ კრაუჩი

პიტერ კრაუჩი გაბრაზებული და შეურაცხყოფილია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ინგლისის ნაკრებს შემოსწყრება და სამშობლოს მთავარ გუნდში აღარ ითამაშებს. „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 30 წლის თავდამსხმელი მაგალითს **დევიდ ბექჰემისგან** იღებს. ვის-ვის და ბექჰემს ყოველთვის საუცხოოდ შეეძლო ემოციის მოთოკვა და თავით საქმეში გადაშვება. ერთი სიტყვით, კრაუჩი სიმწრისგან ტუჩს იკვნეტს, მაგრამ ამბობს, რომ ინგლისის ნაკრების წევრობა მისთვის საამაყოა და მომავალი სეზონიდან დიდი სიამოვნებით მოიხდის ქვეყნის წინაშე თავის ვალს. ოღონდ... თუ გამოიძახებენ.

მაინც რა ეწყინა ასე ძალიან ფორვარდს, რომელსაც ეროვნულ გუნდში 42 შეხვედრა აქვს ჩატარებული? ის, რომ შაბათს, ინგლისისა და შვეიცარიის ნაკრებთა შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზეც კი არ დასვეს.

„ასეთი რამ „ტოტენჰემში“ რომ მომხდარიყო, ჰარი რედნაპი მეტყოდა რატომ არ მათამაშებს და რას უნდა ველოდო მომავალში, ფაბიო კაპელოს კი თავი ფეხბურთელებისგან შორს უჭირავს. ეს ის კაცი არ არის, ფეხბურთელს მამაშვილურად მხარზე ხელს რომ გადახვევს. თუმცა, იმის გამო, რაც შაბათს მოხდა ქვეყანას ზურგს ვერ შევაქცევ. რასაკვირველია, შეურაცხყოფის გრძნობა ჯერ არ გამნელებია, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში თუ „უემბლიზე“ გოლის გატანა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალიან საამაყო რამ არის.

ხალხი ამბობს, რომ თანამედროვე ფეხბურთელებს მხოლოდ კლუბებში თამაში აინტერესებთ, მაგრამ მე ასე არ ვარ. ნაკრებში თამაში ჩემთვის უგემრიელესი დესერტივით არის. ყოველთვის, როდესაც ეროვნული გუნდის მაისურას ვიცვამ, გული განსაკუთრებული გრძნობით მევსება“.

გაზეთები წერენ, რომ გაუგებარია, რატომ არ ათამაშებს **ფაბიო კაპელო** ფეხბურთელს, რომელსაც ნაკრებისადმი მართლაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. განა, განწყობასა და შემართებას ფეხბურთში უდიდესი მნიშვნელობა არ ენიჭება? ზემოთ ვახსენეთ, რომ „სფურზის“ ფორვარდს ნაკრებში 42 შეხვედრა აქვს ჩატარებული. დავძინოთ, რომ ამ შეხვედრებში კრაუჩმა 22 გოლიც გაიტანა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეტწილად მან ეს შეხვედრაში მოგვიანებით ჩართულმა შეძლო. სხვა სიტყვებით, კრაუჩს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებდნენ.

არც კაპელო ენდობოდა ბოლომდე „ტოტენჰემის“ თავდამსხმელს, რაც შაბათს, შვეიცარიასთან შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა კიდეც. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრებმა შვეიცარიელებთან 2:2 ითამაშა და ქომაგები გაანბილა.

„როდესაც გავიგე, რომ შვეიცარიასთან შეხვედრაში განაცხადში საერთოდ არ შევყავართ, ძალიან გავმწარდი. შეგუებული ვიყავი იმას, რომ თამაშს დარენ ბენტი დაიწყებდა, მაგრამ მეგონა თადარიგში მაინც ვიქნებოდი. ვერც კი დავუშვებდი, რომ თამაშის ნახევა ტრიბუნიდან მომინევდა. ძალიან ძნელი იყო „უემბლიზე“ ჯდომა და იმ თამაშის ცქერა, რომელშიც მონაწილეობას ვაპირებდი, მაგრამ გულჩათხრობილი კაცი არ ვარ და ბიჭების დასანახავად დაბოღმილი სახით ვერ დავჯდებოდი. როდის გავიგე, რომ კაპელოს განაცხადში საერთოდ არ შევყავდი? თამაშამდე ორი საათით ადრე.

რას იზამ, ასეთია კაპელო. ის ყველას მიმართ ერთნაირია და იძულებულები ვართ ამას შევეგუოთ. ამ კაცს კარიერაში დიდი წარმატებები ჰქონია და თუ დღეს „ჩაიზე არ დამპატიჟა“, ამას ჩვეულებრივად უნდა შევხვდე.

მეორე მხრივ, ამ გუნდის განაცხადშიც რომ ვერ მოვხვდი, ძალიან ცუდია. მაშ, უეინ რუნი, ჯერმაინ დეფო და ენდი ქეროლი რომ დაბრუნდებიან, მერე რაღა მომივა? არ დაგიმალავთ, ვფიქრობ, რომ ჩემთან ასე მოქცევა მთლად სამართლიანი არ არის, რადგან, როდესაც კი შესაძლებლობა მომეცა, ჩემი ეროვნული გუნდისთვის თავი დავდე და გოლებიც გავიტანე“.

ჩავხედოთ სტატისტიკას: პიტერ კრაუჩმა ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით სასტარტო შემადგენლობაში სულ ხუთჯერ ითამაშა, მაგრამ თავიდანვე ენდო თუ საქმეში მერე ჩართო, კრაუჩმა რვა გოლით დაუფასა. ამ რვა გოლს შორის იყო ნოემბერში საფრანგეთის კარში ბოლო წამს გატანილიც.

„დიახ, რამდენიც მათამაშეს, ლამის იმდენი გოლი გავიტანე. ბოლოს, საფრანგეთთან სულ ორი-სამი წუთი მენდნენ და მაინც შევაგდე. ძირითადში კაპელომ ბოლოს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, მექსიკის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში დამაყენა და იმ დღეს ორი გოლი გავიტანე. აი, ამის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატზე სასტარტოში არ მითამაშია. ორჯერ შემიშვა მოედანზე ცოტა ხნით და სულ ეს იყო. არადა, არც ვარჯიში დამიკლია და არც თავდადება.

ამის შემდეგ კაპელომ არც შვეიცარიასა და უელსში წამიყვანა და არც შინ, განასთან ამხანაგურ შეხვედრაში მათამაშა. ახლაც, შვეიცარიელებთან საპასუხო შეხვედრაში, „უემბლიზე“ მინდოდა თავი გამომეჩინა, სეზონი მაჟორულ ნოტაზე დამემთავრებინა, მაგრამ არც ამის საშუალება მომეცა და ახლა, მთელი ზაფხული გულში ჩარჩენილ იმედგაცრუებაზე უნდა ვიფიქრო. რა გახარებული წავიდოდი შვებულებაში იმის შეგრძნება რომ მქონდეს, რომ რაიმე ღირებული გავაკეთე. მაგრამ, არა უშავს, მაგალითს დევიდ ბექჰემისგან ავიღებ. მაშინაც კი, როდესაც არ იძახებდნენ, ის ამბობდა, რომ ინგლისის ნაკრების წევრობა დიდი ბედნიერებაა. მეც ასე მოვიქცევი და იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება მის სათავეში, ჩემი სამშობლოს ნაკრებში თამაშს არ შევწყვეტ“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● არსენალი

რატომ?

„არსენალის“ 22 წლის გარემარბმა, **თეო უოლკოტმა** თქვა, რომ მისი თანაგუნდელების ერთი ჯგუფი „ემირეიტ სთედიუმიდან“ წასვლას აპირებს. და რასაკვირველია, მან იცის მიზეზი: ექვსი წელიწადი ჯილდოს გარეშე. ვაზუსტებთ: აქ მაინცდამაინც ინგლისის ჩემპიონის ტიტულზეც კი არ არის ლაპარაკი. „მეთოოფეებს“ 2005 წლის მერე საერთოდ არაფერი მოუგიათ.

დღეს უოლკოტი მწვრთნელ **არსენ ვენგერს** სთხოვს, დანაპირები შეასრულოს და გუნდში ცნობილი, გამოცდილი და აღიარებული ვარსკვლავები მოიყვანოს, ისეთები, როგორიცაა მაგალითად, 23 წლის ფრანგი **კარიმ ბენზემა**. მოგეხსენებათ, ბენზემა უკვე ორი წელიწადია მადრიდის „რეალში“ გამოდის, სადაც 60 შეხვედრაში 23 გოლი გაიტანა.

„მე კარგად მესმის, რატომ უნდა ზოგიერთ ფეხბურთელს გუნდის დატოვება. ისინი გულაცრუებულები არიან. მათ ტიტულების მოგება უნდათ, ეს ბედნიერება კი „არსენალს“ ექვსი წელიწადია არ სწვევია“ — თქვა უოლკოტმა.

გარემარბს ყველაზე მეტად **სესკ ფაბრეგასისა** და **სამირ ნასრის** დარჩენა სურს.

„მწვრთნელმა თქვა, რომ ამ ზაფხულში ფულს არ დაინანებს და გუნდს გააძლიერებს. ძალიან მაინტერესებს, ვის ყიდვას აპირებს ვენგერი. ჩვენ მართლაც „მოკლე სკამი“ გვაქვს და თანაბარი ძალის მოთამაშეთა რაოდენობის გაზრდა ნამდვილად არ იქნებოდა ცუდი. გავიგე, თითქოს „რეალიდან“ ბენზემას გადმოყვანა ზეა ლაპარაკი. ბენზემას ამბავი თუ გამოვიდა, მართლაც ძალიან კარგი იქნება, რადგან ამ კალიბრის ფეხბურთელი ყველაფერს გამოაცოცხლებს, ბოლოს და ბოლოს, შედეგს მივაღწევთ და სხვა მოთამაშეებს გუნდიდან გაქცევა აღარ ენდომებათ.

რაღა დაგიმალოთ და, არც მე ვარ გამონაკლისი. სულაც არ მინდა ხალხმა მხოლოდ სწრაფ მოთამაშედ დამიმახსოვროს. მინდა ისტორიას შემოვრჩე, როგორც რაიან გიგ ზი ან პოლ სქოულზი, რომელთაც უამრავი ჯილდო მოიგეს. ვფიქრობ, გამიმართლა, რადგან ჯერ 22 წლისა ვარ და ბევრი რამ წინ მელის. მეორე მხრივ კი, როდესაც დიდ კლუბს წარმოადგენ და ძალიან ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობ, ვალდებული ხარ შედეგიც გქონდეს“.

თეო უოლკოტი

დღეს „არსენალი“ შარშანდელივით „ბარსელონას“ მოგერიებით არის დაკავებული — ესპანეთსის ჩემპიონსა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს თავისი სკოლის აღზრდილი ნახევარმცველის, სესკ ფაბრეგასის დაბრუნება უნდა. გაურკვეველია სამირ ნასრის მომავალიც. ფრანგს „არსენალთან“ ერთი წელიწადიღა დარჩა და ამბობენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ცდილობს მის გადაბირებას. უოლკოტმა განაგრძო:

„თუ გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები უნდა შევინარჩუნოთ. ტოპ ოთხეულიდან ჩამოვარდნა ყოვლად დაუშვებელია. ეს თუ მოხდა, ჩათვალეთ, რომ ახალგაზრდა თაობასაც დავკარგავთ“.

დაბოლოს, საკუთარი პოზიციის შესახებ: *„ძალიან მინდა, რომ მომავალ სეზონში მწვრთნელმა ცოტა უფრო წინიდან მათამაშოს. მე „არსენალში“ მოვედი როგორც თავდამსხმელი და ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ უნდა მეტოქის საჯარიმოსთან ტრიალი“.*

უცხოური ფეხბურთი

● ვარსკვლავი

იონ დალ ტომასონი ფეხბურთიდან ვალმოხდილი წავიდა

ტომასონი წავიდა

რომბორც მოსალოდნელი იყო, "ფეიენოორდის" დანიელმა თავდამსხმელმა **იონ დალ ტომასონმა** სეზონის დასრულებიდან ცოტა ხანში "დე კუიპზე" საპრესკონფერენციო დარბაზში სპეციალური შეხვედრა მოინვია, სადაც აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება გაახმოვანა. 34 წლის ფეხბურთელის ამ განცხადებას ყველა ელოდა, მას ხომ ბოლო სეზონში "ფეიენოორდის" შემადგენლობაში ტრავმის გამო ერთი წუთითაც კი არ უთამაშია. ასე რომ, ტომასონისთვის პროფესიულ კარიერაში უკანასკნელ შეხვედრად მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე იაპონიის ნაკრებთან გამართული მატჩი იქცა, სადაც მან პენალტი გაიტანა და მეორე ლეგენდარულ დანიელ თავდამსხმელ **პოლ ნილსენს** დაენია ნაკრებში შედეგიანობის მხრივ. მათ ანგარიშებზე 52-52 გატანილი გოლია. ამდენი შედეგიანი გასროლისთვის თავდამსხმელს 112 შეხვედრა დასჭირდა.

ტომასონი როტერდამელთა რიგებში წარმატებით ასპარეზობდა 1998-2002 წლებში (იქვე ირიცხებოდა 2008-დან დღემდე). მან ფეიენოორდული კარიერის პირველ ეტაპზე ჰოლანდიის ჩემპიონის, ჰოლანდიის თასისა და უეფას თასის მოგება მოასწრო. „ფეიეს" გარდა ის დანიურ "კეგეში", ჰოლანდიურ "ჰერენვეგენში", "ნიუკასლში", "შტუტგარტსა" და "ვილიარეალშიც" თამაშობდა.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ვეტერანი თავდამსხმელი დანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად 2002 და 2004 წლებში დაასახელეს.

● აიაქსი

ლეგენდები გრანდის სამსახურში

უახლოეს დღეებში "აიაქსის" სამსახურში ოფიციალურად ჩადგებიან ლეგენდარული ფეხბურთელები **იოჰან კრუიფი** და **ედგარ დავიდსი**. ისინი კლუბის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შევლენ. კრუიფი აქამდე მხოლოდ მრჩევლის თანამდებობას სჯერდებოდა, მაგრამ ბუნებრივად ხდებოდა, რომ მისი გავლენა ამსტერდამული კლუბის პოლიტიკაზე ნელ-ნელა იზრდებოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კლუბში თანამდებობით მასზე მაღალი ჩინები სწორედ მასთან დაპირისპირებას ემსხვერპლნენ და იძულებულნი გახდნენ "აიაქსი" დაეტოვებინათ. დირექტორთა საბჭოს რიგი წევრების გადადგომის შემდეგ კი ვაკანტურ ადგილებზე კლუბის ლეგენდები განიხილებიან. აქციონერთა კრებაზე სწორედ კრუიფმა და დავიდსმა მიიღეს სათანადო რაოდენობის ხმები და ეს გადაწყვეტილება იურიდიულად ამ დღეებში გაფორმდება.



ედგარ დავიდსი ამიერიდან აიაქსის მმართველთა შორისაა

● შესაძლო ტრანსფერი

ჟერვინიო ლილის ერთგულია?



"ლილის" კოტდივუარელი თავდამსხმელი **ჟერვინიო**, როგორც ჩანს, საფრანგეთიდან სათამაშოდ სხვაგან წასვლას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, "ფრანს ფუტბოლთან" ინტერვიუში ის კლუბს სიყვარულს უსხსნის. *"აქ ყოფნით მე ბედნიერი ვარ, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენ გამოგვივიდა და ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. ამის მიუხედავად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ მე ახალი სეზონი სხვა კლუბში დავიწყო. ამიერიდან ყველაფერი ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. პირადად დარჩენა მსურს, რადგან მინდა, რომ "ლილი" გაძლიერდეს და წარმატებით გამოვიდეს ჩემპიონთა ლიგაში და ასევე წარმატებით ვიასპარეზოთ მომავალ წელს საფრანგეთის ჩემპიონატშიც. კიდევ გავიმეორებ, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის,"* – განაცხადა მან.

ჩვენი მხრივ შეგვიძლია გავიხსენოთ **რუდი გარსიას** მიერ მრავალგზის თქმული, რომ კლუბი წამყვან ფეხბურთელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყიდის, თუკი ამის სურვილი თავად მოთამაშეებს ექნებათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 24 წლის აფრიკელი ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი დღის წესრიგიდან მალე მოიხსნება.

მიუხედავად სიყვარულის ახსნისა, საინფორმაციო სააგენტოების მტკიცებით, ჟერვინიოს ერთ-ერთ ინგლისურ კლუბთან წინასწარი კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვს და ტრანსფერი უახლოეს დღეებში შედგება. მოკლედ, სანამ ამ ამბავს წერტილი არ დაესმება, იქამდე ჩვენი მხრიდან ყოველგვარი ვარაუდი შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს.

● ამბები

ერთვნული ბიბლიოთეკა

ფალკაო ბრძოლას გვპირდება

"პორტუს" კოლუმბიელი თავდამსხმელი **რადამელ ფალკაო** "ბარსელონას" ევროპის სუპერთასზე დიდ ბრძოლას პპირდება. *"სუპერთასზე ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო კლუბის წინააღმდეგ ბრძოლა მოგვიწევს. ეს იოლი არ იქნება, თუმცა გარწმუნებთ, ჩვენ არ ვიქნებით სტატისტები და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეფექტურად აღვუდგეთ წინ ხოსეპ გვარდიოლას შეგირდებს. მათი შეჩერება აქამდე პრაქტიკულად ვერავინ მოახერხა. ახლა ჩვენი ჯერი დგება, რომ ეს ვცადოთ. „პორტუ" მხოლოდ ცდილობს ისეთი კლუბი გახდეს, როგორიც "ბარსელონაა". უამრავი რამ არის, რისი სწავლაც მათგან შეიძლება და მხოლოდ სათამაშო კომპონენტებში არა,"* – განუცხადა მან "ო ჟოგოს".

ოსერს შიფო ჩაიბარებს?

ფრანგულმა "ოსერმა" მთავარი მწვრთნელი **ჟან ფერნანდესი** რამდენიმე დღის წინ დაკარგა. ამ უკანასკნელმა კარიერის უფრო ამბიციურ "სოშოში" გაგრძელება მოისურვა. კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ საბოლოოდ ვერ შეთანხმებულა ახალი მწვრთნელის კანდიდატურაზე, მაგრამ კულუარულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, ყველაზე რეალურად ამ პოსტზე ბელგიელი **ვინჩენცო შიფოს** კანდიდატურა განიხილება. როგორც წყარო ამტკიცებს, მოლაპარაკებები მხარეთა შორის მალე დაიწყება. სათადარიგოდ კი განიხილებიან **გი ლაკომბის, ლორან ფურნიესა** და **პატრიკ რემის** კანდიდატურები.

სიმბოლურია, რომ ბოლო დღეებია, ფრანგული პრესა აჭრელებულია ინფორმაციით, რომ "ლიონი" შეიძლება მეორე ლეგენდარულმა ბელგიელმა **მიშელ პრუიდომმა** ჩაიბაროს. აღნიშნული ჩვენი გაზეთის მკითხველს უკვე ვაცნობეთ.

P.S. გვიან საღამის ფრანგული სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით შიფომ "ოსერზე" უარი თქვა, მის ადგილას კი ლორან ფურნიე დაინიშნა.

ბრაგამ დამრიგებელი იპოვა

"ბრაგას" თავკაცის პოსტიდან **დომინგუშ პასიენსიას** გადადგომის შემდეგ თანამდებობა რამდენიმე დღე თავისუფალი იყო. მოგეხსენებათ, "ბრაგას" ექსდამრიგებელი ლისაბონის "სპორტინგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი ადგილი კი **ლეონარდო ჟარდიმმა** დაიკავა. ჟარდიმი აქამდე "ბეირა მარის" თავკაცად მუშაობდა. მან ახალ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. აი, რას აცხადებს ახალი მწვრთნელი: *"ეს ჩემი კარიერის პიკია და რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, როცა კლუბის ხელმძღვანელობა მენდო. "ბრაგა" ერთ-ერთი გამორჩეული პორტუგალიური გუნდია, ვისი მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაა და სხვა არაფერი. სწორედ ეს მომცემს საშუალებას, რომ ყოველთვის ტონუსში ვიყო. ვაცნობიერებ მთელ სიმძიმეს, რომელთანაც შეიძლება მომიხდეს შეჯახება, მაგრამ მეორე მხრივ ეს მეტ მოტივაციას მმატებს მეტი თავდადებისთვის. პირობას გაძლევთ, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ყველანაირი წინააღმდეგობა გადავლახო და გუნდს წარმატება მივუტანო".*

ვალანსიენმა პრობლემა გადაწყვიტა

"ვალანსიენის" ოფიციალურ საიტს ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია, მაგრამ სპორტული გამოცემები გვარწმუნებენ, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელად **დანიელ სანჩესი** დაინიშნა. გაზეთების მტკიცებით, ინფორმაცია ფიფას ლიცენზირებულ აგენტზე დაყრდნობით მოიპოვეს. აწ დასრულებულ სეზონში "ვალანსიენის" დამრიგებელი **ფილიპ მონტანიე** იყო. ეს უკანასკნელი კი, მოგეხსენებათ, ესპანურ "რეალ სოსოედადში" გადაბარგდა. რაც შეეხება სანჩესს, ის საფრანგეთის მეორე დივიზიონის "ტურის" მწვრთნელი იყო, სადაც 2007 წლიდან მუშაობდა.

ვარშავას იმედი აქვს

ვარშავა შეიძლება ევრო 2012-ის მთავარ ქალაქად იქცესო, - განაცხადა პოლონური მხრიდან ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა გავლენიანმა წევრმა **რობერტ ვოიჩიუმა**. ის პოლონეთის დედაქალაქში ტურნირის მასპინძელი სტადიონის მშენებლობას კურირებს. აი, რას ამბობს ის: *"სიმართლე გითხრათ, პოლონური მხარე განაწყენებული დარჩა, როცა უეფამ გადაწყვიტა, რომ ჩემპიონატის ფინალისთვის კიევს ემასპინძლა. რა თქმა უნდა, ჩვენ შევურიგდით ამ გადაწყვეტილებას. თუმცა მაინც იმედი გვაქვს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ეს ასე არ მოხდეს. თუკი კიევი ვერ მოასწრებს ფინალისთვის სათანადოდ მომზადებას, ჩვენ მზად ვიქნებით, რომ ის ღირსეულად შეცვალოთ".*

აღნიშნულ განცხადებას უმალ გამოეხმაურა უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო**, ვინც უკრაინული "სპორტ ექსპრესის" შეკითხვაზე შემდეგი პასუხი გასცა: *"კიევში ყველანაირი სამუშაო დათქმული დროისთვის მოესწრება და ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარება".*

პოლონელთა მთავარი იმედის, ვარშავის ცენტრალური სტადიონის გახსნა მიმდინარე წლის სექტემბერშია დაგეგმილი. ის 58 ათას გულშემატკივარზე იქნება გათვლილი.

მოვლენათა ფორსირების წინააღმდეგ

კევინ სტროოტმანი ჰოლანდიის ნაკრებს სამხრეთ ამერიკაში ახლავს, თუმცა საკლუბო მომავალთან დაკავშირებით მცირე კომენტარისთვის მაინც მოიცალა. მისი განცხადებით, ის მოვლენათა ფორსირების წინააღმდეგია: *"ნაკრებთან ერთად შეკრებაზე ყოფნა საშუალებას მაძლევს, რომ ოსტატობა ნელ-ნელა ავიმაღლო. ტოპკლასის ფეხბურთელებთან გატარებული 10 დღის შემდეგ ნამდვილად შეიძლება ბევრი რამის სწავლა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ასეთი პრაქტიკა მუდმივად მქონდეს, მაგრამ... სამწუხაროა, რომ "უტრეხტი" ევროთასებს მიღმა დარჩა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ავდგები და კლუბის შეცვლის გადაწყვეტილებას დაუფიქრებლად მივიღებ. როცა ჩემი აგენტი მეტყვის, რომ წინადადება რეალურია, მხოლოდ ამის შემდეგ დავფიქრდები სერიოზულად და მერე განვიხილავ. შეუძლებელია დამავიწყდეს, რომ ერთი წლის წინ "უტრეხტმა" პირველ დივიზიონში მომნახა და დიდი ფეხბურთი მათამაშა. სწორედ მათი წყალობაა, რომ ახლა მე ჰოლანდიის ნაკრებში მიმინვიეს".*

ტულალანი ფიქრობს

"ლიონის" 27 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ჟერემი ტულალანმა** განაცხადა, რომ ის და მისი აგენტი სერიოზულად ფიქრობენ, ლა ლიგის "მალაგას" წინადადებაზე. მეტიც, ზოგი საინფორმაციო წყარო იმასაც ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ამ დღეებში ანდალუსიაში იმყოფებოდა (**ლორან ბლანმა** ის რატომღაც ნაკრების შეკრებაზე არ იხმო). "ეკიპის" მტკიცებით, ფეხბურთელი მოხიბლული დარჩა იმ პირობებით, რაც მას ესპანელებმა შესთავაზეს. შესაბამისად, არსებობს შანსი, რომ მან წინადადება მიიღოს და "ლიონს" ტრანსფერზე დაყენება სთხოვოს.



ჟერემი ტულალანი

თავად "ლიონი" ჯერჯერობით ერთ-ერთი ლიდერის გაყიდვის წინააღმდეგია და მსურველთა "შესაშინებლად" ჟერემის სატრანსფერო ფასად 15 მილიონი ევრო დაასახელა. "მალაგა" კი ამ თანხას რომ ვერ გასწვდება, ალბათ, პატარა ბავშვისთვისაც კი ნათელია.

ხვიხროსში ნიოპლიასი იმუშავებს

კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის საიტმა დაადასტურა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებში ამიერიდან **ნიკოს ნიოპლიასი** იმუშავებს. მართალია, კონტრაქტი ჯერ ხელმონერილი არ არის, მაგრამ მხარეები ყველაფერზე შეთანხმდნენ და ევროპის ჩემპიონატის დარჩენილ საკვალიფიკაციო მატჩებში კუნძულელებს ბერძენი სპეციალისტი უხელმძღვანელებს. ნიოპლიასი აქამდე ათენის "პანათინაიკოსსა" და საბერძნეთის ასაკობრივ ნაკრებებში მუშაობით იყო ცნობილი.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● ლაციო

ლოტიტო მაურის ვერ ელევა

ფერნანდო მუსლერა

„ლაციოს“ ფეხბურთელებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და კლუბის მესვეურებს სერიოზული შეტევების მოგერიება უნევთ. ბოლო პერიოდში, ძალიან გააქტიურდნენ **სტეფანო მაურის** მიმართულებით, რომელიც „ბიანკოჩელესტეს“ ერთ-ერთი ლიდერი და მთავარი დამრტყმელი ძალაა. თუ „კორიერე დელო სპორტს“ დავუჯერებთ, მაურის გადაბირება „ფიორენტინასა“ და „პალერმოს“ მესვეურებს სურთ. განსაკუთრებულად აქტიურნი ფლორენციელები არიან, რადგან მათი მთავარი პრიორიტეტული სატრანსფერო მიზანი შუახაზის გაძლიერებაა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დიდია შანსი, "ვიოლა" **რიკარდო მონტოლივომ** დატოვოს და "მილანს" მიაშუროს. გავრცელებული ცნობის თანახმად, „ფიორენტინა“ მზად არის 31 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ რვა მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც ვეტერანი ფეხბურთელისთვის არც თუ მცირე თანხაა. თუმცა, „ლაციოს“ პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** შეუვალია და აცხადებს, რომ მაური არ იყიდება:

„ივლისიდან სატრანსფერო ბაზარზე გავაქტიურდებით და რამდენიმე ფეხბურთელს შევიძენთ. ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ გუნდი, რათა მომდევნო სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. შესაბამისად, წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა ჩვენს გეგმებში არ შედის. სტეფანო გუნდის სული და გულია, მისი გასხვისება აზრადაც არ მოგვსვლია. დიახ, „ფიორენტინას“ და „პალერმოს“ მესვეურები შემოგვეხმიანენ, მაგრამ საქმე ამაზე წინ არ წასულა. ყველა სიკეთესთან ერთად, სტეფანო გუნდის საბრძოლო განწყობაზე შესანიშნავად მოქმედებს და მისი სხვაგან გაშვება დიდი სისულელე იქნებოდა“.

ლოტიტომ კი განაცხადა, წამყვან ფეხბურთელებს არ ვყიდითო, მაგრამ პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ 24 წლის მეკარე, **ფერნანდო მუსლერა** რომს დატოვებს და კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს. ამ საკითხზე ლოტიტოს შემდეგი მოსაზრება აქვს:

"მუსლერას თავად სურს გუნდის დატოვება, ჩვენ კი ძალით ვერავის შევაჩერებთ. ძალიან კარგი მეკარეა, სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა "ლაციოში" და ბუნებრივიც არის, რომ მას ზე დიდი მოთხოვნაა. ჩემი ინფორმაციით, ინგლისის პრემიერლიგის გუნდებს სურთ მისი გადაბირება და ვნახოთ, რა წინადადებებით მოგვმართავენ. თუ მაინც გადაწყვეტს დარჩენას და კარიერის "ლაციოში" გაგრძელებას, მხოლოდ გაგვიხარდება".

ლაშა წიკლაური

● ინტერი

ინტერს პაციენცა არ სჭირდება

მიკელე პაციენცა

ერთი ხანობა აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ „ნაპოლის“ ნახევარმცველი **მიკელე პაციენცა** „ინტერში“ აპირებდა გადაბარგებას. მიკელე შესანიშნავად წარმოჩინდა გასულ სეზონში და ასეთი ცნობები არავის გაკვირვებია. თუმცა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარიგება არ შედგება და მეტიც, მილანელებს არც ჰქონიათ არანაირი ინტერესი 26 წლის შუახაზელის მიმართ. აი, რას ამბობს „ნერაძურის“ სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა**:

„პაციენცა ძალიან კარგი ფეხბურთელია, "ნაპოლის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ მის გადაბირებას ნამდვილად არ ვაპირებთ. მიკელე ნახევარმცველია, ჩვენ კი მცველის და გარემარბის დამატება გვსურს. უკვე მონიშნული გვაქვს რამდენიმე ფეხბურთელის გვარი, რომელთა გადაბირებასაც შევეცდებით, თუმცა მათ შორის პაციენცა ნამდვილად არ ფიგურირებს. სატრანსფერო გეგმებზე უფრო დეტალურად ვერ ვისაუბრებ, თუმცა მთავარი უკვე გავთქვი: მცველი და გარემარბი უნდა დავიმატოთ“.

ლაშა წიკლაური

● უდინეზე

სანჩესის მომავალი ჯერ გაურკვეველია

ალექსის სანჩესი

"უდინეზეს" 22 წლის თავდამსხმელ **ალექსის სანჩესზე** რომ დიდი მოთხოვნაა, ძველი ამბავია. ჩილელის შეძენით ევროპული ფეხბურთის გრანდები არიან დაინტერესებულნი, ყველაზე მეტად კი "ბარსელონას", "იუვენტუსის" და "მანჩესტერ სიტის" მესვეურები აქტიურობენ. მას შემდეგ, რაც თავად ფეხბურთელმა გადაწყვიტა, რომ მისთვის ყველაზე უკეთესი "ბარსაში" გადასვლა იქნება, კატალონიელები ავტომატურად იქცნენ ფავორიტად. იტალიელმა ჟურნალისტებმა ისიც კი დაწერეს, რომ "ბარსელონას" მესვეურები უკვე შეუთანხმდნენ სანჩესს და გაიხსნება თუ არა სატრანსფერო ფანჯარა, უმალ ხელშეკრულებას გაუფორმებენ. თუმცა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არც მთლად მასე ყოფილა საქმე – მოვუსმინოთ "უდინეზეს" პრეზიდენტს, **ჯამპაოლო პოცოს**:

"სანჩესზე ძალიან დიდი მოთხოვნაა და ეს არ მიკვირს, რადგან ჩემი აზრით, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ვერ გეტყვით, ვინ ვის რაზე შეუთანხმდა, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცი – ალექსისთან დაკავშირებით ოფიციალური წინადადებით ჩვენთვის არავის მოუმართავს. შესაძლოა, ბევრს ფასი აშინებს და თუ ეს ასეა, ისინი მართლებიც არიან, რადგან სანჩესს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველევით, თუ შემოთავაზება მაცდური იქნება. და თუ რომელიმე გუნდმა ალექსისის სანაცვლოდ მხოლოდ 15-20 მილიონი ევრო გაიმეტა, მაშინ თავად ფეხბურთელმა უნდა შეიკავოს იმ გუნდში გადასვლისგან თავი. ეს იმის დასტური იქნება, რომ არ აფასებენ მას და სათადარიგოთა სკამის ხეხვა მოუნევს. ასეთ შემთხვევაში, აჯობებს, რომ "უდინეზეში" დარჩეს და იმ გუნდის ღირსება დაიცვას, სადაც მას სრული მხარდაჭერა აქვს. რამდენად დიდია მოვლენათა ასეთი განვითარების შესაძლებლობა? – საკმაოდ დიდია, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, ჯერჯერობით არც ერთი შეთავაზება არ მიგვიღია. მართალია, სატრანსფერო სეზონი წინ არის, მაგრამ ეჭვი მაქვს, ბევრს გაუჭირდება ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება".

ლაშა წიკლაური

● ახალი მწვრთნელები

დედაქალაქთა სამი ახალი მწვრთნელი

ლუის ენრიკე რომაში მივიდა, გრეგორიო მანსანო ატლეტიკოში, ლუის გარსია ხეტაფეში

გუშინ მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში სამი დანიშვნა გამოცხადდა ოფიციალურად - ახალი თავკაცები ჰყავთ იტალიურ „რომასა“ და ესპანეთის დედაქალაქის ორ კლუბს „ატლეტიკოსა“ და „ხეტაფეს“. პირველი შემთხვევაც კავშირშია ესპანეთთან, რადგან „რომას“ თავკაცად ესპანელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **ლუის ენრიკე** დაინიშნა.

დავიწყოთ იტალიის დედაქალაქით - ოფიციალურად დადასტურდა, რაზეც აქამდე ვწერდით, ლუის ენრიკე „რომას ახალი მთავარი მწვრთნელია. „ბარსელონა B-ს“ ყოფილი თავკაცი „რომაში“ ახალ ერას იწყებს. ლუის ენრიკემ კლუბთან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის გაზრდა კიდევ ერთი წლით არის შესაძლებელი. ლუის ენრიკემ „ბარსას“ სარეზერვო გუნდის 4-კაციანი სტაფი თან იახლა. რომაულ კლუბში 41 წლის სპეციალისტი წელიწადში 1,6 მილიონ ევროს მიიღებს.

ამ ცნობამდე რამდენიმე საათით ადრე ლუის ენრიკემ მედიას განუცხადა, რომ „რომასთან“ პრინციპულ შეთანხმებას მიაღწია და კონტრაქტს მხოლოდ მისი ხელმოწერაღა აკლდა.

ლუის ენრიკე „რომაში“ დროებით მწვრთნელ **ვინჩენცო მონტელას** შეცვლის, რომელიც თებერვლიდან ხელმძღვანელობდა გუნდს (პოსტზე მან **კლაუდიო რანიერი** შეცვალა). „რომამ“ სეზონი მე-6 ადგილზე დაასრულა და ევროპის ლიგის პლეი ოფში ითამაშებს.

ორმა მადრიდულმა კლუბმაც გაიფორმა ახალი თავკაცი - „ატლეტიკოში“ **გრეგორიო მანსანო** მივიდა, ხოლო „ხეტაფეში“ - **ლუის გარსია**. „ატლეტიკომ“ მანსანოს 12-თვიანი ხელშეკრულება გაუფორმა. მას შემდეგ, რაც 55 წლის სპეციალისტმა „სევილია“ დატოვა, მის ბედს სხვადასხვა გუნდს უკავშირებდნენ. მანსანო „ატლეტიკოში“ **კიკე ფლორესს** შეცვლის, რომელსაც კლუბში მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებდნენ, თუ იგი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდა, ასე არ მოხდა („ატლეტიკო“ მე-7 ადგილზე გავიდა) და კიკე ფლორესსაც დაემშვიდობნენ. სხვათა შორის, მანსანო ერთხელ უკვე წვრთნიდა „ატლეტიკოს“ - ეს რვა წლის წინ იყო, შემდეგ მანსანო „მალიორკაში“ გადავიდა, საიდანაც „სევილიაში“ აღმოჩნდა.

სხვათა შორის, მანსანოს სავარაუდო სამუშაო ადგილად უფრო მეორე მადრიდულ კლუბს, „ხეტაფეს“ ასახელებდნენ, მაგრამ სანამ „ატლეტიკო“ მანსანოს დაასახელებდა, არაბების მიერ ნაყიდმა „ხეტაფემ“ ახალ მწვრთნელად ლუის გარსია დანიშნა. კლუბის ოფიციალური საიტის მტკიცებით, 38 წლის ლუის გარსიას მედიას დღეს წარუდგენენ. 10 დღეა, რაც „ხეტაფე“ უმწვრთნელოდაა, მას შემდეგ, რაც გუნდიდან **მიჩელი** გაუშვეს. ლუის გარსია ბოლო სეზონში „ლევანტეს“ წვრთნიდა და გუნდი პრომეერადივიზიონიდან დაქვეითებისგან იხსნა. არადა, სეზონის შუაში თითქოს უიმედო მდგომარეობა ჰქონდა. ლუის გარსია „ხეტაფესთან“ 3-წლიან კონტრაქტს აწერს ხელს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გრეგორიო მანსანო

ერთიანი ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● სამწვრთნელო კარუსელი ევროპაში

იძებნება ბევრი ახალი გვარდიოლა

გერმანიაში სამწვრთნელო კარუსელი მაშინ დატრიალდა, როცა არავინ ელოდა და თანაც ისე ძლიერად, რომ მთელი საფეხბურთო გერმანია შეძრა. „ლელოს“ ერთგულ მკითხველს ეხსომება, რომ ბუნდესლიგაში სამწვრთნელო გადაადგილებები ორ კვირაზე დიდხანს გაგრძელდა. სამაგიეროდ, დღეს ბუნდესლიგაში ყველა კლუბს ჰყავს დამრიგებელი, მწვრთნელების თემა აქტუალური აღარ არის და გერმანელებს შეუძლიათ, მთლიანად სატრანსფერო ბაზარზე იყვნენ კონცენტრირებულნი. აი, ევროპის სხვა წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში კი სამწვრთნელო კარუსელი სნორედ ახლა ტრიალებს. სუპერკლუბებიდან ახალ დამრიგებელს ლონდონის „ჩელსი“ ეძებს და დიდი შანსია, რომ „არისტოკრატებში“ გუს ჰიდინკი დაბრუნდეს. იმ დროს, როცა მადრიდის „ატლეტიკოს“ ჩაბარება უკვე საკმაოდ ბევრმა სპეციალისტმა იუარა, „რომამ“ ე.წ. „მინი გვსარდიოლა“ თითქმის დაითანხმა – ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ რომაულ კლუბს ლუის ენრიკე გაწვრთნის. დიდიე დეშამი კი ბევრი მითქმა-მოთქმის შემდეგ „მარსელში“ რჩება.

მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების სამწვრთნელო კარუსელს.

ინგლისი

ჩელსი

ლონდონურმა კლუბმა ჩემპიონობა სეზონის ბოლოს, 35-ე ტურში დაკარგა, როცა კონკურენტ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 1:2 დამარცხდა, ჩემპიონთა ლიგას კი ლონდონელები მეოთხედფინალში გამოეთიშნენ. გუნდის მფლობელი **რომან აბრამოვიჩი** ასეთმა შედეგმა ვერ დააკმაყოფილა და შესაბამისად, 22 მაისს **კარლო ანჩელოტი** „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

მაშ ასე, ვინ მიხედავს „ჩელსის“? კანდიდატებს შორის უდავო ფავორიტი **გუს ჰიდინკია**, რომელიც აბრამოვიჩს ძალიან უყვარს. დაბრუნდება ჰიდინკი ლონდონში? იქნებ მწვრთნელის პოსტზე მუშაობას სპორტული დირექტორობა ურჩევნია? ინგლისური პრესის ინფორმაციით, ჰიდინკს უფრო გამზრდელი მწვრთნელის ფუნქცია დაეკისრება, მისი შეგირდი კი ან **მარკო ვან ბასტენი** ანაც **ჯანფრანკო ძოლა** გახდება. თუ ლონდონელები ჰიდინკს ვერ დაითანხმებენ, „ჩელსიში“ პირველი კანდიდატი **მარკ ჰიუზია**.

ფულჰემი

„ფულჰემმა“ ეს სეზონი საკმაოდ სოლიდურად ჩაატარა და პრემიერლიგაში ყველაზე მეტი ფრით (16) და მხოლოდ 11 წაგებით მერვე ადგილი დაიკავა. თანაც, კლუბმა „ფეარ პლეის“ წყალობით ევროპის ლიგის საგზურიც მოიპოვა. მიუხედავად ამისა, „ფულჰემის“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი ივნისის დასაწყისში შეგირდებს გამოეთხოვა და გუნდი ახალ თავკაცს ეძებს. ჰიუზის აგენტმა თქვა, მარკმა კლუბს სეზონი კარგად ჩაატარებინა, მაგრამ უფრო დიდი ამბიციები აქვსო.

სამშაბათს „ფულჰემში“ ახალი მწვრთნელის რანგში **მარტინ იოლი** წარადგინეს. „ჰამბურგისა“ და „აიაქსის“ ყოფილმა დამრიგებელმა „ფულჰემთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა - კიდევ ერთი წლის პერსპექტივით. *„ამ კლუბს უდიდესი ისტორია აქვს და შესანიშნავი ფანები ჰყავს. ვიყო „ფულჰემის“ ნაწილი – ეს ჩემთვის უდიდესი პატივია,“* - თქვა იოლმა.

ასტონ ვილა

„ასტონ ვილამ“ გასული სეზონი დამაკმაყოფილებლად ჩაატარა და ცხრილში „ფულჰემის“ ქვემოთ, მე-9 ადგილზე დამკვიდრდა. ამ სეზონში „ვილას“ ნეგატიური პიკი მეთოთხმეტედან 22-ე ტურამდე იყო, როცა გუნდმა ზედიზედ ექვსი თამაში წააგო. თუმცა მწვრთნელი **ერარ ულიე** „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელებს არ გაუთავისუფლებიათ – ის თანამდებობიდან თვითონ, ჯანმრთელობის პრობლემების გამო გადადგა.

ვინ იქნება „ასტონ ვილას“ დამრიგებელი მომავალ სეზონში? ჰმ... კარგი კითხვაა... ამბობენ, „ვილას“ მფლობელი **რენდი ლერნერი კარლო ანჩელოტის** ფანიაო. ამ უკანასკნელმა კი თქვა, ინგლისში დარჩენა მინდაო, მაგრამ ორი დღის შემდეგ დასძინა, მირჩევნია, ერთი წელი დავისვენოო. ჩვენი ინგლისელი კოლეგები მარკ ჰიუზს „ასტონ ვილასთან“ მიმართებაშიც ხშირად ახსენებენ ხოლმე.

ესპანეთი

ატლეტიკო

14 წაგება ესპანეთის ჩემპიონატში, მეშვიდე ადგილი – მადრიდის „ატლეტიკომ“ გასული სეზონი ევროპის სუპერთასის მოგებით, ანუ, ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე საშინლად გააგრძელა და ცუდად დაასრულა. წარუმატებელ სეზონს ისიც დაემატა, რომ გუნდის ლიდერმა **კუნ აგუერომ** განაცხადა, „ატლეტიკოდან“ უნდა წავიდეო, რაც იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი მადრიდულ კლუბს ხუთწლიანი ერთგულების შემდეგ დატოვებს. მწვრთნელი **კიკე სანჩეს ფლორესი** კი გუნდს მაისის შუა რიცხვებში გამოემშვიდობა.

ახალი მწვრთნელი კი ჯერჯერობით არ ჩანს. აქამდე ტოპ-ფავორიტად „ბარსელონას“ მეორე გუნდის მწვრთნელი **ლუის ენრიკე** მიიჩნეოდა, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი „რომას“ ანიჭებს უპირატესობას. „ატლეტიკოს“ შეფები **რაფა ბენიტესსაც** ეპატიჟებოდნენ, მაგრამ უარი მიიღეს. ესპანური პრესის ცნობით, „ატლეტიკოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფავორიტი ახლა „სევილიას“ ყოფილი დამრიგებელი **გრეგორიო მანსანოა**.

ლუის ენრიკეს „რომაში“ დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია

სევილია

„სევილიამ“ ბევრი იბრძოლა თუ ცოტა, ბილბაოს „ატლეტიკთან“ და „ატლეტიკოსთან“ ბრძოლაში – სეზონის ბოლოს სამივემ ქულების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს – მეხუთე ადგილი დაიკავა. თუმცა სევილიელებს სხვა მიზნები ჰქონდათ და ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებობდნენ. შესაბამისად, გრეგორიო მანსანოს თანამდებობა დაატოვებინეს.

...და ვინ შეცვლის მას? **მარსელინო გარსია ტორალი!** 45 წლის სპეციალისტმა წინა კვირას სანტანდერის „რასინგი“ ხელმძღვანელებთან უთანხმოების გამო დატოვა და „სევილიასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულებაში გაწერილი წარმატების შემთხვევაში კი კონტრაქტი ავტომატურად კიდევ ორი წლით გაგრძელდება. გარსია ტორალი, რომელიც „რასინგში“ თებერვალში დაბრუნდა, მანამდე „ხიხონს“, „უელვას“ და „სარაგოსას“ ნვრთნიდა.

რეალ სოსიედადი

„რეალ სოსიედადი“ ბოლო ტურებამდე გადარჩენისთვის იბრძოდა. პრიმერადივიზიონში დარჩენა ბასკებმა მხოლოდ უკანასკნელ ტურში გაინაღდეს. მიუხედავად ამისა, შეფებმა **მარტინ ლასარტე** მაინც გაათავისუფლეს.

მომავალ სეზონში „სოსიედადს“ ფრანგი **ფილიპ მონტანიე** უხელმძღვანელებს. 46 წლის სპეციალისტი ბასკურ კლუბში „ვალანსიენიდან“ გადავიდა, სადაც 2009 წლიდან წარმატებული **ანტუან კომბორე** შეცვალა, გასულ სეზონში კი „ვალანსიენი“ მე-12 ადგილზე გაიყვანა.

იტალია

რომა

„ჯალოროსი“ იტალიის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა, გუნდის მიზანი კი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გახლდათ. შესაბამისად, „რომას“ ახალი მფლობელი **თომას დი ბენედეტო** ძალიან უკმაყოფილო დარჩა და ლოგიკურია, რომ **ვინჩენცო მონტელას** აღარ ენდობა. ამ უკანასკნელმა ზამთარში **კლაუდიო რანიერი** შეცვალა, მაგრამ რაკი ვერაფერს მიაღწია, დი ბენედეტო მასზე უარს ამბობს.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „რომას“ ლუის ენრიკე მიხედავს – ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ყოფილი, ყველასათვის კარგად ცნობილი ფეხბურთელი, რომელმაც გასულ სეზონში „ბარსელონას“ მეორე გუნდი მეორე ლიგაში მესამე ადგილზე გაიყვანა. გუშინ ლუის ენრიკემ განაცხადა, „რომასთან“ ყველაფერზე შეთანხმებული ვარ, კონტრაქტს მხოლოდ ჩემი ხელმოწერაღა აკლიაო. მანამდე ჩვენი იტალიელი კოლეგები „რომას“ ბედს **დიდიე დეშამს** და **მარკო ჯამპაოლოსაც** უკავშირებდნენ.

ჯენოა

გასული სეზონი **კახი კალაძის** კლუბისთვის თავგადასავლებით აღსავსე იყო. „ჯენოამ“ სეზონი **ტონის, რაფინიას, ედუარდოს, რანოკიასა** და კომპანიის ტრანსფერების შემდეგ დიდი ამბიციებით დაიწყო, მაგრამ მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა. შესაბამისად, კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელი **დავიდე ბალარდინი**, რომელმაც „ჯენოა“ ნოემბერში ჩაიბარა და **განპიერო გასპერინი** შეცვალა, სეზონის ბოლოს გაათავისუფლეს.

დიდი შანსია, რომ „ჯენოა“ ახალი სეზონისთვის **ალბერტო მალეზანიმ** მოამზადოს, რომელმაც „ბოლონიას“ საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარებინა და გუნდი სერია B-ში გავარდნისგან უპრობლემოდ იხსნა. „ჯენოას“ პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი** ამბობს, ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი, ორი სერიოზული კანდიდატი მყავსო. თუმცა ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, მეორე კანდიდატმა **დელიო როსიმ** პრეციოზის უკვე უარი შეუთვალა.

კატანია

„კატანიას“ დეკემბერსა და იანვარში სერიოზული კრიზისი დაეწყო, რამაც გუნდის მწვრთნელი **მარკო ჯამპაოლო** შეიწირა. ეს უკანასკნელი კი არგენტინის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, სერია A-ში გამობრძმედილმა **დიეგო სიმეონემ** შეცვალა, რომელმაც სიცილიური კლუბი ელიტიდან გავარდნისგან გადაარჩინა. მიუხედავად ამისა, სეზონის ბოლოს სიმეონესა და „კატანიას“ გზები მაინც გაიყო – ცნობილი გახდა, რომ დიეგოს გაცილებით დიდი მიზნები აქვს და უფრო ამბიციურ კლუბში მუშაობა სურს. გაირკვა ისიც, რომ მას „ესტუდიანტესში“ ეპატიჟებიან.

...მაგრამ ვინ მიხედავს „კატანიას“? დიდი შანსია, რომ ეს ვინჩენცო მონტელა იყოს. „რომას“ ყოფილმა თავკაცმა სიცილიელებთან უკვე გამართა პირველი მოლაპარაკებები და „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები დარჩა შესათანხმებელი.

საფრანგეთი

მარსელი

ვერ ვიტყვით, რომ „ოლიმპიკმა“ სეზონი ჩააგდო, მაგრამ მეორე ადგილი საუკეთესო შედეგი არ არის – „მარსელი“ სენსაციურ ჩემპიონ „ლილს“ ჩამორჩა. ჩემპიონთა ლიგაში „ველოდრომელების“ ბოლო გაჩერება მერვედფინალი იყო, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხდნენ. მთავარი მწვრთნელის, დიდიე დეშამის გათავისუფლებას არავინ აპირებდა, სპეციალისტმა სეზონის ბოლოს თვითონ თქვა, გადაწყვეტილი არაფერია, არ დაგიმალავთ და „რომაში“ მეპატიჟებიანო.

თუმცა დეშამი „მარსელში“ რჩება. „მარსელის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ვენსან ლაბრუნმა** ორშაბათს თქვა, დიდიე მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნებაო.

ბორდო

„ბორდომ“ 38 ტურში მხოლოდ 12 მატჩი მოიგო – შესაბამისად, ჟირონდელებმა მე-7 ადგილი დაიკავეს. მას მერე, რაც **ჟან ტიგანა** თანამდებობიდან გადადგა, გუნდი **ერიკ ბედომ** დროებით, მხოლოდ სეზონის ბოლომდე ჩაიბარა.

...და ვინ გაწვრთნის „ბორდოს“ ახალ სეზონში? **ფრანსის ჟილო** – „სოშოს“ ყოფილი მწვრთნელი, რომელმაც თავისი ექსკლუბი მე-5 ადგილზე გაიყვანა და „ბორდოს“ გაასწრო. ჟილომ ჟირონდელებთან ორშაბათს ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ნანსი

16 მარცხი ერთ სეზონში ნაღდად მეტისმეტია. თანაც, „ნანსიზე“ მეტი წაგება საფრანგეთის ჩემპიონატში მხოლოდ ორ გუნდს ჰქონდა. საბოლოო ჯამში გუნდმა მე-13 ადგილი დაიკავა და მხოლოდ 4 ქულით გაასწრო შავ ზონას. შესაბამისად, კლუბის შეფებმა მწვრთნელი **პაბლო კორეა** გაათავისუფლეს. არადა, ეს სპეციალისტი „ნანსის“ 9 წლის (!) მანძილზე წვრთნიდა.

„ნანსის“ ახალი დამრიგებელი კი **ჟან ფერნანდესია** – 56 წლის მწვრთნელი, რომელიც „ოსერს“, სადაც ხუთი წელი იმუშავა, წინა კვირაში გამოეთხოვა.

გოტფრიდ ლენცი

● ფურია როხა. ამხანაგური მატჩი

ბარსელონა რეალ იუნაიტედი

დელ ბოსკეს შესრულებული მისია

ესპანელები ვილიას (№7) გოლს ულოცავენ

ვენესუელა-ესპანეთი	0:3

ვენესუელა (4-2-3-1): ვეგა - როსალესი (89. ა. გონსალესი), ლუსენა, პეროსო, სიჩერო - რინკონი, სეიხასი (46. დი ჯორჯი) - ს. გონსალესი (65. მესა), მალდონადო (46. მიკუ), ოროსკო (46. არანგო) - მორენო (74. გუერა).

ესპანეთი (4-3-3): ვალდესი (89. კასილიასი) - ირაოლა, მარჩენა, ალბიოლი, არბელოა (63. კაპდევილა) - ინიესტა (46. კასორლა), ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო (46. სილვა) - პედრო, ფ. ლორენტე (63. ტორესი), ვილია (46. მ. დელ მორალი).

გოლები: 0:1 ვილია (5), 0:2 პედრო (20), 0:3 ჩაბი ალონსო (45)

„ფურია როხამ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა სიძლიერე - ამჯერად, სტუმრად ვენესუელის ნაკრები გაანადგურა ამხანაგურ მატჩში - 3:0. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს **რენი ვეგას** კარში, ჯერ ორმა ბარსელონელმა გამოიჩინა თავი, შემდეგ რეალელმა.

ეს თამაში პუერტო ლა კრუსში გაიმართა. სულ ხუთი წუთი იყო გასული, როცა **დავიდ ვილიამ** საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. მალევე **პედროს** დარტყმული მასპინძლთა მცველს მოხვდა და მიმართულება ოდნავ იცვალა. ტაიმის მიწურულს ესპანელებმა ისევ საჯარიმო დარტყმით იხეირეს, ამჯერად, ბურთთან **ჩაბი ალონსო** მივიდა, მიზანმა არც მას უმტყუნა.

შეგახსენებთ, რომ **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდმა ამერიკული ტურნე სრული ტრიუმფით დაასრულა - ჯერ ბოსტონის „ფოქსბოროზე" 4:0 გაანადგურა აშშ-ს ნაკრები (ეს მატჩი შაბათს გაიმართა), ახლა კი ვენესუელა 3:0 დაამარცხა.

ვილიას გოლისას ვეგა აშკარად შეცდა, ეს არ იყო აუღებელი საჯარიმო, მიუხედავად იმისა, რომ „ელ გუახემ" ოსტატურად შემოატარა კედელს ბურთი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ - ვილია ძალიან შორიდან ურტყამდა, თან ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ გოლკიპერს და ისე გავიდა ვენესუელელთა კარში. მასპინძლებიც აქტიურობდნენ და შანსებს ისინიც ქმნიდნენ **ვიქტორ ვალდესის** კართან. ყველაზე ახლოს მიზანთან **ჯანკარლო მალდონადო** იყო - ფორვარდმა, რომელიც ბოლო სეზონში ესპანურ „ხერესში" ასპარეზობდა, ვეღარ აჯობა ვალდესს. თამაში, თითქოს, თანაბარი იყო, მაგრამ გუნდებს შორის ერთი უზარმაზარი განსხვავება იყო - სტუმრები იყენებდნენ თავიანთ შანსებს, მასპინძლები კი ანიავებდნენ. მე-20 წუთზე ბარსელონური კომბინაცია გათამაშდა - ვილიამ პედრო დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა (მანამდე კი კომბინაცია პედრომ დაიწყო), რომელმაც მახვილი კუთხიდან დაბალი ბურთი დაურტყა ვეგას, პედროს რიკოშეტიც დაეხმარა და „ფურია როხა" 2-ბურთიანი უპირატესობით დანინაურდა.

ამის შემდეგ ისევ მალდონადოს მიეცა თავის გამოჩენის შანსი, სამხრეთამერიკელმა ფორვარდმა ბურთის დაუმუშავებლად დაარტყა, მაგრამ ვალდესის კარს გადააცილა. ცოტა ხანში ვეგამ კინალამ კიდევ გაატანინა ვილიას, მეკარეს უბრალოდ გაუმართლა, რომ ბურთი ხარიხას გადასცდა. ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი საჯარიმო რომ დაინიშნა, ვეგა შესამჩნევად ანერვიულდა - ჩაბი ალონსომ დაახლოებით 20 მეტრიდან ბურთი კედელს შემოატარა და დაბალ კუთხეში გაიტანა. ამჯერად, ვეგას ვერაფერში დავადანაშაულებთ - ბასკმა სტანდარტული უნაკლოდ შეასრულა, თუმცა ახლაც კარამდე საკმაოდ შორი იყო. სხვათა შორის, ამ სეზონში ჩაბი ალონსოს ერთხელაც არ ანდეს „რეალში" საჯარიმოს დარტყმა - არადა, სულ ტყუილად.

მეორე ტაიმის წინ ერთი ღირშესანიშნავი ფაქტი მოხდა „ფურია როხაში" - ნაკრების მაისურა კარიერაში პირველად მოირგო **მანუ დელ მორალმა**, „ხეტაფეს" ყოფილმა კაპიტანმა და „სევილიას" ახალწვეულმა. დელ ბოსკემ შესვენების შემდეგ ბოსტონური მატჩის გმირები, **სანტი კასორლა** და **დავიდ სილვაც** გამოიყვანა. დელ მორალის დებიუტზე რა ვთქვათ - შეტევა ვერ გაამწვავა, საინტერესოდ იხსნებოდა, მაგრამ პასები არ მისდიოდა, თანაგუნდელებთან შეთანხმება აკლდა.

საგოლე მომენტები მეორე ტაიმშიც შეიქმნა, თუმცა ორივე კართან უშედეგოდ. ჯერ **ალეხანდრო მორენომ** ახლო მანძილიდან ააცილა, შემდეგ **ფერნანდო ტორესი** თითქმის პირისპირ გავიდა ვეგასთან და ეს დიდებული შანსი ვერ გამოიყენა. მალე ვალდესმაც იყოჩაღა და **ტომას რინკონის** ყუმბარისებრი დარტყმა მოიგერია. ვენესუელას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თამაშის ბოლომდე არ გატეხილა და იბრძოდა.

ვისენტე დელ ბოსკემ ბოსტონისგან განსხვავებული შემადგენლობა ათამაშა. დაცვა სანახევროდ გადახალისებული იყო - **ჟერარდ პიკემ** და **სერხიო რამოსმა** დაისვენეს, მათ ნაცვლად კი **ანდონი ირაოლა** და **კარლოს მარჩენა** გამოჩდნენ. შუახაზში **ჩავი ანდრეს ინიესტამ** შეცვალა. თავდასხმის ტრიოდან მხოლოდ ვილია დარჩა სასტარტოში. სამაგიეროდ, გამოჩდნენ პედრო და **ფერნანდო ლორენტე**.

ესპანეთის ნაკრების მომდევნო მეტოქე აგვისტოში იტალიაა, ეს შეხვედრა მილანში, „სან სიროზე" გაიმართება.

ვენესუელასთან მატჩში საუკეთესო პედრო იყო, 23 წლის ფორვარდმა გოლი გაიტანა და კარგი დუეტი შექმნა შეტევაში დავიდ ვილიასთან. სანამ ის მოედანზე იყო, მუდამ აქტიურობდა და ხიფათს უქმნიდა ვენესუელის ნაკრების დაცვის ხაზსა და მეკარე ვეგას.

მოკლედ, „ფურია როხამ" სეზონი წარმატებულად ჩაამთავრა - ესპანეთის ნაკრებმა ითამაშა, როგორც ერთიანმა ორგანიზმმა. არადა, „რეალისა" და „ბარსელონას" 18-დღიანი დაპირისპირების შემდეგ ძალიან ბევრს ეგონა, რომ ბარსელონელები და მადრიდელები ერთად ჰარმონიაში ვერ ითამაშებდნენ, თუმცა ვისენტე დელ ბოსკემ ნაკრებში პირველ რიგში ეს პრობლემა მოაგვარა.

„ჩვენი დავამტკიცეთ, რომ ნაკრებში ყველაფერი რიგ ზეა და მოდი, ამიერიდან სპორტულ საკითხებ ზე ვი ზრუნოთ. ტურირ გამარჯვებით დავასრულეთ. კარგად ვითამაშეთ, თუმცა მეორეში ოდნავ მოვდუნდით და ვენესუელას ერთი-ორი საგოლე მომენტი შევაქმნევინეთ", - დასძინა 60 წლის ვისენტე დელ ბოსკემ თამაშის შემდეგ.

სხვა ამხანაგური მატჩები	
პარაგვაი-ბოლივია	0:0
ეკვადორი-საგერძნეთი	1:1

გოლები: 0:1 ციოლისი (16), 1:1 ერასო (58

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ● ვოლფსბურგი

მირალემ პიანიჩი

პიანიჩი, მგლების ახალი გამთამაშებელი?

დიეგოს მაგათთან ჯერ არ ულაპარაკია, მაგრამ სალაპარაკო არც არაფერია...

ის ფაქტი, რომ ბუნდესლიგის გასული სეზონის ბოლო ტურის წინ, თამაშამდე ერთი დღით ადრე **დიეგომ** გუნდის სხდომა თვითნებურად დატოვა და თანაგუნდელებს სეზონის გადამწყვეტ მატჩში არ დაეხმარა, „მგლების" მთავარი მწვრთნელის **ფელიქს მაგათის** მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი გამოდგა. მას მერე „დესპოტ ფელიქსს" მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ 26 წლის ბრაზილიელი გამთამაშებელი თავიდან მოიშოროს. „ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგის" ინფორმაციით, ვლფსბურგელები უკვე ახალ პლეიმეიქერს ეძებენ, ფავორიტი კი „ლიონის" 21 წლის უნიჭიერესი ნახევარმცველი **მირალემ პიანიჩია**. სხვათა შორის, ამ „მგლებში" გადაყვანა მაგათს ჯერ კიდევ 2008 წელს უნდოდა. ახლა კი მირალემმა „ვოლფსბურგში" დიეგო უნდა შეცვალოს.

თვითონ დიეგო ახლა ბრაზილიაშია და ისვენებს, „ვოლფსბურგის" თემას კი მშობლიურ ჟურნალისტებთან საუბარში გამოეხმაურა. *„მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელთან გაუგებრობა მქონდა, გერმანიის ჩემპიონატს და „ვოლფსბურგს" უდიდეს პატივს ვცემ. ფელიქს მაგათთან მას მერე არ მისაუბრია და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი,"* - უთხრა დიეგომ ბრაზილიურ გაზეთ „ესპორტეს".

ბრაზილიაში კი მუსირებს ხმები, რომ დიეგოს გადაბირება მის ყოფილ კლუბ „სანტოსს" უნდა. ხსენებულმა გამოცემამ „სანტოსის" პრეზიდენტ **ლუის ალვაროს** კომენტარიც გამოაქვეყნა, რომელიც ამბობს: *„დიეგოს ყიდვა ძალიან გვინდა. მასთან მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებთ. „სანტოსის" კარი მისთვის ყოველთვის ღიაა."* თავად ფეხბურთელმა კი „სანტოსთან" მოლაპარაკებები უარყო, რაც სულაც არაა გასაკვირი – რაკი კონტრაქტით „ვოლფსბურგს" ეკუთვნის, გუნდისთვის გვერდის ავლით სხვა კლუბებთან ლაპარაკის უფლება არ აქვს...

გოტფრიდ ლენცი

● გამოთხოვება ლეგენდასთან

ამაყი ბრაზილიელი

რონალდო ნაკრებიდან გააცილეს

ბრაზილია-რუმინეთი	1:0

გოლი: 1:0 ფრედი (21)

ამ შეხვედრაში არც ანგარიში იყო მთავარი და არც თამაში - არამედ ის, რომ სან პაულუში ნაკრებიდან გააცილეს თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი **რონალდო**. 34 წლის რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმას 18-წლიანი სანაკრებო კარიერა რუმინეთთან მატჩში დასრულდა - ის მოედანზე 30-ე წუთზე შევიდა და შესვენებამდე ითამაშა. რონალდო, რომელიც ფეხბურთიდან თებერვალში წავიდა, ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს 4 ჩემპიონატზე წარადგენდა. ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად რჩება 15 გოლით. „ფენომენმა" ბრაზილიის ნაკრების მაისურით 98 თამაშში 62 გოლი გაიტანა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი კი **ფრედმა** პირველ ტაიმში გაიტანა. თამაშის შემდეგ რონალდომ გულშემატკივარს მიმართა: *„დღეს გოლის გატანის შანსები მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ყველას დიდი მადლობა, ვისაც ჩემს კარიერაში წვლილი მიუძღვის. როცა ვტიროდი, თქვენც ტიროდით, როცა ვიცინოდი - თქვენც მხიარულ განწყობაზე იყავით. ჩვენ კიდევ შევხვდებით, ოღონდ ახლა სხვა სტატუსით. ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ბრაზილიელი ვარ".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

რონალდო პუბლიკას გამოემშვიდობა

● ძიუდო. პრესკონფერენცია

მარცხნიდან: ზურაბ უსუფაშვილი, ივერი ჯიქურაული, გიორგი ალექსიძე, პეტერ ზაიზენბახერი

ზაიზენბახერმა კარტები გაშალა

გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ბუქარესტში ტრიუმფით ჩატარებულ მსოფლიოს თასს მიეძღვნა.

შეგახსენებთ, რომ რუმინეთში ჩვენმა ფალავნებმა 3 ოქრო და 1 ვერცხლი მოიპოვეს, რაც ამ სეზონში საუკეთესო მაჩვენებელია. ამაზე ძიუდოს ევროპული ფედერაციის საიტმა იხუმრა კიდეც, ქართველები ასე კარგად მშობლიურ ტურნირზე არ გამოსულანო და სამართლიანადაც - მართალია, მაშინაც ოთხი მედალი გვქონდა, მაგრამ ოქრო მხოლოდ 2 იყო. ბუქარესტში ჩემპიონები **ბეთქილ შუკვანი** (60), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ზვიად გოგოჭური** (90) გახდნენ, მეორეზე კი მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** გავიდა. პრესკონფერენციას სამივე ჩემპიონი ესწრებოდა მწვრთნელ **ივერი ჯიქურაულთან** ერთად, რომელიც შეჯიბრებაზეც ახლდა და გუნდს. ცხადია, შეხვედრა ძირითადად ამ ტურნირს ეძღვნებოდა, თუმცა იქაურ პერიპეტიებზე უფრო საინტერესო ამბები ეროვნული ნაკრების ფაქტობრივმა თავკაცმა **პეტერ ზაიზენბახერმა** გაგვიმხილა - დაასახელა იაპონურ შეკრებაზე წამსვლელი 16-კაცა გუნდი; გვამცნო **დავით ასუმბანის** ახალ წონაში - 66-ში გადანაცვლება; კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს** (100) მსოფლიოს პირველობისთვის ინდივიდუალურად მოუწევს მომზადება და ბოლო შეკრებამდე გუნდში მის დაბრუნებას არ აპირებს...

მარცხნიდან: ავთანდილ ჭრიკიშვილი, ზვიად გოგოჭური და ბეთქილ შუკვანი

რუმინულ ტურნირთან დაკავშირებით თავდაპირველად კომენტარი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ჩვენი გუნდისთვის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების გეგმით გათვალისწინებული ბოლო შეჯიბრება იყო, რომელიც ცალკეული წამყვანი ნაკრებების უარის მიუხედავად, მაინც საკმაოდ ძლიერი გამოდგა - 46 ნაკრები გამოდიოდა, მონაწილეთა შორის კი ბლომად იყვნენ საერთაშორისო რეიტინგის ათეულში შემავალი ძიუდოისტები. თურმე უცხოელებისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა ჩვენების გამოსვლა, რადგან ყველა ახალგაზრდაა, განსაკუთრებით კი გოგოჭურით გაოცებულან, რომელიც ძიუდოს სამყაროსთვის აქამდე სრულიად უცნობი იყო. *„ეს ტურნირი ბიჭებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო - წარმატება საკუთარი თავის რწმენას შეჰმატებდათ. საბედნიეროდ, ბიჭებმა კარგად იჭიდავეს და მაღალ დონეზე იასპარეზეს“* - განაცხადა ჯიქურაულმა.

ამის შემდეგ შეხვედრის ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო, როცა ზაიზენბახერმა მსოფლიოს პირველობისთვის ნაკრების მზადების გეგმა გაგვაცნო. მოგეხსენებათ, მან შეცვალა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი კურსი - ტალინში, რიო დე ჟანეიროსა და სან პაულუში დაგეგმილი სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოსვლას იაპონიაში ერთი თვით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე წასვლა არჩია. ჩვენები იქ 19 ივნისს გაემგზავრებიან და 23 ივლისამდე დარჩებიან, პარალელურად კი ტოკაიასა და კოქშიგანის უნივერსიტეტებში ივარჯიშებენ. ზაიზენბახერს შეკრებაზე 16 სპორტსმენი მიჰყავს: **ამირან პაპინაშვილი**, ბეთქილ შუკვანი (ორივე - 60), დავით ასუმბანი, **შალვა ქარდავა** (ორივე - 66), **ამბაკო ავალიანი, თენგიზ პაპოშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი** (სამივე - 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, **ლევან წიკლაური, გიორგი ბაინდურაშვილი** (სამივე - 81), **ვალერი ლიპარტელიანი,** ზვიად გოგოჭური (90), **ლომერ ყორჟოლიანი, ალექსანდრე მსხალაძე** (100), ზვიად ხანჯალიაშვილი, **ადამ ოქრუაშვილი** (+100). მწვრთნელის განცხადებით, აგვისტოში პარიზში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელი შემადგენლობა 90 პროცენტით ამათგან ამოირჩევა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსოფლიოსთვის სხვები არ მოემზადებიან - ყველა ფორმაში უნდა იყოს, ვინიცობაა, მწვრთნელს რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ვინმეს შემცვლელი დასჭირდეს. ავსტრიელმა ისიც დასძინა, რომ მისთვის დოგმა არაა, ყველა წონაში 2 კაცი წაიყვანოს - ვისაც მედლის მოპოვების რეალური შანსი არ ექნება, გუნდში არ დავაყენებთო.

იაპონიიდან ნაკრები 23 ივლისს დაბრუნდება და ერთ შეკრებას უცხოეთში გაიელის, ოღონდ ჯერ საბოლოოდ გარკვეული არაა, იტალიაში თუ ბელარუსში. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ დასკვნითი შეკრება დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე მოეწყობა.

ასუმბანთან დაკავშირებით ზაიზენბახერმა შემდეგი განაცხადა: *„მან დაამტკიცა, რომ 60-ში ერთ-ერთი უძლიერესი იყო, ახლა კი 66-ში გადაწყვიტა გადასვლა. ის საკმაოდ მაღალი კლასის მოჭიდავეა, ბოლო კვირები ფიზიკურადაც კარგად ემზადება და ყველანაირად დავეხმარებით ახალ წონაში წარმატებების მოპოვებაში“.* საინტერესოა მწვრთნელის პრინციპული პოზიციაც ცირეკიძის შესახებ: *„ის ძალიან გამოცდილი სპორტსმენია, მაგრამ ბოლო დროს დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები გვქონდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ის ინდივიდუალურად მოემზადოს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. იქამდე მას შეუძლია თავის წარმოჩენა, თუ როგორ ფორმაში იქნება პლანეტის პირველობისთვის. რაც შეეხება მის განცხადებას ნაკრებში დაბრუნებასთან დაკავშირებით, დაბრუნება ბევრს სურს, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმეს შეუძლია. ცირეკიძეს ამის შანსი აქამდეც მივეცით, ამ ეტაპზე კი გუნდთან ვერ ივარჯიშებს, თუმცა ბოლო შეკრებაზე წავიყვანთ“.*

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ზაიზენბახერმა ყურადღება გაამახვილა, ნაკრების თვისობრივად ახალ სავარჯიშო სტილზე გადასვლაა - სხვა საჭიდაო სახეობებისთვის დამახასიათებელი მანერიდან კლასიკურ ძიუდოზე გადადიან. მან აღნიშნა, რომ ეს ცვლილება რამდენიმე თვეში მოხდება, თუმცა ის დიდი გამოწვევაა ბიჭებისთვის და დაძაბულ შრომას მოითხოვს. ბევრს უჭირს კიდეც გადაწყობა, მაგრამ ბევრი უკვე კარგად შეეგუა მას, თუმცა მწვრთნელის აზრით, მთავარი ისაა, რომ ყველა მიხვდა ამ რეფორმის აუცილებლობას და აქეთკენ მიდიან. ავსტრიელმა კმაყოფილება გამოთქვა ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებითაც, რაც სათანადო დარბაზის კეთილმოწყობით ახსნა.

მწვრთნელს იმაზეც დავეკითხეთ, რატომ იუარა სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოსვლა - იაპონური შეკრება კარგია და ფრიად საშურიც, მაგრამ სალიცენზიო ქულებიც ხომ საჭიროა? ამაზე ასეთი პასუხი მივიღეთ: *„განვლილ ტურნირებში მონაწილეობამ დაგვარწმუნა, რომ ამდენ შეჯიბრებაზე სიარული დიდ ენერგიას ართმევდა ბიჭებს. ამიტომ ამ ეტაპზე მათი განვრთნა, მომზადება და ახალ სტილთან შეგუება უფრო აქტუალურად მივიჩნიე. ის ხუთი დღე, ვიდრე სპორტსმენი ტურნირზეა, ეთიშება ყოველდღიურ სავარჯიშო რეჟიმს, მერე აქ ჩამოდიან და ერთი დღე მაინც სჭირდებათ დასვენება ანუ ისე გამოდის, რომ მთელი კვირა უცდებათ. თანაც, რამდენიმე წონაში საგ ზური ლამის განაღდებული გვაქვს, ხოლო მსოფლიოს პირველობაზე თუ წარმატებით გამოხვალ, ქულებს ესეც შეგვმატებს. ამასთან, მსოფლიოს პირველობის შემდეგაც ბევრი სალიცენზიო შეჯიბრებაა და იქაც შეიძლება მარაგის შევსება, ამ ეტაპზე კი ჩვენი ფალავნებისთვის უფრო აქტუალური საჭიდაო სტილის შეცვლა, ფიზიკური მომზადებაა და არა ქულები. ამიტომ ისეთ ერთკვირიან ამოვარდნებს მირჩევნია, სერიოზული საფუძვლები შევქმნათ, ლიცენზიებზე ზრუნვა კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გავრძელდეს“.*

ავტორის ფოტოები

● ოლიმპიური კომიტეტი

თანადგომა და ფინანსები - სეოკ-ს

გუშინ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და კომპანია „Coca-Cola“-მ შეთანხმება გააფორმეს. ხელშეკრულება ლონდონის ოლიმპიადის ჩათვლითაა დადებული, თუმცა მხარეები იმედოვნებენ, რომ პარტნიორობას თამაშების მერეც გააგრძელებენ. მით უფრო, „Coca-Cola“ აქტიურად აფინანსებს სპორტულ მოძრაობას მთელ მსოფლიოში და 1928 წლიდან თვით ოლიმპიური თამაშების გენერალური სპონსორიცაა. „აღნიშნული კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს ოლიმპიურ მოძრაობასთან. ძალიან მნიშვნელოვანია ხელშეკრულება, რომელსაც მასთან ვაფორმებთ. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა ოლიმპიადის მერეც გაგრძელდება. მინდა, ბატონ თემურ ჭყონიას მადლობა გადავუხადო არა მარტო ახლანდელი ხელშეკრულების, არამედ იმ დიდი დახმარებისთვის, რასაც აქამდეც გვიწევდა როგორც კომპანიის მხრივ, ისე პიროვნულადაც. დარწმუნებული ვარ, ასეთი მხარდაჭერით ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვალთ“ - განაცხადა სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა**.

„ჩვენი კომპანია მართლაც მჭიდროდ თანამშრომლობს სპორტთან და ახლაც სიამოვნებით ვაფორმებთ ამ ხელშეკრულებას“ - აღნიშნა **თემურ ჭყონიამ**.

„ამ ხელშეკრულების გაფორმება კიდევ ერთი მოტივაცია და დასტურია საიმისოდ, რომ ქართული სპორტი არაა მარტო. მინდა, დიდი მადლობა გითხრათ იმ თანადგომისთვის, რასაც ქართულ სპორტს უწევთ არსებობის მანძილზე. ასეთი თანადგომა სამომავლო წარმატების წინაპირობაა“ - მიმართა ჭყონიას პარლამენტარმა **გიორგი ასანიძემ**.

ცხადია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად თანხებზე ღიად არ უსაუბრიათ, მაგრამ ის კი განმარტეს, რომ ეს ფული განსაზღვრულია ლონდონში წამსვლელი ოლიმპიური დელეგაციისთვის და არა ცალკეული ნაკრებებისთვის. ამიტომ ის მოხმარდება ეკიპირებას, სააღლუმო და თუ ყოველდღიური აღჭურვილობის შეძენას, სხვა მიმდინარე ხარჯებს და არა გუნდების თამაშებისთვის მომზადებას.

ჭყონიამ გამოთქვა სურვილი, ოლიმპიურ მუზეუმს გადასცეს კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა ოლიმპიადის ემბლემა. თავის მხრივ, მასპინძლებმა პრინციპით - ჯილდო თავის პატრონს ყოველთვის იპოვისო, რამდენიმეთვიანი დაგვიანებით კუთვნილი ჯილდო გადასცეს, რომელიც სეოკ-მა შარშან მიანიჭა, როგორც ქართული სპორტის საუკეთესო მეცენატს. მაშინ დაჯილდოების ცერემონიალს ჭყონია არ ესწრებოდა და კუთვნილი დროულად ამიტომ ვერ ჩაიბარა, თუმცა ჯობს გვიან, ვიდრე - არასდროსო.

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

ლანა ვერულიძე: ქართული სიურპრიზი ანთალიაში

უცნაური ამბები ხდება ანთალიაში, მშვილდოსანთა მსოფლიოს თასზე მოასპარეზე საქართველოს ქალთა ნაკრებში. გუშინ პირად პირველობაში პლეიოფები გაიმართა და ჩვენი გუნდის სამივე ძირითადი წევრი პირველივე წრიდან გამოვარდა, ბათუმელმა **ლანა ვერულიძემ** *კი ორი წრე გაიარა და დღეს 1/16-ფინალში იასპარეზებს.*

მართალია, მან საკვალიფიკაციო ეტაპზე არცთუ მთლად კარგი შედეგი აჩვენა - 1274 ქულა, თუმცა ჩვენებს შორის ეს მეორე მაჩვენებელი მაინც იყო. პლეიოფშიც ძლიერად ისროლა - გარდა იმისა, რომ ორი წრე გაიარა, საკმაოდ ძლიერ ბრიტანელ **ნაომი ფოლკარდსაც** *აჯობა. თუმცა მანამდე - პირველ წრეში დანიელ* **ლუისე ლაურსენთან** *გადახდა ძალიან დაძაბული ბრძოლა. ჩვენებურმა წააგო პირველი სეტი, მაგრამ ზედიზედ იმარჯვა ორში და 2:1 დანინაურდა. მეოთხეში დანიელმა ანგარიში გაათანაბრა, მეხუთე კი სულაც ფრედ დასრულდა - 25:25. დამატებით სერიაში ვერულიძემ 9:8 იმარჯვა და შეხვედრაც მოიგო. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მან ფოლკარდთან ბევრად იოლად მოიგო - თავიდანვე 2:0 დანინაურდა, მერე ერთი სეტი დათმო, მაგრამ მეოთხეში კვლავ იმარჯვა და საბოლოოდ სეტებში 3:1 მოიგო. დღეს მისი მეტოქე ნაკლებადცნობილი უკრაინელი* **ნინა მილჩენკო** *იქნება.*

ჩვენი გუნდის სხვა წევრები პლეიოფის პირველივე წრიდან კი გამოვარდნენ, მაგრამ სამივემ მედგრად იბრძოლა და იოლად არაფერი დაუთმიათ. შესარჩევ ეტაპზე ჩვენგან საუკეთესო **ხათუნა ნარიმანიძე** *ამერიკელ* **ლორი ცისლინსკისთან** *დამარცხდა ხუთ სეტში - 2:3. ამერიკელმა თავიდან ორი სერია მოიგო, მაგრამ ნარიმანიძემ ანგარიში გაათანაბრა, თუმცა გადამწყვეტი სეტი ერთი ქულით წააგო - 26:27.* **ქრისტინე ესებუა** *ამერიკელთა მეორე ნომერ* **ჯენიფერ ნიკლოშს** *ხვდებოდა და ამანაც ხუთსეტიანი თრილერი გაუმართა, რომელთაგანაც ერთი სულაც ფრედ დასრულდა.* **ასმათ დიასამიძემაც** *ასევე ხუთსეტიანი ბრძოლა ჩაატარა იაპონელ* **კაორი კავანაკასთან** *და ერთი ამათაც ფრედ დაამთავრეს. ამდენად, ნაადრევი წაგებების მიუხედავად, ყველამ იბრძოლა, რაც მისასალმებელი ფაქტია. რაც შეეხება დაბალ შედეგებს, ალბათ, ამის მიზეზი ახალი მშვილდებია - გოგოები ჯერ არ არიან იარაღთან შეგუებულები. თან არც სათანადო ისრები გააჩნიათ, თუმცა ეს პრობლემა უახლოეს დღეებში მოგვარდება.*

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქალთა ნაკრები - ნარიმანიძე, ვერულიძე, დიასამიძე გუნდური შეჯიბრების პლეიოფშიც გავიდა, სადაც ხვალ იასპარეზებენ და პირველივე წრეში კორეელებს შეხვდებიან.

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

ჩვენები ანთალიაში

● ჭლაჟბურთი. მსოფლიოს ტური

საქა-რთველოს ერთი შანსი

პეკინში მიმდინარე მსოფლიოს ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა შორის შეჯიბრებაში **საქა-რთველო** ჯგუფურ ტურნირში ჩაება. ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც 24-ე ნომრად არიან განთესილნი, პირველი მატჩი 25-ე ნომრად განთესილ იტალიურ დუეტ **ჯიორრია-მომოლისთან** წააგეს - 0:2 (22:24, 15:21), მეორე მატჩში კი შესანიშნავად ითამაშეს და სენსაციასაც ეწივნენ. საქა-რთველომ მე-9 ნომრად განთესილი ჩინური წყვილი **ინაგ-იუე** დაამარცხა ორ სეტში - 21:17, 21:14.

დღეს ჩვენი ფრენბურთელები ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს გამართავენ მე-8 ნომრად გათესილ მასპინძელთა დუეტ **ხუე-ჭაკთან,** რომელსაც ორი მატჩიდან ორი მოგება აქვს. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საქა-რთველომ მინიმუმ ერთი სეტი უნდა მოიგოს.

ბესიკ ჯანგავაძე

● ტყვიის სროლა

გერმანიაში ვარჯიშობენ

მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე** და მწვრთნელი **ვახტანგ სალუქვაძე** გერმანიაში, ქალაქ ბასუმში იმყოფებიან 10-დღიან შეკრებაზე, სადაც ადრეც ხშირად ყოფილან ანალოგიური განზრახვით. მათი მიზანი 16-23 ივნისს მიუნხენში გასამართი მსოფლიოს თასის დასკვნითი - მეოთხე ეტაპისთვის მომზადებაა. სამწუხაროდ, უფულობის გამო გერმანიაში ვერც შეკრებაზე და ვერც შეჯიბრებაზე სხვა სპორტსმენების გაგზავნა ვერ მოხერხდა. ამიტომ მსოფლიოს თასზეც მხოლოდ ეს დუეტი გამოვა.

მომავალ შეჯიბრებას ნინო სალუქვაძისთვის წმინდა სატურნირო დატვირთვა ექნება, რადგან მარტის ბოლოს სიდნეიში ანალოგიურ ტურნირში გაიმარჯვა, რითაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა და შემოდგომაზე ისევ მიუნხენში გასამართი მსოფლიოს სუპერფინალისაც.

ირაკლი თავაძე

● ჩოგბურთი

ანადან ანამდე ძალიან შორი ყოფილა

ანა ტატიშვილი

არ დავმალავთ და ამ მატჩის წინ უჩვეულო ოპტიმიზმი გვქონდა - მიუხედავად იმისა, რომ 21 წლის **ანა ტატიშვილი** (118) მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან **ანა ივანოვიჩს** ხვდებოდა, რომელიც ბირმინგემის ტურნირ „აეგონ კლასიკზე" (საპრიზო ფონდი 220 ათასი ამერიკული დოლარი) მე-2 ნომრად იყო განთესილი. რატომღაც გვჯეროდა ჩვენებურის გამარჯვების თუ არა, კარგი თამაშის მაინც. ინგლისურ ბალახის კორტებზე ეს ტურნირი „დიდი სლემის" შეჯიბრების, უიმბლდონის პირველობის პრელუდიაა და მეორე წრის მატჩში ერთმანეთის პირისპირ სერბი და ქართველი ანა დადგნენ. „რალან გაროსზე" ანა ტატიშვილმა პირველი სეტი 6:1 მოუგო მსოფლიოს მე-11 ჩოგან **მარიონ ბარტოლის,** შემდეგ ბარტოლი ნახევარფინალში გავიდა. ეს კი ერთობ გვაიმედებდა, რასაც ივანოვიჩის ცუდი სათამაშო ფორმა, ერთვოდა, - ბოლო თვეებია, ის ძალზე წარუმატებლად გამოდის.

მატჩი დაიწყო ივანოვიჩის მოწოდებით და მიუხედავად იმისა, რომ მან ორი ეისი ჩაუგდო ქართველს, ტატიშვილმა პირველივე მოწოდება აართვა ფავორიტს! ცენტრალური კორტი სენსაციის იმედად გაინაბა, მაგრამ ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი თამაშობდა, ტატიშვილი კი ყველაფერს აგებდა - 6:1, 6:0. სერბმა თითოეულ სეტს 22 წუთზე მეტი არ დაუთმო. ივანოვიჩი მესამე რაუნდში გავიდა, სადაც კანადელ **რებეკა მარინოს** შეხვდება.

ჩვენებური „აეგონ კლასიკის" წყვილთა ბადეში განაგრძობს ასპარეზობას, სადაც ტაილანდელ **ნოპავან ლერტჩეევაკარნს** შეუწყვილდა. ამ ეგზოტიკურმა დუეტმა პირველ წრეში ამერიკელები, **ლინდსეი ლი-უოტერსი** და **მეგან მაულტონ-ლევი** დაამარცხა - 6:4, 6:4. ტატიშვილი და ტაილანდელი მეოთხედფინალში გავიდნენ. მათი მეტოქეები წუხელ, გვიან ღამით გახდნენ ცნობილი. ერთეულებში გამოსვლისთვის ჩვენებურმა 15 სარეიტინგო ქულა და 1,3 ათასი დოლარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ ტატიშვილი უიმბლდონის ტურნირზე ძირითად ბადეში იასპარეზებს, ეს კი მის კარიერაში პირველად მოხდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● კალათბურთი. ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

ერთგულ ბიბლიოთეკა

ორმაგი ფასი...

ვიქტორი ვირტუსის ერთგულობს

ვიქტორ სანიკიძე თბილისშია. იგი იტალიაში ჩატარებული მომქანცველი მატჩების შემდეგ ისვენებს. გუშინ ვიქტორმა ჩვენთან საუბრისას გაიხსენა 2010-11 წლების სეზონი, სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა და საქართველოს ნაკრებზეც.

მეორე 2+1

ინტერვიუ ყველაზე საინტერესო თემით, საკონტრაქტო ამბებით დავიწყეთ. როგორც ჩანს, სანიკიძეს ბოლონიის „ვირტუსის" დატოვება არ სურს:

- ბოლონიელებთან 2009 წელს 2+1 სისტემის კონტრაქტი გავაფორმე, რომლის ძირითადი ნაწილი (2 წელი) ახლა ამოიწურა. +1 წელზე ლაპარაკი აღარაა... რადგან „ვირტუსის" ხელმძღვანელობამ ახალი ხელშეკრულება შემომთავაზა.

- რამდენწლიანი?

- 2+1. კონტრაქტის დეტალები ნავიკითხე, თუმცა ყველაფერი მას შემდეგ გადაწყდება, რაც ჩემი აგენტი კლუბის ხელმძღვანელობასთან ყველა დეტალს საბოლოოდ შეათანხმებს. მეც მოთმინებით ველი აგენტის ზარს.

- სხვა წინადადებები არ მიგიღია?

- სხვა ვარიანტზე ჯერ არც ვფიქრობ, რადგან ბოლონიაში თავს კარგად ვგრძნობ. იტალიურ პრესაში გუნდის პრეზიდენტის კლაუდიო საბატინის კომენტარები ნავიკითხე, სადაც იგი ამბობს - ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სანიკიძისა და პოეტას შენარჩუნებაა. თუ „ვირტუსში" დავრჩი, მომდევნო სეზონში გუნდის კაპიტანი ვიქნები.

- მთავარი მწვრთნელი ლარდო ლინო ალექსანდრე ფინელით შეცვალეს. ახალ დამრიგებელს თუ ელაპარაკე?

- სამწუხაროდ, იტალიიდან წამოსვლამდე „ვირტუსის" ახალ მწვრთნელს ვერ შევხვდი. ჯერ არც ისაა ცნობილი, სამომავლოდ ვინ ითამაშებს გუნდში, ვის დატოვებას და ვის გაშვებას აპირებენ.

- ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში საბატინიმ თქვა - ახალ სპონსორს ვეძებთო. ფინანსურად ყველაფერი წესრიგშია?

- როგორც ვიცი, მთავარი სპონსორი წავიდა. მის ნაცვლად, ალბათ, ახალს მოიყვანენ. რაც შეეხება ფინანსურ მდგომარეობას, შარშანდელი სეზონის შემდეგ დიდად არაფერი შეიცვლება.

ოლ სტარი, როგორც ალიარება

იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალში „ვირტუსი" „მონტეპასკის" დაუპირისპირდა და სერიაში 1:3 დამარცხდა.

- წინასწარ ყველამ იცოდა, რომ ჩვენი წყვილიდან ნახევარფინალში „მონტეპასკი" უნდა გასულიყო, რადგან მეტოქის რიგებში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობაა შეკრებილი. თუმცა უბრძოლველად არაფერი დავთმეთ. სერიის პირველი შეხვედრა დიდი სხვაობით ნავაგეთ, მომდევნო სამში კი „მონტეპასკის" თანაბრად ვებრძოლეთ და ერთი მოვუგეთ კიდეც. თავიდან სიენელებმა ოპტიმალური შემადგენლობა არ გამოიყვანეს, იმედი ჰქონდათ, რომ ლიდერების გარეშეც გაგვიმკლავდებოდნენ, მაგრამ სერიოზულ წინააღმდეგობას რომ გადააწყდნენ, ჰაირსტონი და იარიჩი ჩართეს საქმეში.

- იტალიის „ოლ სტარის" შემდეგ „ვირტუსს" ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა...

- სეზონის თავიდან ბოლომდე ერთ დონეზე ჩატარება რთულია. გასულ ჩემპიონატში ჩვენც გვქონდა ჩავარდნები და აღმავლობები. ვარსკვლავთა მატჩში კოჭი ვიტკინე და მას მერე ფორმაში ჩადგომას ვცდილობდი, რაც მეტ-ნაკლებად პლეიოფისთვის მოვახერხე.

- ზემონახსენებ მონაკვეთში შენთვის უჩვეულო სტატისტიკა გქონდა: ბევრს ხსნიდი, მაგრამ კალათის მიმართულებით ხშირად არ ისროდი...

- როცა სასურველ ფორმაში ხარ, საკუთარ თავზე მეტსაც იღებ და უფრო ზუსტადაც ისვრი. რადგან ფორმის აღდგენას ვცდილობდი, ძირითად ყურადღებას დაცვას ვუთმობდი და შეტევაში ნაკლებად ვაქტიურობდი.

- „ოლ სტარამდე" (13 მარტამდე) შენც სხვა კალათბურთს თამაშობდი და „ვირტუსიც". ორ მატჩში ერთხელ ორმაგ დუბლებს აგროვებდი...

- სეზონის პირველ ნახევარშიც იყო პრობლემები. ჯერ ფეხი ვიტკინე, შემდეგ იდაყვი... იანვარში ტრავმებისგან საბოლოოდ განვიკურნე, რაც თამაშზეც აისახა. ამასთან, ინდივიდუალურადაც ბევრს ვვარჯიშობდი: როცა პირველი გუნდი ისვენებდა, დუბლშემადგენლობის კალათბურთელებთან ერთადაც ვემზადებოდი. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თებერვალში „ვირტუსის" აღმავლობა ჩემი დამსახურებაა - ერთი კალათბურთელის ღვაწლი ყოველთვის უფერულია, როცა გუნდი აგებს. მოგებისთვის კი გუნდური თამაშია საჭირო.

- არაერთხელ ვახსენეთ იტალიის „ოლ სტარი", თუმცა მთავარი არ გვითქვამს - რას ნიშნავდა შენთვის ვარსკვლავთა მატჩში გამოძახება?

- დიდი აღიარება იყო. მართალია, მოედანზე შესვლიდან ექვს წუთში კოჭი დავიზიანე, მაგრამ მთავარი არა „ოლ სტარში" ნაჩვენები სტატისტიკა, არამედ მასში მოხვედრა იყო.

- რას ფიქრობ მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუზე"?

- მანუჩარის გუნდში კარგი შემადგენლობაა შეკრებილი. თუმცა უფრო მეტი ვარსკვლავია „რომაში", „მილანში", „ბენეტონში"... მაგრამ „კანტუს" დიდი პლუსი მისი მწვრთნელი ანდრეა ტრინჩიერია, რომელმაც გუნდი შვეიცარიული საათივით ააწყო. მწვრთნელი თითოეული კალათბურთელის უმნიშვნელო პლუსსაც კი მაქსიმალურად კარგად იყენებს. „კანტუ" იტალიის ჩემპიონატის ფინალში ღირსეულად გავიდა, ევროლიგის მონაწილე „მილანი" ნახევარფინალში დამაჯერებლად დაამარცხა (3:1).

- ფინალში რა შედეგს ელი?

- „მონტეპასკის" დამარცხება ძნელი საქმეა. „კანტუს" ჩემპიონობის მოპოვება გაუჭირდება, ერთი ან ორი მატჩიც რომ მოუგოს, ცუდი შედეგი არ იქნება. თუმცა, მე მეტს ვუსურვებ.

ლიტვაში შეხვედრის იმედით

საქართველოს ნაკრებზე ლაპარაკის დროც მოვიდა...

- ეროვნული გუნდის წევრები ავთო ბერიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშს ერთად შევუდგებით, რათა ნაკრების შეკრებას (24 ივლისს) ნორმალურ კონდიციებში შევხვდეთ.

- მოსამზადებელ ციკლზე რას იტყვი?

- კარგადაა დაგეგმილი. ბევრი თამაშია, რაც სათამაშო პრაქტიკის შეძენაში დაგვეხმარება. ევროპის ჩემპიონატზე ხომ 6 დღეში 5 მატჩის ჩატარება გვიწევს და იმ მომენტისთვის პრაქტიკა აუცილებელი იქნება. ფიზიკურად მოსაღონიერებლადაც საკმარისი დრო გვექნება.

- იტალიის ჩემპიონატში ჩვენი ჯგუფის არაერთი მეტოქე თამაშობს. მაგალითად აველინოელი ლაუერსი, რომელთანაც ადრე გითამაშია.

- მასთან ერთად ფრანგულ „დიჟონში" ვიყავი. ჩვენთან შეხვედრა კი გაუხარდა, მაგრამ ცოტა გულდაწყვეტილიც იყო - ამდენი ვიწვალეთ, ჯგუფში პირველ ადგილზე გავედით, სხვებმა კი ჩვენზე ორი-სამი მატჩით მეტი წააგეს, მაგრამ მაინც ევროპის ჩემპიონატზე მოხვდნენო. საქართველოს ნაკრების მეტოქე კალათბურთელებმა ევრობასკეტზე მოხვედრა მოგვილოცეს და ლიტვაში შეხვედრის იმედით დავემშვიდობეთ.

- მოწინააღმდეგეებს საუკეთესო შემადგენლობები ჩამოჰყავთ...

- ევროპის პირველობაზე თითოეული გამარჯვება დიდი წარმატება იქნება. აქამდე ბულგარეთს ორი მატჩი მოვუგეთ, მაგრამ ეს შესარჩევ თამაშებში იყო, ევრობასკეტზე კი ყოველი გამარჯვება ორმაგად ფასობს. შეიძლება, სხვა ჯგუფებთან შედარებით ჩვენთან ბევრი ფავორიტი არ მოხვდა, მაგრამ ეს საქმეს არ აიოლებს. თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა, ამავე აზრზეა ყველა მოწინააღმდეგე, რაც ურთულესი ბრძოლების საწინდარია.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართული სპორტი

● უნივერსიადა 2011

ორი შეჯიბრებით ადრე

თბილისის სპორტულ ბაზებზე დასასრულს უახლოვდება საქართველოს „უნივერსიადა 2011“. კომპლექსური შეჯიბრების დამთავრებამდე მხოლოდ ორ სახეობაშია გასამართავი ტურნირები (ტაეკვანდო და ფრენბურთი). გუშინ თსუ-ს სპორტდარბაზში ასპარეზობა ძალისმიერ სამჭიდში (წოლჭიმი) გაიმართა. გუნდურ ჩათვლაში სწორედ მასპინძლებმა იყოჩაღეს - 27 ქულით ყველას აჯობეს. თსუ-ს ათლეტებმა პირად პირველობაშიც გამოიჩინეს თავი - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ლევან ჩოჩია** (83 კგ) და **ლევან ციციშვილი** (93) ავიდნენ. დანარჩენ წონით კატეგორიებში ოქროს მედლები **გიგა ბეგიაშვილმა** (სტუ, 59), **გიგა ჭინჭარაულმა** (თელავის უნივერსიტეტი, 66), **ზაურ წიქორიძემ** (სამედიცინო უნივერსიტეტი, 74) და **მიხეილ ბოდაველმა** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 105) მოიხვეჭეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 15 ოქროს მედლით კვლავ წინაა ილიაუნი. ერთი ოქროთი ნაკლები აქვს სტუ-ს, აგრარული უნივერსიტეტი მესამე ადგილზეა.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

ინნკირველის ხსოვნისა

თამარ ლაგაზაურ

საქართველოს სხვადასხვა კუთხის 130-მდე მოჭადრაკე გოგონა და ბიჭი მონაწილეობდა სახელოვანი მწვრთნელის - შოთა ინნკირველის ტრადიციულ მემორიალში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. შვიდწლიან გოგონებში ქულათა მაქსიმალური რაოდენობით - შვიდი შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი **ნელი პავლიაშვილმა** დაიკავა. ქულით ნაკლები მოაგროვა და მეორე ადგილი ხვდა **ეთერ ხებრელაშვილს,** 5 ქულით მესამე იყო **სალომე ბეიტრიშვილი.** ამავე ასაკის ბიჭებში ასევე უდანაკარგოდ **ნიკა კაჭარავამ** გაიმარჯვა. ტურნირში მხოლოდ ერთადერთი პარტია დათმო **ალექსანდრე ქავთარაძემ.** 5-5 ქულა ექვსმა მონაწილემ მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი **ნიკა კევლიშვილს** ერგო.

ცხრანლიან გოგონებში პირველობა არავის დაუთმო **თამარ ლაგაზაურმა,** რომელმაც ექვსი პარტია მოიგო და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაუზავდა მეტოქეს. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **ლალი გარსიაშვილი** (6 ქულა) და **მარიამ ორაგველიძე** (5) გავიდნენ. ბიჭებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ლუკა ობოლაძე** (6,5), 2. **ალექსანდრე გორგაძე** (6), 3. **მათე თოდაშვილი** (6). მწვრთნელთა დავაში პირველი-მესამე ადგილები ინნკირველის ყოფილმა შეგირდებმა - **გოგი ხომერიკმა** (50 ქულა), **მზია წერეთელმა** (47) და **დავით გურგენიძემ** (41) გაიყვეს.

ვაჟა დანელია

კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ

ორი თბილისელი დიდოსტატი - **მერაბ გაგუნაშვილი** და **დავით არუთინიანი** - მონაწილეობდა ფილიპინებზე დამთავრებულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში. არუთინიანმა 10 შესაძლებლიდან 7 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, 6,5 ქულით მეთორმეტე იყო გაგუნაშვილი. მთავარი პრიზი კი 7,5 ქულით მასპინძელ **დარვინ ლაილოს** ერგო. მან უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრო ჩინელებს - **ვენ იანსა** და **ლი შილონს.**

ვაჟა დანელია

● კარატე

ყველაზე მაღალი შეფასება

მორიო ჰიგაონა და ლევან როგავა

ახლახანს ოკინავური გოჯუ რიუ კარატე-დოს სემინარი გაიმართა დნეპროპეტროვსკში მსოფლიოს 15 წამყვანი ქვეყნის მონაწილეობით. ის გამორჩეული იმით იყო, რომ მსოფლიო კარატეს ლეგენდარულმა ოსტატმა, ოკინავური გოჯუ რიუ კარატე-დოს შეფინსტრუქტორმა, მეათე დანის მფლობელმა, სენსეი **მორიო ჰიგაონამ** ჩაატარა. სემინარის გახსნას უკრაინის სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა და მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სემინარების შემდეგ გამოცდაზე საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ცენტრის ხელმძღვანელი **ლევან როგავა** წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანას: „ერთხელაც გამოვცადე ჩემი თავი და ოსტატობის დონე. გამოცდა საკმაოდ მძიმე, რთული და საპასუხისმგებლო იყო, შეცდომა გამორიცხულია... გამოცდა 6 საათს გაგრძელდა, დავიმსახურე მესამე დანი. გამოცდის შემდეგ სენსეი მორიო ჰიგაონამ მითხრა: *გამორჩეული ხარ, ყველაზე მეტად შენ მომეწონეო და გოჯუ რიუს ოქროს სამკერდე ნიშანი მაჩუქა, რამაც ორმაგად ამიმაღლა განწყობა. ასეთი ოსტატის შეფასებას ავანსად ვთვლი. უნდა გავამართლო ჩემი ახალი რანგი - მესამე დანი*“, - გვითხრა ლევან როგავამ.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ 24-26 ივნისს ბაქოში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება კონტაქტურ კარატეში. „ეს არ არის მხოლოდ ხელით და ფეხით შეტევა ტანის კორპუსზე, თავზეც სრული კონტაქტია დაშვებული. წარმოიდგინეთ კრივი, მაგრამ კარატეს ფორმატში, დაშვებულია ჭიდაობაც, მახრჩობელა და მტკივნეული ილეთის ჩატარება. მხოლოდ იდაყვის დარტყმაა აკრძალული. გამარჯვებულია ვინც ორთაბრძოლის შემდეგ ფეხზე დარჩება. ფრე არ არის. თუ დამატებითი დროც არ იქნება საკმარისი, მაშინ მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვებულად ცხადდება უფრო აქტიური. ეს არის რეალური კარატე - ტრადიციული ორთაბრძოლების წესებით. ბაქოში გამარჯვების და მედლების იმედი გვაქვს“...

ნუგზარ ჭიაბერაშვილი,
საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

ოლიმპიადა წარმოგიდგენთ
ქართული სპორტის ქრონიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

ავთანდილ ძორიძე

15. 04. 1935, თბილისი - 11. 04. 1966, თბილისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (67 კგ). 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი (1961), სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1957, 60) და მესამე (1958) პრიზიორი, „ადრიატიკის“ თასის მფლობელი (1959). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაილუპა ავტოკატასტროფაში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორთან, რომან ძნელაძესთან ერთად.

რას ნერდა ლელო 60 წლის წინათ...

8 - 15 ივნისი, 1951 წ

1951 წლის ივნისში მინსკში გამოვიდა პირველი სპორტული გაზეთი „ფიზკულტურნიკი ბელორუსიი“ რუსულ და ბელორუსულ ენებზე (საქართველოში სპორტული გაზეთი 1934 წლიდან გამოდის. რედ.)

ბაკურიანში დაიწყო საბჭოთა კავშირში პირველი საჰაერო საბაგირო გზის მშენებლობა. ტრასის სიგრძე 1260 მეტრია

ტყვარჩელში გაიხსნა კალათბურთის სტადიონი

თბილისის „დინამომ“ შინ 2:0 დაამარცხა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდი

1951 წლის 9 ივნისს ლენინგრადში საქართველოს კალათბურთელებმა საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვეს. ფინალში მათი მეტოქე იყო მოსკოვის სამხედრო საჰაერო ძალების (ვვს) ძლიერი კოლექტივი - 37:28. გამარჯვებულის შემადგენლობა: **ნ. ჯორჯიკია, ლ. ინნკირველი, ვ. ულენტი** და **დ. გოძიაშვილი** (ყველა-„დინამო“), **გ. ბახტურიძე** და **ლ. არღანაშვილი** (ორივე-თბილისის ოფიცერთა სახლი)

1951 წლის 11 ივნისს თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის VII ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ფალავნებმა 10 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ **ესტატე ქარქუსაშვილი** და **დავით ციმაკურიძე** (მეექვსედ).

პირველად...

პირველად ქართული სპორტის და საქართველოს ტელევიზიის ისტორიაში საზღვარგარეთიდან საკუთარი ტელევიზიით პირდაპირი რეპორტაჟი მოაწყო საზოგადოებრივმა არხმა(1-ლი არხი) 2010 წლის 20 მარტს ტრაბზონიდან. ეს იყო რაგბიში საქართველო-რუსეთის ეროვნული ნაკრებების მატჩი. გაიმარჯვეს ქართველებმა - 36:8.

● ფოტომატიანე

1954 წელი. საქართველოს ჩემპიონი, სენაკის ცხენბურთელთა გუნდი. მარცხნიდან პირველი - კაპიტანი გვეჯე ივანიძე

თარიღი

9-15 ივნისი

09. 1944 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები პირველად გავიდნენ მოედანზე ნომრებით მაისურებზე

09. 1981 წ. დაიბადა **ირაკლი ლაბაძე** - ჩოგბურთი

10. 2006 წ. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასზე სტუმრად 24:3 დაამარცხა ჩეხეთის გუნდი

10. 1955 წ. დაიბადა **გიგლა იმნაძე** - ფეხბურთი (მეკარე)

11. 1962 წ. დაიბადა **მანანა მნათობიშვილი** - აკრობატიკა

12. 1943 წ. დაიბადა **ტარიელ ალიბეგაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა

13. 1976 წ. რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩადგა თბილისის „დინამოს“ სტადიონი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

13. 1850 წ. დაიბადა **ანდრია დადიანი** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1910 წელს

14. 1951 წ. დაიბადა **დავით კილასონია** - რაგბი. დაბადებიდან 60 წელი

14. 1978 წ. დაიბადა **ოთარ თუშიშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა

15. 1951 წ. თბილისში გაიმართა სასტენდო სროლაში 5 ქალაქის ამხანაგური მატჩი (თბილისი, ბაქო, კუიბიშევი, ტაშკენტი, როსტოვი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

თქვენთვის ერუდიტებო

1. სად დაიწყეს პირველად ამპლუის მიხედვით 3-3 საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა საბჭოთა კავშირში?

ა — მოსკოვში
ბ — კიევში
გ — თბილისში

2. ევროპის ჩემპიონი ვაჟ ფრენბურთელთა შორის ოთხჯერ გახდა საქართველოს სპორტსმენი. ვინ იყო იგი?

ა — გივი ახვლედიანი
ბ — ვლადიმერ დოროხოვი
გ — ვაჟა კაჭარავა

3. რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთელი ჰყავს საქართველოს?

ა — ერთი
ბ — სამი
გ — არც ერთი

4. ვინ მოიპოვა დღემდე სამბოში ყველაზე მეტჯერ ევროპის ჩემპიონობა?

ა — არჩილ ჩოხელმა
ბ — მინდია გოდაველმა
გ — უშანგი კუზანაშვილმა

5. დაასახელეთ პირველი ქართველი მორაგბე, რომელმაც საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში „ტულონის“ შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი.

ა — მამუკა გორგოძე
ბ — დავით ჟუგრიაშვილდი
გ — აძვსენტი გიორგაძე

ᲔᲜ-ᲔᲜ, ᲨᲔᲠᲔᲜ, ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ: ᲛᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲚᲔᲛᲝᲕᲘ

კროსვორდი



თარაზულად: 1. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ფეხბურთში; 5. მძლეოსნობის იარაღი; 8. საქართველოს 16-გზის (1935-1951) ჩემპიონი კრივში; 9. წარსულში ცნობილი კალათბურთელი ქალი ... ასიტაშვილი; 10. 1956 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 12. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი; 13. ერთდროული გამარჯვება სპორტის ორ სახეობაში; 14. რაგბის საერთაშორისო საბჭო (აბრევიატურა); 16. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი; 18. სამბო: მინდია ... ; 20. მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე; 23. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების წევრი გიორგი ... ; 25. ... ტოპმიოლერი; 26. ვეტერანი ხელბურთელი ... ფხაკაძე; 28. საქართველოს ჩემპიონი ძალოსნობაში თემურ...; 29. მძლეოსნობის დისციპლინა.

ᲖᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1 ხეოკის ყოფილი გენერალური მდივანი; 2. ალპინისტთა გადასვლა მთაგრეხილზე გამავალი მარშრუტით; 3. ალექსანდრე იაშვილის ყოფილი გერმანული კლუბი; 4. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი; 5. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი; 6. რაგბიში: გატანა ან პირით ხაზს იქით...; 7. თამაშგარე ფეხბურთში; 11. ევრაზიის მთამსვლელთა კავშირის ორდენი; 15. სპორტული ტანვარჯიშის ქართველი მწვრთნელი ჰანს ... ; 17. ცხენოსნობით ცნობილი ქალაქი სამეგრელოში; 19. ტანვარჯიშული იარაღი; 21. თბილისის "დინამოსა" და საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი; 22. საკვების ენერგეტიკული ღირებულების საზომი ერთეული; 24. ხაშურის ყოფილი საფეხბურთო კლუბი; 25. გემის ბოლო ნაწილი; 27. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ... ლეონი.

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

● აია...

მიზანი ჩემპიონობაა, პრობლემა სტადიონი!

ირაკლი გიორგაძის შეტევა

ქუთაისის „აიამ" მიმდინარე სარაგბო სეზონი რიხიანად დაიწყო. ქუთათურებმა ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობენ. მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის გამო ჩემპიონატში შესვენება იყო გამოცხადებული. პირველობა 11 ივნისს განახლდება. „აიას" მეტოქე თბილისის „ყოჩები" იქნება. ამ შეხვედრაში რიონისპირელებს მოთამაშე მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე არ ეყოლებათ, რომელიც მის ორ თანაგუნდელთან ირაკლი გიორგაძესთან და ირაკლი ჩხიკვაძესთან ერთად საქართველოს ნაკრებთან ერთად ერთა თასზე სათამაშოდ რუმინეთში იმყოფება. მის არყოფნაში გუნდს „აიას" მწვრთნელი და მენეჯერი კობა გიორგაძე უხელმძღვანელებს. გუნდის გეგმებსა და მიზნებზე მასთან ერთად ვეტერანი მორაგბე (ამჟამად მერიის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის საქალაქო სამსაბურის უფროსის მოადგილე) ნუგზარ ძაგნიძე გვესაუბრა.

- რამდენად იყო მოსალოდნელი ჩემპიონატში „აიას" ესოდენ კარგი სტარტი?

კობა გიორგაძე: სამი წელიწადია, ბიჭები ერთად არიან. ამ ხნის განმავლობაში გუნდი კარგად შეიკრა და შეთამაშდა. დაგვემატა რამდენიმე გამოცდილი მორაგბე, მათ შორის საქართველოს ნაკრების წევრი ირაკლი გიორგაძე. ამდენად, შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა. ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ. მოვუგეთ პირველობისთვის მებრძოლ გუნდებს - „ლელოს" და „ლოკომოტივს". ამ თვეში გვაქვს ორი მძიმე თამაში - 11 ივნისს „ყოჩებს" ვხვდებით, 18-ში კი „არმიას", რომელიც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია. სამწუხაროდ, ამ მატჩების წინ საკადრო პრობლემები შეგვექმნა. ჩვენი გუნდიდან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ექვსმა მორაგბემ ითამაშა. მათგან ორი ტრავმირებული დაგვიბრუნდა. „ყოჩებიდან" ცოტა ხნის წინ დამატებული ირაკლი დგებუაძეც დაგვაკლდება, რომელმაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ გუნდის ლიდერები ბესო ხამაშურიძე, ირაკლი ჩხიკვაძე და ირაკლი გიორგაძე დაგვაკლდებიან. საკადრო პრობლემები წლეულს კიდევ შეგვექმნება. დიდი შანსია, ამ ბიჭებმა მსოფლიოს თასზეც იასპარეზონ და მეორე წრის 4-5 თამაშშიც ვერ დაგვეხმარებიან.

- შეძლებს გუნდი მათ გარეშე წარმატებით თამაშს?

კობა გიორგაძე: - გვყავს საკმაოდ კარგი ახალგაზრდები. ახლახან დავიმატეთ კიდევ ერთი მორაგბე გიორგი ცნობილაძე. იმედი გვაქვს, რომ ლიდერების გარეშეც გავაგრძელებთ წარმატებულ თამაშს. მთავარია, რეგულარულ გათამაშებაში ოთხეულში მოვხვდეთ, მერე კი ლიდერებიც დაგვემატებიან და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ.

ნუგზარ ძაგნიძე: მართლაც ნიჭიერი თაობა წამოვიდა, რაც ქუთაისის სარაგბო სკოლის გამართულად მუშაობაზე მეტყველებს. „აია" კარგად დაბალანსებული გუნდია. ახალგაზრდების ენერგია და ვეტერანების გამოცდილება გუნდის წარმატებულ თამაშს განაპირობებს. საკადრო პრობლემების მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, „აია" წარმატებულ თამაშს გაგრძელებს.

- როგორც ჩანს, წლეულს მიზნად ჩემპიონობა გაქვთ დასახული.

კობა გიორგაძე: ჩვენი მიზანია - ყველაფრის მოგება, რისი მოგებაც შესაძლებელია. უნდა ვიბრძოლოთ ჩემპიონობისთვის და თასისათვის.

ნუგზარ ძაგნიძე: ამის თქმის უფლებას იძლევა ქუთაისური გუნდის პოტენციალი და მონდომება. ძალიან კარგი შემადგენლობა შეიკრიბა. ჩემპიონობასთან ერთად „აიას" საქართველოს თასის მოგების ამბიციაც აქვს და ეს რეალურადაც შეუძლია.

- მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

ნუგზარ ძაგნიძე: კონკურენტებად „ლოკომოტივს", „ლელოს" და „არმიას" მივიჩნევთ. პირველი ორი დავამარცხეთ, იმედია, ახლა ბიჭები „არმიასაც" მოუგებენ.

- გუნდის პლუსებზე რას იტყვით?

კობა გიორგაძე: ძველი „აია" ცნობილი იყო შერკინების სიძლიერით და აგრესიული დაცვით. დღესდღეობით, შერკინების ხაზში 90% ახალგაზრდა მორაგბეები გვყავს, მაგრამ ისინი მშვენივრად თამაშობენ და ძველ ტრადიციებს აგრძელებენ. წლეულს ყველა გუნდს ძირითადად შერკინების ხაზის კარგი თამაშის წყალობით მოვუგეთ.

- წლების მანძილზე თქვენი მთავარი პრობლემა ფინანსები იყო. უსახსრობის გამო გუნდი ხშირად იშლებოდა. ახლა როგორი მდგომარეობაა?

კობა გიორგაძე: ფინანსური პრობლემები არა გვაქვს. გვყავს სპონსორი „კავკასუს ონლაინი," რომელიც საკმაოდ კარგად გვაფინანსებს. გარდა ამისა, სახელმწიფოც გამოყოფს თანხებს. ერთადერთი პრობლემა, რომელიც დღესდღეობით „აიას" გააჩნია, არის სტადიონის არქონა. საშინაო მატჩებს ფოთში, ჩვენი ქალაქიდან 100 კილომეტრის დაშორებით ვატარებთ. შარშან ვანში ვთამაშობდით, მაგრამ ვანის სტადიონი ისეა გაფუჭებული, იქ თამაში შეუძლებელია.

- როდემდე მოგიწევთ ქუთაისიდან მოშორებით თამაში?

კობა გიორგაძე: უახლოეს მომავალში იწყება ჩვენი ბაზის მშენებლობა და 2 წელიწადს გაგრძელდება. თუ ამ ხნის განმავლობაში სტადიონი არ გამოიძებნა, საერთოდ უმოედნოდ ვრჩებით. არ დაგვპირებიან, მაგრამ ქალაქის მერის ინიციატივაა, რომ ქუთაისის „დინამოს" სტადიონის მფლობელებთან შეთანხმებით მოხდეს ამ მოედნის რეაბილიტაცია და საშინაო შეხვედრები იქ ჩავატაროთ. იმედია, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება და მოედნის პრობლემა აღარ გვექნება. ერთგული გულშემატკივრები ფოთშიც დაგვყვებიან, მაგრამ ქუთაისში რომ ვთამაშობდეთ, დარწმუნებული ვარ, სავსე ტრიბუნების ნინ მოგვიწევდა ასპარეზობა.

დავით კოხრეიძე

ქუთაისიდან

მოთამაშე მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე ტაიმებს შორის შესვენებისას

● IRB-ს ერთა თასი

ერაოვნული ბიბლიოთეკა

რიჩი დიქსონი და ალან სალამონსი

სამხრეთ აფრიკასთან გარსეზი განგვსჯის

საქართველოს ნაკრები ბუქარესტში გასამართ IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში პირველ შეხვედრას ხვალ გამართავს. „ბორჯღალოსნების" პირველი მეტოქე სამხრეთ აფრიკის „კინგზი" იქნება, რომელსაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ალან სალამონსი წვრთნის და ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების მორაგბეებითაა დაკომპლექტებული.

ცნობილია ამ შეხვედრის არბიტრის ვინაობაც. მატჩს ფრანგი მსაჯი **ჟერომ გარსეზი** განსჯის. ის საკმაოდ მაღალი დონის არბიტრია და საქართველოს ნაკრებს ტრაბზონში, რუსეთის ეროვნულ გუნდთან მატჩში უმსაჯა.

ტურნირი რუმინეთისა და ნამიბიის ნაკრებების დაპირისპირებით გაიხსნება. „მუხის ფოთლები" ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჩვენი გუნდის მეტოქეები არიან და დიდი ხანია, მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმისთვის მზადებას შეუდგნენ.

ახლახან, რუმინულ მედიაში გავრცელდა მათი ეროვნული ნაკრების ფრანგი თავკაცის **პიერ ანტონენის** მოსაზრება „მუხის ფოთლების" მიზნებსა და მომავალზე.

„ჩვენი მიზანია მსოფლიოს თასზე ღირსეულად ვიასპარეზოთ. რა იგულისხმება ამაში? რა კრიტერიუმებით შეიძლება შევაფასოთ ის? მოდით, ასე ვთქვათ, სამ მატჩში ინგლისის, შოტლანდიისა და არგენტინის ნაკრებებთან გამარჯვების შანსი ნულის ტოლია. მათთან პაექრობისას კარგი იქნება, თუ დიდი სხვაობით არ წავაგებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი სამიზნე დიდი ხნის ნაცნობი საქართველოს ნაკრებია.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არ ღირს ამ თემაზე ირონიითა და სარკაზმით საუბარი. ეს არის ობიექტურად შექმნილი რეალობა და არავითარ შემთხვევაში მიზნად არ დამისახავს რუმინული რაგბის და ამ ქვეყნის ნაკრების დაკნინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ გუნდის სათავეში არასდროს მოვიდოდი.

რუმინული რაგბის ამჟამინდელი მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მსოფლიოს თასზე მიღებული გამოცდილება კი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გამოვიყენოთ" - თქვა მან.

რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **ნიკოლაე ნერე, ბოგდან ზებეგა (ორივე-სტიაუა), სეზარ პოპესკუ (მაკონი), დრაგოშ დიმა (ბლანიაკი), მიჰაიტა ლაზარი (ექსი), იონ პაულიკა (ლონდონ იარიში), სილვიუ ფლორეა (ბორდო), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), ანდრეი რადოი (ბაია მარე)**

მეორე ხაზი: **კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ ურსაკე (ექსი), ვალენტინ პოპარლანი (ბუქარესტი), მარიუს სირბე (ტარბი)**

მესამე ხაზი: **სტელიან ბურეა, ვასილე რუსი (ორივე-ტიმიშოარა), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), დანიელ იანუსი (სტიაუა), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ კარპო (ფარული)**

№9: ლუჩან სირბუ (მიო), ფლორინი სურუჯუ (ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა).

№10: დანუც დუმბრავა (სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე)

№12-13: კონსტანტინ გეარა (ფარული), ჩაბა გალი (ბაია მარე) იონელ კაზანი, კატალინ დესკალუ (ორივე-სტიაუა).

№11-14: კატალინ ფერკუ, მედალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული), სტეფან ჩუნტუ (ბაია მარე)

№15: ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იულიან დუმიტრაში (ლურდი)

სამხრეთ აფრიკა კინგზი

პირველი ხაზი: **იაკო ენგელსი, კლინ ნიულენდი, ფუმლანი ნოდიკიდა, ანდრე სხლეჩტერი, იაკო ფორი, იანის ფრენკლინი, ფრანკ ჰერნი.**

მეორე ხაზი: **როს კენედი, ბერნდ პიტერსი, უეინ ფან ნირდენი.**

მესამე ხაზი: **ჯაკ ენგელბერხტი, მპოპო ბიოზო, დუეინ ოოსტჰუიზენი, ჟაკ პოტხიტერი,**

№9: ბოელა აბრაჰამსი, დენი ფაასენი

№10: ლუის სტრიდომი, ჯონათან მაკბენი

№12-13: იაკო ბეკერი, უეინ სტივენსი, შონ გეტსი

№11-14: სიიანდა გრეი, მარსელო სიმპსონი, დარონ ნელი

№15: სი პი მარაისი, მზვანდილე სტიკი

არგენტინა A

პირველი ხაზი: **ხერმან არაოსი, ანდრეს ბორდი, გასტონ დე რობერტსი, ფრანსისკო კოდელა, ფრანსისკო პიჩინინი, მაურისო გვიდონე.**

მეორე ხაზი: **ფელიპე არანგუერენი, სანტიაგო გუზმანი, ჰუგო სკიერანო.**

მესამე ხაზი: **ანტონიო აუალი, ხოსე ლუის ბასილე, ტომას დე ლა ვეგა, ტომას ლეონარდი, იგნასიო პესმანი.**

№9: მარტინ ლენდახო, სანტიაგო მენდესი.

№10: სანტიაგო იგლესიასი, ბენხამინ ბადერო, ტომას როსატი.

№12-13: ლისანდრო ლოპესი, მაქსიმილიანო ნანინი

№11-14: ბელისარიო აკულა, მაურო კომუზი, ფერნანდო ლუნა.

№15: რომან მირაესი, ხოაკინ ტუკულეტი

IRB-ს ერთა თასი

10 ივნისი

რუმინეთი-ნამიბია, საქართველო-სამხრეთ აფრიკა კინგზი, არგენტინა A-პორტუგალია

15 ივნისი

საქართველო-არგენტინა A, რუმინეთი-სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია-ნამიბია

19 ივნისი

პორტუგალია-სამხრეთ აფრიკა კინგზი, საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-არგენტინა A

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ამბები

კალათბურთი

რეი ალენი ბოსტონში დარჩა



რეი ალენი

„ბოსტონ სელტიქსის“ ვეტერანი მცველი **რეი ალენი** მომავალ სეზონშიც დაიცავს „კელტების“ ღირსებას. სამქულიანების რაოდენობით NBA-ის რეკორდსმენმა თავის კონტრაქტში არსებული პუნქტი გამოიყენა და ხელშეკრულება ერთი წლით გააგრძელა. მომავალ სეზონში ალენი 10 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

წელს 35 წლის კალათბურთელმა პირადი რეკორდი დაამყარა თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციით - 49,1 პროცენტი, სამქულიანები - 44,4 პროცენტი.

პარკერი სპურსის ერთგულია

„სან ანტონიო სპურსის“ ერთ-ერთი ლიდერი **ტონი პარკერი** აცხადებს, რომ არ აპირებს მომავალში ტექსასური კლუბის დატოვებას.

„აქ ყველაფერი შესანიშნავადაა. მიყვარს ეს გუნდი, მომწონს „სან ანტონიოში“ თამაში. ამიტომაც გავახანგრძლივე კონტრაქტი ოთხი წლით. რომ მეფიქრა ამ დროის განმავლობაში ჩემპიონები ვერ გავხდებოდით, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ამაყი ვარ ამ გუნდის წევრობით“, - ამბობს San-Antonio Express-News-თან კომენტარში პარკერი.

ოლიმპიაკოსი პაპალუკასს იცილებს

„ოლიმპიაკოსის“ ვეტერანი გამთამაშებელი **ტეოდოროს პაპალუკასი** ამ ზაფხულს კლუბს შეიცვლის. როგორც ბერძნული პრესა წერს, კლუბის ხელმძღვანელობას არ აკმაყოფილებს 34 წლის მცველის თამაშის დონე, თანაც პაპალუკასის ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია „ოლიმპიაკოსში“. ამიტომაც გადაწყვიტეს პირეულ კლუბში ვეტერანთან განშორება.

თავად კალათბურთელი ჯერჯერობით თავს იკავებს კომენტარისგან. არც ისაა ცნობილი, სავარაუდოდ რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას ტეო.

წელს „ოლიმპიაკოსმა“ ყველა ფრონტზე წააგო ბრძოლა თავის დაუძინებელ მტერთან „პანათინაიკოსთან“. ევროლიგაც და ცოტა ხნის წინ საბერძნეთის ჩემპიონატი სწორედ „პაომ“ მოიგო.

ჩოგბურთი

ანა ახალ მწვრთნელს ეძებს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ანა ივანოვიჩი** ახალი მწვრთნელის ძიებშია, რომელიც სერბ ჩოგბურთელს მსოფლიოს რეიტინგში ლიდერობის დაბრუნებაში დაეხმარება. ივანოვიჩი სამი წელია ვერ აღწევს წარმატებას „დიდი სლემის“ ტურნირებზე - მისი ბოლო წარმატება 2008 წლის როლან გაროსზე დაფიქსირდა.

წელს საფრანგეთის ღია პირველობაზე ანამ პირველივე წრეში წააგო. სერბის ჩავარდნის კიდევ ერთი მიზეზია მრავალრიცხოვანი ქრონიკული ტრავმები.

უიმბლდონზე მიწვეულები დარიგდა

„დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირის - უიმბლდონის (20 ივნისი-3 ივლისი) ორგანიზატორებმა უაილდ-ქარდების მფლობელები დაასახელეს. მამაკაცებს შორის ძირითად ბადეში მოხვდებიან ბრიტანელები - **დანიელ კოქსი, დანიელ ევანსი, ჯეიმს უორდი,** ფრანგი **არნო კლემანი** და კოლუმბიელი **ალეხანდრო ფალა**. ქალებში ხუთი ბრიტანელი - **ნაომი ბროუდი, კეტი ო'ბრაიენი, ლორა რობსონი, ჰიზერ უოტსონი** და **ემილი უემბლი-სმიტი** გამოარჩიეს.

კიდევ სამი უაილდ-ქარდის მფლობელი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ფორმულა 1

უილიამსი გაუმჯობესდება

ბრიტანული საჯინიბო „უილიამსი“ კანადის გრანპრისთვის ბოლიდის ტექნიკურ განახლებას აპირებს. კერძოდ, გუნდს დაგეგმილი აქვს ახალი წინა ანტიფრთისა და დიფუზორის გამოყენება. „უილიამსის“ ტექნიკური დირექტორის **სემ მაიკლის** სიტყვებით, ეს სიახლეები, პირველ რიგში, მიმართული იქნება ბოლიდის აეროდინამიკის გასაუმჯობესებლად.

„ახალ ანტიფრთასა და დიფუზორს გამოვიყენებთ, - აღნიშნა მაიკლმა. - კანადაში თავისუფალი პრაქტიკების დროს ვგეგმავთ ამ სიახლეების გამოცდას. მონრეალში ბევრ გასწრებას ვნახავთ, ამიტომაც ბოლიდის ცვლილება, პირველ რიგში, აეროდინამიკის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული“.

პოკერი

მკაცრი სასჯელი უხეშობისთვის

როგორც იცით, „ბოსტონისა“ და „ვანკუვერის“ ფინალური სერიის მესამე მატჩში კანადური გუნდის მცველმა **აარონ რომმა** უხეში ძალისმიერი ილეთი გამოიყენა „ბრუინზის“ ფორვარდ **ნათან ჰორტონის** წინააღმდეგ. ბოსტონელი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან, რომმა კი ხუთწუთიანი ჯარიმა მიიღო.

მეორე დღეს ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა ინციდენტი და რომს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მცველი სტენლის თასის ნლევანდელ გათამაშებაში ველარ ითამაშებს. ასევე ვერ შეძლებს სერიის ბოლომდე მოედანზე გასვლას ტრავმირებული ჰორტონი.

გოლფი

ვუდსი სეზონის მთავარ სტარტს გამოტოვებს

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო ვერ შეძლებს აშშ-ის ღია პირველობაზე გამოსვლას. ვუდსის კარიერა 1994 წელს დაიწყო და ეს პირველი შემთხვევაა, როცა მას ამერიკის ღია ჩემპიონატის გამოტოვება უწევს. ვუდსის გამოჯანმრთელების ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა მან იმედი გამოთქვა, რომ იენისის ბოლოსთვის მოაგვარებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმით, რომ აშშ-ის ღია პირველობის გამოტოვება მინევს, - ამბობს ვუდსი. - თუმცა ექიმების რჩევას დავყევი და მთელი ყურადღება ჯანმრთელობაზე გადავიტანე. ტურნირში ჩემი მონაწილეობა საკმაოდ სარისკო იქნებოდა, რადგან მუხლი და აქილევსის მყესი ისევ მაწუხებს“.

ჩოგბურთი. ტურნირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 ეისი საკმარისი არ არის

მორიგი დღის მიმოხილვა ლონდონის ტურნირიდან უნდა დავიწყოთ, სადაც გრძელდებოდა პირველი წრე. პირველად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში აქ გამოჩნდა არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**. აშშ-ის ღია პირველობის ყოფილი ფინალისტი **დენის ისტომინის** წინააღმდეგ თამაშობდა და 82 წუთში მოიპოვა გამარჯვება - დელ პოტროს ანგარიშზე იყო ცხრა ბრეიკ-პოინტიდან გამოყენებული ოთხი შანსი.

იანკო ტიპსარევიჩმა მხოლოდ ორი ეისი გააკეთა - ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე მისმა მეტოქემ **ბლაჟ კავჩიჩმა**, მაგრამ, ამასთან, სერბს 14 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. მართალია, აქედან 11 შანსი გაანიავა, თუმცა დიდად არ უნაღვლია, რადგან შეხვედრა იოლად მოიგო.

უნდა აღვნიშნოთ **ანდრე მანარინოს** გამარჯვება **ერნესტ გულბისზე**, აგრეთვე **რადეკ შტეპანეკის** წარმატება **გო სოედასთან** მატჩში. დახუნძლული იყო ეისებით **კევინ ანდერსონისა** და **ივო კარლოვიჩის** შეხვედრა, რომელშიც ხორვატმა 18-ჯერ ჩაანოდა ისე, რომ მეტოქე ბურთს არ შეხებია. ანდერსონის ანგარიშზე 11 ეისი იყო, მაგრამ ამ დუელში გამარჯვებული სწორედ სამხრეთაფრიკელი გამოვიდა.

სხვათა შორის, ივო კარლოვიჩისთვის ეს იყო ზედიზედ მეხუთე წაგება მიმდინარე სეზონში.

პარალელურად გაიმართა მეორე წრის რამდენიმე შეხვედრა და აქ ერთი დიდი მოულოდნელობა მოხდა - ბრიტანელმა **ჯეიმს უორდმა** შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა** დაამარცხა, რომელიც მეოთხე ნომრად იყო განთესილი. მასპინძელმა სამივე ბრეიკ-პოინტი მოიგერია, თავად კი ექვსი შანსიდან ერთი გამოიყენა, ამასთან, მოიგო პირველ პარტიაში ტაი-ბრეიკი.

ფრანგულ დერბიში **მიკაელ ლოდრამ ჟულიან ბენეტოს** მოუგო, დღის ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება კი **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** მოიპოვა, რომელიც 47 წუთში გაუსწორდა **მიხაელ ბერერს**. ფრანგს ბრეიკ-პოინტების გამოყენების ძალიან მაღალი პროცენტი ჰქონდა - შვიდიდან ხუთი.

მეორე წრიდან ჩაება ტურნირში **ენდი როდიკი**, რომელსაც ლონდონში ოთხჯერ აქვს მოგებული მთავარი პრიზი. **ფელისიანო ლოპესთან** მატჩში მან 15 ეისი ჩააწოდა, რაც მოკრძალებული მონაგარი იყო ესპანეთის 35 ეისთან შედარებით! მაგრამ ლოპესს კარგმა მოწოდებამ ვერ უშველა და როდიკმა შეწყვიტა ზედიზედ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია.

ამ სამსეტიან მატჩში ორი ტაი-ბრეიკი ჩატარდა. ორი საათისა და 30 წუთის განმავლობაში სამი ბრეიკი დაფიქსირდა, აქედან ორი როდიკის ანგარიშზე იყო.

ასევე უნდა აღვნიშნოთ **ფერნანდო ვერდასკოს** მოგება **ნიკოლა მაუზე**, აგრეთვე **სემ კუერის** გამარჯვება **რაინერ შუტლერის** წინააღმდეგ.

■ ■ ■

ჰალეში ნაკლები მატჩი ჩატარდა და აქ ჯერ მეორე წრის მონაწილეები გაირკვნენ. დღემ განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა და ყველა განთესილმა შეაბიჯა მეორე რაუნდში.

სერიოზული ბრძოლის გადატანამ მოუწია უიმბლდონის ჩემპიონს **ტომაშ ბერდიხს რუბენ ბემელმანსთან** მატჩში. სამი პარტიის განმავლობაში ჩეხმა ცხრა ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა და ეს იკმარა მატჩის მოსაგებად.

ტურნირის მესამე ნომერი **გაელ მონფილსი** ბერდიხზე გაცილებით წარმატებული იყო - მან 14 ეისი ჩაანოდა **ფლორან სერასთან** მატჩში, ამასთან, პირველი მოწოდებიდან ქულების 90 პროცენტი აიღო. სერას ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია და შესაბამისად, ამ მატჩში უშანსოდ იყო.

ამ სეზონში ბალახზე წარმატებული დებიუტი გამოუვიდა **მილოშ რაონიჩს**. მის მეტოქესაც - **პაბლო ანდუხარსაც** არ ჰქონია ბრეიკ-პოინტი, კანადელმა კი 12 ეისით გამოიჩინა თავი. თავის მხრივ, **ვიქტორ ტროიცკიმ** სამი ბრეიკის შანსი მისცა **მიშა ზვერევს**, თავადაც სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და მეტოქისგან განსხვავებით ეს შანსი ასი პროცენტით გამოიყენა, გერმანელს კი ერთი ბრეიკიც არ გაუკეთებია.

■ ■ ■

ბევრი საინტერესო მოხდა ქალთა შორის ბირმინგემის ტურნირზე. მიმოხილვა უნდა დავიწყოთ **კაროლინ გარსიას** გამოსვლით, რომელმაც როლან გაროსზე კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი.

ფრანგი **ნაომი ბროუდის** წინააღმდეგ თამაშობდა. ამ უკანასკნელმა 12 ეისი მიითვალა და საათსა და 57 წუთში მოიგო. 17 წლის გარსია ძალიან არადამაჯერებელი იყო თავის მოწოდებაზე, თუმცა მაინც გაუწია წინააღმდეგობა 21 წლის ბრიტანელს.

ათიდან ხუთი ბრეიკ-პოინტის გამოყენებით **იაროსლავა შვედოვამ** პირველ წრეში მოუგო **ჟიე ჟენგს**. ასევე აღვნიშნავთ როლან გაროსის წყვილთა თანრიგის ჩემპიონის **ანდრეა ჰლავაჩკოვას** დამაჯერებელ გამარჯვებას **ჯილ კრეიბასის** წინააღმდეგ. ჩეხს ერთი საათიც არ დასჭირვებია მომდევნო წრეში გასასვლელად.

მეორე წრეში კი ერთი მოულოდნელი შედეგი ვიხილეთ - განთესვის ლიდერმა **კაია კანეპიმ არინა როდიონოვასთან** 64 წუთში წააგო ისე, რომ წარმატების მინიმალური შანსიც არ ჰქონია. ასევე დამარცხდა ტურნირის მეხუთე ნომერი **რობერტა ვინჩი**, ოღონდ კანეპისგან განსხვავებით მან ბრძოლა გაუმართა **მირიანა ლუჩჩს** - ჩოგბურთელებმა სამი სეტის თამაშს ორი საათი და 22 წუთი მოანდომეს.

ამ დღეს ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება **მაგდალენა რიბარიკოვამ** მოიპოვა, რომელსაც ერთი ეისიც ეყო **კოკო ვანდეუეგეს** 65 წუთში განადგურებისთვის - ამერიკელმა მხოლოდ სამი გეიმის აღება მოახერხა. **არავან რეზაიმ** კი შემდეგ წრეში ერთი სეტის მოგებით გააღწია - პირველი პარტიის წაგების შემდეგ **ოლგა გოვორცოვამ** ვერ შეძლო შეხვედრის გაგრძელება. სხვათა შორის, ფრანგმა მოგებულ სეტში მოასწრო ექვსი ეისის ჩაწოდება.

■ ■ ■

დაბოლოს, კოპენჰაგენში მთავარი მოვლენა იყო **კაროლინ ვოზნიაცკის** პირველი მატჩი. მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ირინა ფალკონის** ხვდებოდა და როგორც მოსალოდნელი იყო იოლად მოიგო საწყისი შეხვედრა. კარგად ითამაშეს ამ დღეს **ბეტანი მატეკმა** და **მიხაელა კრაიჩეკმა**. ამ უკანასკნელს 11 ეისი ჰქონდა. ყველაზე საინტერესო ბრძოლა გაიმართა **სიმონა ჰალეპისა** და **ანასტასია სევასტოვას** შორის. გოგონებმა პირველ ორ სეტში ტაი-ბრეიკები გაცვალეს, მესამეში კი რუმინელმა „მშრალი“ ანგარიშით გაიმარჯვა.



ენდი როდიკი

მოლდოვაში პრეზიდენტი მოკლეს

მოლდოვაში შეკვეთილი მკვლელობა განხორციელდა ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **იგორ ცურკანზე**, რომელიც მიღებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მოლდოვური ჩოგბურთის შეფი „ჟიგულის“ მარკის მანქანის აფეთქების შედეგად დაილუპა. ავტომობილს რუსული რეგისტრირებული ნომრები ჰქონდა. აფეთქება კიშინიოვში ჩოგბურთის ფედერაციის ოფისთან ახლოს მოხდა.

პოლიცია მუშაობს ვერსიაზე, რომელიც ცურნაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მუშაობასა და მის სამეწარმეო საქმიანობას უკავშირდება. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **მარინა ტაუბერი** აცხადებს, რომ ბოლო დროს დაღუპულზე ზეწოლა ხორციელდებოდა, თუმცა ჩვენების მიცემისას კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია.

კიდევ ერთი ვერსიით, ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა, რადგან ცურკანი სათავეში ედგა კიშინიოვის მერის არჩევნებში ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო შტაბს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი

დირკი ბოლომდე დამაჯერებელი ვერ იყო

სერია მაიამიში დასრულდება

შინ პირველივე მატჩში დამარცხების შემდეგ „დალასს“ მეოთხე შეხვედრაში წაგების უფლება აღარ ჰქონდა. ეს იცოდა „მავერიქსის“ დამრიგებელმა **რიკ კარლაილმა** და მან პირველი მოულოდნელი ნაბიჯი მატჩის წინ გააკეთა: სასტარტო ხუთეულში **დეშაუნ სტივენსონი ხოსე ბარეათი** შეცვალა.

თუმცა რა ცვლილებებიც არ უნდა განახორციელოს „კოვბოების“ დამრიგებელმა, „დალასის“ მთავარი იარაღი მაინც **დირკ ნოვიცკის** შედეგიანობაა. გერმანელმა ფორვარდმა თავისი გუნდის პირველი ექვსი ქულა მიითვალა და მასპინძლები 6:0 გავიდნენ წინ. თუმცა „დალასს“ ხეირიანი გაქცევა მაინც არ გამოუვიდა და პირველ ხუთ წუთში ქულა აღარ აუღია. ორჯერ ააცილა ნოვიცკიმ, თითოჯერ ბარეამ და **მერიონმა, კიდმა** ორჯერ დაკარგა ბურთი და შედეგად, **კრის ბოშის** ექვსი ქულით ანგარიში გათანაბრდა - 6:6.

მართალია, „ჰიტი“ დებიუტში ცუდად ისროდა, მაგრამ თამაში მაინც თანაბარი იყო. პირველად ფლორიდელები წინ პირველი მეოთხედის დასრულებამდე 19 წამით ადრე გავიდნენ - **ლებრონ ჯეიმსმა** თეატრალურად გააფორმა **ბრენდან ჰეივუდთან** შეხება, რამაც კარლაილის აღშფოთება გამოიწვია და მწვრთნელმა ამის გამო ტექნიკური პერსონალური მიიღო.

მეორე მეოთხედი „ჰიტმა“ 7:0 გაქცევით დაიწყო, რასაც „მავერიქსის“ ტაიმ-აუტი მოჰყვა. ამის შემდეგ სტივენსონმა ორი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ მის გარდა მასპინძლებიდან ვერავინ ისროდა ზუსტად, თანაც „დალასს“ დაცვაც არ უვარგოდა, რისი მაჩვენებელიცაა პირველი 16 წუთის განმავლობაში „მაიამის“ მიერ შეტევაში მოხსნილი 10 ბურთი.

„მავერიქსი“ მიხვდა ამ ნაკლს და მკვეთრად მოუმატა დაცვაში თამაშს - „მაიამის“ ზედიზედ რამდენიმე შეტევა უშედეგოდ დასრულდა. შედეგად „დალასმა“ 9:0 სპურტი გამოაცხო და სპელსტრას ტაიმ-აუტის აღებამ მოუწია. პაუზა დროული იყო - მისმა შეგირდებმა შეაჩერეს მეტოქე და დიდ შესვენებამდე უპირატესობაც შეინარჩუნეს, ოღონდ ის მხოლოდ ორ ქულას შეადგენდა.

მესამე მეოთხედში გუნდები ერთმანეთს პასუხობდნენ ეფექტური შეტევებით. მაქსიმალურმა სხვაობამ 5 ქულა შეადგინა სტუმრების სასარგებლოდ. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში კი „ჰიტმა“ მატჩში ყველაზე დიდი სხვაობით წაიყვანა ანგარიში - **უდონის ჰასლემის** ზუსტი საშუალო ტყორცნის შემდეგ ანგარიში გახდა 74:65. კარლაილმა იგრძნო, რომ საქმე მეორე საშინაო წაგებამდე მიდიოდა და ტაიმ-აუტი აიღო.

„დალასის“ გადარჩენის ოპერაცია **ტერიმ** დაიწყო, რომელმაც ზედიზედ ორჯერ ჩააგდო. მასპინძლებმა მაქსიმალურად აგრესიულად დაიწყეს დაცვაში თამაში, რითაც სულ მალე შეამცირეს ჩამორჩენა სამ ქულამდე. ამის შემდეგ ნოვიცკის დრო დადგა. წინა ორ მატჩში გერმანელი თავისი გუნდის ბოლო 9 და 12 ქულას აგროვებდა, ამიტომაც „მაიამის“ სწორედ აქედან ელოდა საფრთხე.

მაგრამ სხვაობა მინიმუმამდე სხვა კალათბურთელმა შეამცირა - ტერის აცილების შემდეგ შეტევაში მოხსნა **ჩენდლერმა** და ორქულიანი ჩააგდო - საფინალო სირენამდე 5 წუთითა და 43 წამით ადრე ანგარიში გახდა - 77:78.

შემდეგ შეტევაში ბოშმა ბურთი დაკარგა და გაქცეულმა ტერიმ უკვე წინ გაიყვანა თავისი გუნდი. სპოელსტრამ ტაიმ-აუტი არ აიღო და იქვე მისმა შეგირდებმა მორიგი შეცდომა დაუშვეს. ჩენდლერმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და „მაიამის“ მწვრთნელს მოუწია პაუზის აღებამ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოსკენ დირკი სულ უფრო ხშირად იღებდა ბურთს, მაგრამ ამჯერად ტყორცნები არ მისდიოდა. თუმცა მატჩის დასრულებამდე 2 წუთითა და 16 წამით ადრე სწორედ მან აიყვანა „დალასის“ უპირატესობა 4 ქულამდე - 82:78. ხუთ-ნახევარი წუთით „ჩაძინებული“ სტუმრები გამოფხიზლდნენ, ჯერ 82:80 გახადეს ანგარიში, შემდეგ კი **დუეინ უეიდმა** ერთი საჯარიმო გამოიყენა და სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა.

ტაიმ-აუტის შემდეგ ტექსასელებმა პროგნოზისამებრ ბურთი ნოვიცკის მიაწოდეს. მან პაუზა გააკეთა, ფარქვეშ შევიდა და ჰასლემის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ზუსტად ისროლა - 84:81. რჩებოდა 14.4 წამი.

სტუმრებმა ხუთ წამში ისევ ერთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა - ფარქვეშ შესულ უეიდს წინააღმდეგობა არავინ გაუწია. ამის შემდეგ ლებრონმა შეგნებული ჯარიმა აიღო ტერიზე. ვეტერანმა მასპინძლები არ დააღალატა - ორივე საჯარიმო ჩააგდო და სამქულიანი სხვაობა აღადგინა - 86:83. სპოელსტრამ ბოლო ტაიმ-აუტი აიღო. ცხადი გახლდათ, რომ დარჩენილ 6.7 წამში „მაიამის“ მხოლოდ სამქულიანი თუ უშველიდა. გვერდითი ხაზიდან ბურთი **მაიკ მილერმა** შემოიტანა. თითქოს კარგი პასი გაუკეთა უეიდს, მაგრამ ამ უკანასკნელს მოულოდნელად დაჭერილი ბურთი ხელიდან გაუვარდა. მართალია, უეიდმა შეძლო „ჰიტის“ ნახევრისკენ გაგორებული ბურთის აღება და მილერისთვის პასის მიცემა, მაგრამ ხარისხიანი სროლისთვის დრო აღარ იყო და მაიკს უმისამართო ტყორცნა გამოუვიდა.

სერიაში ანგარიში გათანაბრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინალში მინიმუმ ორ მატჩს კიდევ ვნახავთ. სერია ნებისმიერ შემთხვევაში მაიამიში დასრულდება.

დალასი-მაიამი 86:83

21:21, 24:26, 20:22, 21:14

დ: ნოვიცკი (21+11 მოხსნა), ტერი (17+3 პასი+3 ჩაჭრა), მერიონი (16), ჩენდლერი (13+16 მოხსნა), სტივენსონი (11), ბარეა (8+4 პასი), კიდი (0+3 პასი+3 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი, კარდინალი, ჰეივუდი, ბრიუერი.

მ: უეიდი (32+6 მოხსნა+2 დაფარება), ბოში (24+6 მოხსნა), ჯეიმსი (8+8 მოხსნა+7 პასი), მილერი (6), ჩელმერსი (5+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰასლეში (4), ენტონი (4+8 მრხსნა), ჰოვარდი, ბიბი.

სერია: 2-2

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

ჩინეთი-ჩრ. კორეა	2:0
ურუგვაი-ჰოლანდია	1:1 პენ. 6:5

გულონის ფესტივალი

კოლუმბია-მექსიკა	2:1
საფრანგეთი-იტალია	1:0

ესპანეთი

II დივიზიონი

სელტა-გრანადა	1:0

შვედეთი

II დივიზიონი

ბრომაპიოკარნა-კვიდინგი	4:0
ოსტერი-ვარნამო	2:0
სუნდსვალი-ჰამარბიუ	3:3

ავსტრია

პლეი ოფი

ვენა-პარნდორფი	გადაიდო

კალათბურთი

გერმანია

ალბა-ბამბერგი	80:71

საბერძნეთი

პაოკ-არისი	63:56

ჩოგბურთი

ATP. პალე

ლ. მაიერი-ჰიუიტი	2:6, 3:6
ტროიცკი-ანდრეევი	6:3, 6:1
ბერდიხ-ჰერტელი	6:3, 7:6
რაონიჩი-კამკე	7:6, 6:3
პეტცშნერი-ხიმენო ტრავერო	6:2, 6:4

ATP. ლონდონი

ჩილიჩი-კლემანი	6:4, 6:4
ტიპსარევიჩი-რასელი	7:6, 7:6
ანდერსონი-იანგი	6:2, 6:4
ბელუჩი-ილჰანი	6:2, 6:7, 7:6
მიურეი-მალისე	6:3, 5:7, 6:3
ნალბანდიანი-ბოჟოლიაკი	6:4, 6:4
ნადალი-ებდენი	6:4, 6:4
ლუბიჩიჩი-**შტეპანეკი**	6:0, 5:7, 4:6
დელ პოტრო-კუნიცინი	6:4, 6:4
სიმონი-მანარინო	7:6, 4:6 შეწყდა

WTA. ბირმინგემი

კუდრიავცევა-დელაკუა	7:5, 3:6, 6:4
ერაკოვიჩი-შვედოვა	7:6, 7:5
ჰანტუხოვა-კირსტეა	6:0, 6:3
რისკე-გრონერი	6:3, 6:4
უოტსონი-დოი	6:2, 6:4
მარინო-ფუჯივარა	6:1, 6:2
ჰლავაჩკოვა-მორიტა	7:6, 6:2
ლისიცკი-ფლიპკენსი	7:5, 7:6
ივანოვიჩი-ტატიშვილი	6:1, 6:0
ერანი-მაკჰეილი	7:6, 4:6, 6:2
პაჩეკი-მაკაროვა	6:4, 3:6, 6:4
პენგი-ბროუდი	6:2, 6:7, 7:6

WTA. კოპენჰაგენი

ბარტელი-ბ. ზახვალოვა	7:6, 6:4
კუკოვა-**ბრიანტი**	6:3, 4:6, 1:6
ა. ბონდარენკო-ვიოლრი	6:0, 1:6, 6:2
ჰალეპი-**მარტიჩი**	3:6, 7:5, 5:7

TV პროგრამა

9 ივნისი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. I და II ტურის მიმოხილვა.
12:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. პერუ-გერმანია. შვეიცარია.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-კოლონი.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კორინთიანსი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
18:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჩინეთი-პერუ. შვეიცარია (LIVE).
20:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. გერმანია-აშშ. შვეიცარია (LIVE).
22:30 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჩეზენა.
00:30 ჩემპიონის გზა. ბარსელონა-ატლეტიკო.

GMG-სპორტი

10:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). II ეტაპი. კანი. საფრანგეთი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მესამე მატჩი.
14:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-კუბა. შვეიცარია.
16:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-იტალია. შვეიცარია.
18:30 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. მატჩი მე-3 ადილისთვის. მონტეპასკი-რეალი.
19:55 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). II ეტაპი. კანი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. II და III ტურის მიმოხილვა.
23:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-ჰოლანდია. შვეიცარია (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეხუთე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:00 მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. VI ეტაპი. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
04:50 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეხუთე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

20:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. გერმანია-აშშ. შვეიცარია (LIVE).
22:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-ჰოლანდია. შვეიცარია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ATP-ის ტური. ჰალე. გერმანია (LIVE).

SPORT+

20:00 ცურვა. საერთაშორისო სერია - MARE NOSTRUM. კანი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT

15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. V ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).

კალათბურთი

აივერსონს მშობლიური ლიგა მოუნატრა

ალენ აივერსონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ერთი ვეტერანი **ალენ აივერსონი** კარიერის NBA-ში დასრულებაზე ოცნებობს. როგორც იცით, ყოფილმა ვარსკვლავმა შარშან ზაფხულს მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში კლუბი ვერ იპოვა და თურქეთის „ბეშიქთაშში“ ჩაირიცხა, თუმცა ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონის გამოტოვებამ მოუწია. „ბეშიქთაშს“ კიდევ ერთი წლით ეკუთვნის ამერიკელი კალათბურთელი, მაგრამ ალენის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც NBA-ში მისი შეძენის მსურველი კლუბის გამოჩენის შემთხვევაში, აივერსონს უპრობლემოდ შეეძლება მშობლიურ ლიგაში დაბრუნება.

„თუ შესაძლებლობა იქნება, ვისურვებდი კარიერის NBA-ში დასრულებას. ვაღიარებ, რომ ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვი და ამიტომაც არ ვთამაშობ ამ ლიგაში. ახლა ჩემი მიზანი იქ დაბრუნებაა. მინდა ყველა გუნდს მივაწვდინო ხმა - ძალიან მინდა თამაში და მზად ვარ ნებისმიერი როლი შევასრულო, რომელსაც თავად ჩათვლიან საჭიროდ. მე მხოლოდ კალათბურთის სიყვარული მამოძრავებს“, - განაცხადა აივერსონმა, რომელმაც NBA იმის გამო დატოვა, რომ სათადარიგო მოთამაშის როლს ვერ შეეგუა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

იაო წასვლაზე ალაპარაკდა

იაო მინი

„ჰიუსტონ როკეტსის“ ჩინელმა ვარსკვლავმა **იაო მინმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეჭვი ეპარება მომავალ სეზონში „რაკეტების“ შემადგენლობაში ითამაშოს. ცენტრმა ჯერ ვერ აღიდგინა სათანადო ფიზიკური კონდიციები ფეხის ტრავმის გამო, რომელიც მან ნოემბერში მიიღო.

„დარწმუნებული არ ვარ, რომ მომავალში შევუერთდები გუნდს, რომელიც საჩემპიონო ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას. არც კი ვიცი, საერთოდ შევძლებ თუ არა თამაშს. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს ჩემმა ქალიშვილმა მოედანზე მიხილოს და ნახოს, როგორ ვიბრძვი ჩემპიონობისთვის. ეს ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი მოტივაციაა.

დაახლოებით 80 პროცენტი ენერგიის დაბრუნება მჭირდება. თადარიგში მხოლოდ 20 პროცენტი მაქვს. ისიც შემიძლია გითხრათ, რომ დღეისთვის ჩემპიონატში გამარჯვება ისე მნიშვნელოვანი აღარ არის, როგორც ეს ადრე იყო. ოჯახსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ახლა ჩემს გონებაში მეტი ადგილი უჭირავს. ჰიუსტონში ჩემი ცხოვრების საუკეთესო 10 წელი გავატარე და ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებს მოსალოდნელ განშორებას“, - ამბობს იაო სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ჩოგბურთი

კურნიკოვა: მე და მარია სხვადასხვა ტერიტორიაზე ვთამაშობთ

სამშაბათს 30 წელი შეუსრულდა ახლო წარსულში ცნობილ რუს ჩოგბურთელს **ანა კურნიკოვას**. სპორტსმენმა იუბილე მაიამიში საკუთარ სახლში აღნიშნა. მანამდე კი ანამ მის პიროვნებასთან დაკავშირებულ ჭორებს გაუკეთა კომენტარი.

„ეს იმის გამო ხდება, რომ ძალიან იშვიათად ვაწვდი პრესას ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ, - განაცხადა კურნიკოვამ. - სწორედ აქედან მოდის ჟურნალისტთა ფანტაზიები: ხან მსუქანი ვარ, ხან გამხდარი, ხან ვქორწინდები, ვშორდები ქმარს, ისევ ვუბრუნდები - ყოველთვის ასე ხდება, როცა ახალ ბეჭედს გავიკეთებ, ასეთი კი ბევრი მაქვს. ყველა ამ ინფორმაციის უარყოფას რომ მოვყვე, პირადი ცხოვრებისთვის დრო არ დამრჩება. ამიტომაც მირჩევნია ჩუმად ვიყო და არაფერი ვთქვა. და საერთოდ არ მიყვარს ასეთი თამაშები - ჭორები და გამოგონილი ისტორიები. საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობ, რომელიც დატვირთული და უჩვეულოა. შესანიშნავად ვგრძნობ თავს და თუ პრობლემებიც არსებობს, ვცდილობ არ შევიმჩნიო. ყოველდღე ვმუშაობ, ვსწავლობ, წინ მივდივარ - საკუთარ თავზე ვმუშაობ. ერთი რამ კარგად შევითვისე - თუ ადამიანი არ პროგესირებს, მაშინ დეგრადირების გზას ადგას. მთავარია, წინ იარო და ყველაფერი ახალი მიიღო“.

კურნიკოვამ საკუთარი აზრი გამოთქვა **მარია შარაპოვასთან** კონკურენციაზე, რომელმაც, როგორც ამბობენ, დიდი ხნის წინ დაჩრდილა ანა. *„რომელ დაჩრდილვაზე ლაპარაკობთ? მე ძველებურად პოპულარული ვარ, - განაცხადა ჩოგბურთელმა. - მე და მარიას სხვადასხვა სათამაშო ტერიტორია გვაქვს. ღირსეულად ვაფასებ მის სპორტულ ნიჭს და მიხარია, რომ ქალთა ტურში რუსი ვარსკვლავიც არის, რომელიც ჩოგბურთის მილიონობით თაყვანისმცემლებს იზიდავს“.*

ოლიმპიზმი

ოქროსფერი ჩირაღდანი

ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ნიმუში გუშინ ლონდონში წარმოადგინეს. ის შემუშავებულია ბრიტანელი დიზაინერების **ედვარდ ბარბერისა** და **ჯეი ოსგერბის** მიერ.

კონუსის ფორმის ჩირაღდანი ოქროსფერია. ის ალუმინის შენადნობისგან არის დამზადებული, რათა ოლიმპიური ესტაფეტის მონაწილეებს არ გაუჭირდეთ მისი ტარება. მის ზედაპირზე რვა ათასი ნახვრეტია - ეს არის ესტაფეტის მონაწილეთა საერთო რიცხვი. თანაც ამ ნახვრეტების წყალობით ცეცხლის დანახვა ყველა მხრიდან იქნება შესაძლებელი.

ახლა ჩირაღდანს ტესტებზე გააგზავნიან და შეამოწმებენ დაბალ ტემპერატურაზე, წვიმასა და ქარზე. თუ გამოცდა წარმატებით ჩაივლის, ქალაქ ქოვენთრიში კომპანია Premier Sheet Metal საკუთარ ქარხანაში 8 ათას ჩირაღდანს დაამზადებს.

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა 70 დღე გასტანს და მისი ძირითადი ნაწილი ბრიტანეთში ჩაივლის. სტარტი 2012 წლის 19 მაისს ქვეყნის უკიდურესი დასავლეთი ნერტილიდან - კორნუოლიდან მიეცემა. სულ მონაწილეები 12,8 ათას კილომეტრს დაფარავენ. ესტაფეტა ოლიმპიადის გახსნის დღეს, 27 ივლისს ოლიმპიურ სტადიონზე დასრულდება.

ოლიმპიური ჩირაღდანი

ოლიმპიადა და NBC ისევ მეგობრობენ

ტელეკომპანია NBC-მ კვლავ მიიღო ამერიკის ტერიტორიაზე ოლიმპიური თამაშების ტრანსლირების უფლება. მომავალი ოთხი ოლიმპიადის ჩვენებისთვის ამერიკულმა კორპორაციამ 4 მილიარდი დოლარი გადაიხადა. კონტრაქტი 2020 წლამდე იქნება ძალაში. NBC-მ ტენდერი მოიგო ორ კონკურენტთან - ESPN-თან და Fox-თან ბრძოლაში.

გამარჯვებულ ტელეკომპანიას ექსკლუზიური უფლებები აქვს სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე (2014), რიო დე ჟანეიროს ზაფხულის თამაშებზე (2016), აგრეთვე 2018 წლის ზამთრისა და 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადებზე, რომელთა მასპინძელი ქალაქები ჯერ არჩეული არ არის.

ოლიმპიადების ტრანსლირების ფასი იზრდება. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არა თითოეული ოლიმპიადის, არამედ თამაშების პაკეტებად გაყიდვა დაიწყო, პირველი კონკურსი სწორედ NBC-მ მოიგო და ამისთვის 2.5 მილიარდი დოლარი გადაიხადა. ამ თანხის სანაცვლოდ ტელეკომპანიამ გადასცა სოლტ-ლეიკ-სიტის, ათენის, ტურინისა და პეკინის თამაშები. ბარსელონას ოლიმპიადიდან (1992) მოყოლებული, NBC 11-დან ცხრა ოლიმპიადის ტრანსლირებას ახდენდა.

კატალონიის დედაქალაქში გამართულმა ოლიმპიადამ კომპანიას 99 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი მოუტანა, მაგრამ დანარჩენი თამაშები მომგებიანი იყო. სარეკორდო - 100 მილიონი მოგება მოიტანა პეკინის ოლიმპიადამ.

2008 წელს ვანკუვერის ზამთრის თამაშები ცუდ პერიოდს დაემთხვა. ექსპერტების შეფასებით, იმ დროს ამერიკაში სარეკლამო ბაზარი 13 პროცენტით დაეცა. სპონსორობაზე უარი თქვეს ისეთმა პრესტიჟულმა კორპორაციებმა, როგორებიც არიან General Motors და Bank of America. შესაბამისად, კანადური ოლიმპიადის ტრანსლირებისას NBC-ის ზარალმა დაახლოებით 223 მილიონი დოლარი შეადგინა.

მაგრამ ამან ვერ შეაჩერა NBC-ის ხელმძღვანელობა. მით უმეტეს, რომ წაგების გარდა, ვანკუვერმა ტელეკომპანიას გარკვეული წარმატებები მოუტანა. ამ ზამთრის თამაშებმა ბოლო ოლიმპიადებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი დაწერა, თავად არხი კი გასული წლის თებერვალში პოპულარობით პირველ ადგილზე გავიდა ამერიკაში. არადა, როგორც წესი, რეიტინგის მიხედვით მეოთხე იყო.

NBC, რომელიც 2009 წელს მედიაკორპორაცია Comcast-მა შეიძინა, აქცენტს სპორტულ ტრანსლიაციებზე აკეთებს. 2005 წლის ლოკაუტის შემდეგ, სწორედ ეს კომპანია გახდა NHL-ის მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლების მფლობელი, რითაც ამ ბაზრიდან გააძევა ESPN. მართალია, იმ დროს ჰოკეის რეიტინგი დაცემული იყო, მაგრამ NBC-სთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი გახლდათ ამ ნიშის დაკავება.

კარგ შემოსავალს იღებს კორპორაცია სუპერბოულის მატჩებზე სარეკლამო დროის რეალიზაციით. მაგალითად, 2009 წელს რეკლამის გაყიდვიდან შემოსულმა საერთო თანხამ 261 მილიონი დოლარი შეადგინა.

კორპორაციის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ვანკუვერის ისტორია აღარ განმეორდება. ამერიკის სარეკლამო ბაზარი გამოცოცხლდა და უკვე მიღებულია სარეკლამო დროის შესყიდვის გარანტიები ტრადიციული მსხვილი სპონსორებისგან.

ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ოლიმპიადის ტრანსლირების უფლებისთვის დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული სამ კომპანიას შორის. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა სავსებით კმაყოფილია გარიგებით. ახლა მან ანალოგიური კონტრაქტები უნდა გააფორმოს ევროპის, აზიისა და ავსტრალიის ტელეკომპანიებთან, რაც არანაკლებ შემოსავალს მოიტანს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კრივი

ფლოიდ სექტემბერში იჩხუბებს

ფლოიდ მეიველერი

კრივის ისტორიის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ფლოიდ მეივეზერმა** (41-0, 25KO) სოციალური ქსელის „ტვიტერის“ მეშვეობით გამოაცხადა თავისი მორიგი ბრძოლის შესახებ. 2011 წლის 17 სექტემბერს ის რინგზე გავა ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონის **ვიქტორ ორტისის** (29-2-2, 22KO) წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში სწორედ WBC-ის საჩემპიონო ქამარი გათამაშდება.

მოგვიანებით ბრძოლის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს პრესრელიზი, რომელშიც დაადასტურეს ეს ინფორმაცია. *„მზად ვარ რინგზე დავბრუნდე და ჩემს თაყვანისმცემლებს კრივის მორიგი ფანტასტიკური საღამო ვაჩუქო. შევხვდები დღეისთვის უძლიერეს მოკრივეს. სწორედ ასეთად მიმაჩნია ვიქტორ ორტისი, - განაცხადა მეივეზერმა. - ის მოქმედი ჩემპიონი და ძალიან ნიჭიერი მოკრივეა, რომელმაც მთელი თავისი ოსტატობა გვიჩვენა ანდრე ბერტოს წინააღმდეგ. ჩემი კარიერის ამ ეტაპზე ასეთი გამონვევები მჭირდება: ახალგაზრდა, ძლიერი, პერსპექტიული მოკრივე, რომელიც ჩემი დამარცხებით შეეცდება კრივში სახელის შექმნას. უნდა შევაქო იმის გამო, რომ მან ამ ბრძოლაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ 17 სექტემბერს ის კიდევ ერთი მსხვერპლი გახდება, რიგით 42-ე, რომელიც ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. დამიჯერეთ, ეს ასე მოხდება“.*

„პატივს ვცემ მეივეზერს, რადგან ის მრავალი წლის განმავლობაში ჩემპიონი იყო. დარწმუნებული ვარ, სრულ მზადყოფნაში შეხვდება ბრძოლას, მაგრამ მეც კარგ ფორმაში ვიქნები, - ამბობს ორტისი. - ძლიერი მოკრივე ვარ და ყველა ღონეს ვიხმარ ჩემი კრიტიკოსების გასაჩუმებლად. სამართლიანად ვფლობ საჩემპიონო ტიტულს და უახლოეს წლებში არ ვაპირებ მის დათმობას. ეს იქნება დიადი ბრძოლა, მაგრამ ჩემპიონად ისევ მე დავრჩები, თანაც დიდი ხნით“.

სავარაუდოდ, ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართება და ორივე მოკრივე მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მეთოდიკით გაივლიან დოპინგზე შემონმებას. როგორც ამერიკული პრესა წერს, მეივეზერი ამ ჩხუბისთვის 40 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც ძალიან მაღალი ჰონორარია. იმავე **მენი პაკიოამ შეინ მოზლისთან** ბოლო ბრძოლაში 20 მილიონი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ბრძოლა მეივეზერმა 2010 წლის მაისში ჩაატარა - მაშინ მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო შეინ მოზლის.

ჰოკეი

ღიადის შვილი ბეისბოლისგია

ბეისბოლის ამერიკულ ლიგაში ახალგაზრდა მოთამაშეების დრაფტი დაიწყო და ამ მნიშვნელოვან მოვლენას ჰოკეის თაყვანისმცემლებიც ადევნებდნენ თვალს. საქმე ისაა, რომ დიადი **უინ გრეტცკის** ვაჟი **ტრევორი** ბეისბოლით არის გატაცებული და მან სკაუტების ყურადღება მიიპყრო.

ტრევორ გრეტცკი დრაფტის მერვე რაუნდში 219-ე ნომრად აირჩიეს. ახლა ამ მოთამაშეზე უფლებები „ჩიკაგო კაბზს“ გააჩნია.

უმცროსმა გრეტცკიმ 15 აგვისტომდე უნდა გადაწყვიტოს - გააგრძელოს სწავლა თუ პროფესიული კონტრაქტი გააფორმოს „ჩიკაგოსთან“.

„ბეისბოლთან ნიუ იორკში დავმეგობრდი. იმ ადგილებში გავიზარდე, სადაც მამაჩემი თამაშობდა. მახსოვს ის დღე, როცა ერთად წავედით „ნიუ იორკ იანკიზის“ თამაშზე. მას შემდეგ დავინტერესედი ბეისბოლით და გადავწყვიტე ამ სპორტს გავყოლოდი“, - ამბობს ტრევორი.

„როგორც კი დრაფტი დასრულდება, ტრევორთან ერთად დავჯდები და შექმნილ სიტუაციას განვიხილავთ“, - განაცხადა უინ გრეტცკიმ.

„ჩიკაგო კაბზი“ ჩრდილოამერიკული სპორტის რეკორდს ინარჩუნებს - მას ყველაზე გრძელი უტიტულო სერია აქვს - 102 წელი. ბოლოს „კაბზი“ ჩემპიონი 1908 წელს გახდა.

მამა-შვილი